7ᵬ/2 № 14665

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ,
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს. №8 (1771) 7 ნოემბერი, 2001 ● ფასი 50 თეთრი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

● „პრეზიდენტთან სტუდენტების შეხვედრა ჩაწყობილი იყო" მე-3 გვ.

● სააკაშვილს ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს მე-2 გვ.



● რა ენაზე სწავლობენ ქართველი ბავშვები აფხაზეთში? მე-5 გვ.

● პარტიზანული მოქმედებები აფხაზეთის დასაბრუნებლად არ ყოფილა გამართული მე-4 გვ.

● ელ.ენერგიის ტარიფის მომატება საკონტროლო გასროლას ჰგავს მე-3 გვ.

● საქართველოში 1600 ჯილეხის კერა არსებობს მე-13 გვ.

● პუტინი რუსეთს დოლარის დაცემისთვის ამზადებს მე-8 გვ.



● მღვდლის განკითხვა საშინელი ცოდვაა

● ქორწინება ცხონების გზაა მე-15 გვ.

## ვის აწყობდა ჭორი მეფარიშვილის მკვლელობის შესახებ



მე-3 გვ.

## როცა ქათამი მამლურად ყივის

### (მორიგი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ)

შევარდნაძემ რომ თავისი ყურმოჭრილი „პარტია" — მოქალაქეთა კავშირი, ანუ ე.წ. „მოქკავშირი" — მიატოვა, მას საამისოდ არანაირი გაჭირვება არ აიძულებდა: საქმეს არავინ სთხოვდა, მოცილე არავინ ჰყავდა, არ ეგულებოდა ვინმე „ღირსეული ახალგაზრდა", რათა მისთვის გადაეცა არარსებული „მისია". როცა სტუდენტური აქციისას პარლამენტის წინ, რომელიც 31 ოქტომბერს დაიწყო და მინისტრების გადაყენება გამოიწვია, ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა მიატოვა, ამას არა თუ არადამაჯერებლი, არამედ ბავშვურად გულუბრყვილო „დასაბუთება" ჰქონდა: არ ეგონოს ვისმე, რომ, რაკი აქციის მონაწილენი პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ, მე პრეზიდენტობის იმედი მაქვსო (ასეთი არგუმენტების გამოყენება საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს თუ ეკადრებათ). ამ ორი უცნაური ფაქტის დამთხვევას ახსნა უნდა. იგი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მოსკოვიდან (რომელიც, ცხადია, ამ ორი თანამდებობის პირის მოქმედებას ცალსახად მართავს) ახალი ინსტრუქცია მოვიდა: წითელი ანუ პრორუსული მართვა, რომელიც ახლა გაქვთ, სრული ქაოსით უნდა შეცვალოთო. შესაბამისად, კურსი იქნა აღებული სამართლებრივი სიცარიელის ანუ ე.წ. კონსტიტუციური ვაკუუმის შექმნაზე.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



## მძარცველებმა პარტიზანების სახელით საჭმელი მთხოვეს, მერე კი ... დამაყაჩაღეს

მე-5 გვ.

## „თენგიზ ჩანტლაძის შემდეგ ამ სფეროში ვარსკვლავი არ დაბადებულა"



მე-12 გვ.

## ამბავნარი

### კახა თარგამაძეს და ჯამლეთ ბაბილაშვილს მართლა დაიჭერენ?



საიდუმლო ინფორმაციებს ვფლობო, ხან ვინ ყვირის ხმამაღლა და ხან ვინ. ინფორმაცია, როგორც წესი, მფლობელის იქით არ მიდის. რა სარგებელი აქვთ ტრაბახის მოყვარულებს ფუჭი სიტყვების რახარუხით, დღემდე უცნობია.

იმუნიტეტაღდგენილი ბორის კაკუბავას რომ ხმაში რიხი მოემატა, ეგ კი ნაცნობია. „მე ველოდი იმ დროს, როცა კახა თარგამაძე აღარ იქნებოდა მინისტრი", — ამბობს დეპუტატი. აი, ეს დროც დადგა. შეძლებს თუ არა კაკუბავა სიტყვის შესრულებას: ექსმინისტრ თარგამაძისთვის ბრალდებების წაყენებას და მათ დამტკიცებას, ამას დრო გვიჩვენებს. ისე კი, თუ მის სიტყვებს ვენდობით, თარგამაძესთან ერთად ექსგენპროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილიც ცოდვილი ყოფილა და პასუხი მასაც მოეთხოვება.

ისე, ძნელად სარწმუნო კია, რომ ექსმინისტრ თარგამაძეს საკუთარი უწყება დაიჭერს, ხოლო ექსგენპროკურორ ბაბილაშვილის საქმეს საკუთარი უწყება გამოიძიებს. და მაინც, სიურპრიზებით სავსე ქვეყანაში ყველაფერი ხდება...

### ვანო ზოდელავა სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ სახელმწიფოს ქალაქის მერის სავარძლიდან მართავდა



მინისტრებშემოძარცვულ პრეზიდენტს ხელი თავშისაცემად გაუხდა. მართალია, ტელეარხები საგულდაგულოდ არიდებდნენ თავს იმის თქმას, რომ აქციის მონაწილეები შევარდნაძის გადადგომასაც ითხოვდნენ მინისტრებთან ერთად, მაგრამ ეტყობა, პარლამენტის წინ დამდგარ მომიტინგეთა ღაღადისი პრეზიდენტმა კანცელარიაში „შეისმინა".

მარჯვენამოკვეთილმა (უთარგამაძეოდ დარჩენილმა) შევარდნაძემ აქციის „განეიტრალება" და ქალაქში წესრიგის დამყარება ვანო ზოდელავას დაავალა. ის, რაც მინისტრებმა ვერ შეძლეს, ქალაქის მერს შესძლებია, თურმე. თბილისის მერის სავარძლიდან სახელმწიფოს მართვა თუ შეეძლო პრეზიდენტთა ერთად, ამას ვანო ზოდელავა სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა, ალბათ. მაგრამ საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც ცხადი და სიზმარი ერთმანეთისგან არ განსხვავდება და ორივე საერთო ჯამში ერთი დიდი კოშმარია?!

### ვაშა, ჩხარტიშვილი მინისტრი აღარ არის!



რეკორდსმენი მინისტრები შევარდნაძემ პენსიაზე გაუშვა, მაგრამ ამის მიზეზი არც მათი საპენსიო ასაკი გახლავთ და არც ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურების გაწევის შემდეგ დასვენების აუცილებლობა. უბრალოდ, ჩვენმა მინისტრებმა კორუფციაში მსოფლიო რეკორდი დაამყარეს და როცა მეტის გაკეთების საშუალება მოესპოთ, პრეზიდენტმა ისინი უბრალოდ დაითხოვა. „დიდმა ბაბუამ" განსაკუთრებული სინანულით, ალბათ, თარგამაძისა და ჩხარტიშვილის გათავისუფლებას მოაწერა ხელი. უკანასკნელს არცთუ უკანასკნელი ადგილი ეკავა პრეზიდენტის გულში და ამალაშიც. მას შემდეგ, რაც სააკაშვილსა და ჩხარტიშვილის ორთაბრძოლა პრეზიდენტის მხარდაჭერით ეკონომიკის, ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრმა მოიგო, კარგად გამოჩნდა, ვანო ბატონ ედუარდს როგორ უყვარდა. მიუხედავად დიდი, შეხმატკბილებული სიყვარულისა, არ გაუმართლა ჩხარტიშვილს, არც პრეზიდენტს გაუმართლა, მაგრამ... გაუმართლა ხალხს.

ვაშა, ჩხარტიშვილი მინისტრი აღარ არის, ხმამაღლა შეუძლია ამ „ტკბილი მელოდიის" წაღიღინება თითოეულ ქართველს!

# წ კ ი პ უ რ ტ ე ბ ი




### კაკუბავას ეშველა!

როგორც იყო და არ იყო, სამართალდამცავებმა ბორის კაკუბავას ძებნა შეწყვიტეს. თუმცა ეს არც „თავგამოდებული ძებნის" შემდეგ ხელმოცარვის გამო ჩაუდენიათ და არც კაკუბავას სიყვარულით. უბრალოდ მას პარლამენტმა დეპუტატობის იმუნიტეტი აღუდგინა. ორი წელია ბორის კაკუბავა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე არშემდგარი ტერაქტის მონაწილეობის ბრალდებით იძებნებოდა. ახლა უკვე სრული უფლებამოსილებით აღჭურვილი პარლამენტარი სამომავლო გეგმებს სახავს. ორი წლის მანძილზე ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" და ფრაქცია „აფხაზეთის" საქციელით განხიბლული „აღორძინებაში" გაწევრიანებას აპირებს, თურმე.

### სააკაშვილს ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს



დიდი ხმაურისა და აჟიოტაჟის შემდეგ, როგორც იქნა პარლამენტმა მიშა სააკაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილება სცნო. კაცმა რომ თქვას, სააკაშვილს საფრთხე არც ემუქრებოდა, ოდითგან დღემდე ამ პროცედურის ჩატარებას ხომ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, საარჩევნო კომისიის განცხადებას — არჩევნები ჩატარდაო, „წყალი არასოდეს გასვლია".

არხეინად მოარული მიშა ბევრი კოლეგის გაღიზიანებას იწვევდა, თუმცა რა ექნა?! ჯერ კიდევ არჩევნების გამართვამდე იცოდა, დეპუტატი რომ იყო და ეჭვი გამარჯვების შემდეგ შეეპარებოდა?

ჰოდა, ასე იყო თუ ისე, ექსმინისტრს ყურებზე ხახვი ვერ დააჭრეს, ისე აღიარეს მისი უფლებები.

### „დიდ როლზე" მეოცნებე სარიშვილს კოვზი ისევ ნაცარში ჩაუვარდა



მას შემდეგ, რაც ედპ-ს ლიდერმა, ირინა სარიშვილმა, „ვილაცის" შეგდებული 7% ბარიერის პროვოკაციული ანკესი გადაყლაპა და საკუთარი თავი და პარტია დაასამარა, გულმოდგინედ ცდილობს ამოტივტივებას, მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესაო", ხომ გაგიგონიათ, სწორედ ისეა მისი საქმე.

პარლამენტის წინ მოწყობილი მასობრივი აქციების შემყურემ ახალგაზრდების მოწოდებას ჩრდილი მიაყენა თავის სიტყვებით... მალევე გაუღერდა, სარიშვილი ალტერნატიული მიტინგის მოწყობას აპირებსო. ეტყობა, ვაკის არჩევნებისას კოვზის ნაცარში ჩავარდნამ გული ვერ გაუტეხა „დიდ როლზე" მეოცნებე ქალბატონ ირინას და „მიტინგობიას" წყურვილიც ამიტომ შემორჩა. სცადა კიდეც, მაგრამ... კოვზი ისევ ნაცარში ჩაუვარდა. რას ვიზამთ, ოცნება უფასოა და ამის უფლება ყველას აქვს, დრო კი ყველაფერის მკურნალია.

### ტელეკომუნიკაციების პრივატიზება პედაგოგების მკურნალია

სად ტელეკომუნიკაციები და სად პედაგოგებიო, გაოცდება კაცი ამ სიტყვების წაკითხვისას, მაგრამ გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. თანაც ისე, რომ პედაგოგების საარსებო სახსარი მთლიანად ტელეკომუნიკაციებზე ჰკიდია, თურმე...

პედაგოგთა ხელფასების გასულ წლების დავალიანების — 30 მლნ. ლარის დაფარვას ფინანსთა სამინისტრო ტელეკომუნიკაციების პრივატიზების ხარჯზე აპირებდა. ვილაცას ამ ქონების დასაკუთრებაში, ეტყობა, დროებით ხელი შეეშალა და დავალიანების გასტუმრებაც მომავალი წლისათვის გადაიდო...

საინტერესოა, გასაყიდი რომ აღარაფერი დაგვრჩება ქართველებს, პენსია-ხელფასების დარიგებას მინისტრების პრივატიზებით ხომ არ დაიწყებს ფინანსთა სამინისტრო...

### აქციის დაშლის უნიკალური ხერხი ეპიდემიით დაშინებაა

ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას აქციის დასაშლელად ჩვენი ხელისუფლება იმედია, არ აპირებს, თუმცა... „ძალიან ძლიერ" ინფექციურ დაავადებას, ცხადია, ხელისუფლება ვერ გაავრცელებს, მაგრამ ეპიდემიის შიშის გავრცელება კი ნამდვილად შეუძლია.

„შევარდნაძე, გადადექის" ძახილით შეწუხებულმა პრეზიდენტმა აქციის დაშლა გადაწყვიტა.

ჯერ პროვოკატორები მიუსიეს მომიტინგეებს, მაგრამ შედეგი არც ისე ეფექტური იყო. ახალგაზრდობა პროვოკაციას არ წამოეგო! მერე ადგნენ და ვაკისპარკში გასართობად „მიიწვიეს" მომიტინგეები. განახევრებულ აქციის მონაწილეებს კი ახლა ეპიდემიით დაუწყეს დაშინება. მოკლედ, ჩვენს პრეზიდენტს „ხერხი" ალესილი აქვს და ცალ მხარეს ხერხის გამწევი თუ ეყოლება, მზად არის ქვეყანაც შუაზე გახერხოს, ოღონდ სავარძელს ვერ შეელევა.

### მთავრობის გადადგომით პირველი მოადგილეების „ავრორამ" გაისროლა

ამაში ორი აზრი არ არსებობს. მინისტრის გადადგომის შემდეგ მის მოვალეობას, როგორც წესი, პირველი მოადგილეები ასრულებენ. მთავრობის გადადგომით, ცხადია, მოგებულნი სწორედ ისინი დარჩნენ. კარიერის მაძებრებს შანსი გამინისტრებისა სწორედ რომ ხელსაყრელი აქვთ. დაწინაურების მოლოდინში, შევარდნაძის ყურადღების ცენტრში მოსახვედრად ბევრი ოფლი მოასკდებათ შუბლზე და „მარიფათიანებს" „გაუმართლებთ" კიდეც.

თუმცა, საზოგადოდ გავრცელებული რიტორიკულ კითხვას — ვინ მოიგო მთავრობის გადადგომით, მხოლოდ ეს პასუხი ვერ აკმაყოფილებს. ბუნებრივია, კითხვა ლოგიკურია და პასუხსაც, შესაბამისად, ლოგიკურს საჭიროებს. მინისტრების გადაყენება პირველ რიგში მოსახლეობისთვის იყო აუცილებელი. მათი საცეცებისგან ქვეყნის გათავისუფლება, იმედია, საზოგადოებას ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაქტები შეულამაზებლად

# „პრეზიდენტთან სტუდენტების შეხვედრა ჩაწყობილი იყო“

სტუდენტების გულის მოგება საკმაოდ უცნაური ხერხით სცადა ედუარდ შევარდნაძემ. სხვა დროს „გმირობით“ და „ვაჟკაცობით“ გამორჩეულ პრეზიდენტს სარისკო შემთხვევებში უკან დახევა არა სჩვეოდა. პირისპირ მიდიოდა შეხვედრაზე გაფიცულებთან. პირველად „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის შეკითხვისას უმტყუნა ნერვებმა ბატონ ედუარდს. კორესპონდენტს კითხვა უპასუხოდ შეატოვა და „ზრდილობიანად“ შეაქცია ზურგი. „თავდასაცავად“ მხოლოდ ისა თქვა, არასაკადრისი ტონით მომმართაო. არასაკადრებლის „კადრებაც“ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო „წადი, შენც წადიო!“ — „მიუმღერეს“ ახალგაზრდებმა.

თავდაჯერებულ პრეზიდენტს სტუდენტებთან მოუნდა შეხვედრა, მაგრამ... აქამდე „გმირობით“ და „ვაჟკაცობით“ სახელგანთქმულ შევარდნაძეს უკვე მერამდენედ მოუვიდა შეცდომა.

— უკვე ყველასთვის ცნობილი გახდა ედუარდ შევარდნაძის თსუ-ს I კორპუსში სტუმრობის შესახებ. ის, რაც იქ ვნახეთ, ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. პრეზიდენტთან შეხვედრა მხოლოდ საშვით იყო შესაძლებელი. ეს გახლავთ ფაქტი იმისა, რომ ეს საშვები იმ სტუდენტების ხელში იყო, რომლებთან შეხვე-



დრაც შევარდნაძეს აწყობდა, — აცხადებს სტუდენტური აქციის ერთ-ერთი აქტივისტი **ლევან გოგიტიძე**.

— გვეზიზღება ყველა ახალგაზრდას ედუარდ შევარდნაძე. როცა ხალხს პრეზიდენტი ეზიზღება, უნდა ეყოს ნამუსი და გადადგეს, თვალებში ნაცარს რატომ გვაყრიან. უნივერსიტეტში პრეზიდენტთან სტუდენტებს შეხვედრა არ ჰქონია. ეს იყო ჩაწყობა. ჩვენ მივედით, მაგრამ არ მოგვცეს იქ შესვლის საშუალება. თუ მართლა სტუდენტებთან შეხვედრა სურდა, რატომ გარეთ არ შეხვდა მათ სადმე? — ასე უცხადებს პრეზიდენტს უნდობლობას **მაიკო ჩითინაშვილი**.

— ის სახელმწიფო არ არის, სადაც ხალხის დაშინება ხდება, სადაც არჩევნები ნორმალურად არ ტარდება, სადაც ხალხს არაფერს ეკითხებიან და ყველაფერს ძალოვანი სტრუქტურები წყვეტენ, — იმედგაცრუებას ვერ მალავს აქციის მონაწილე **სოსო ქურდაძე**.

— უკვე ექვსი დღეა, აქ ვდგავარ. ყველა ახალგაზრდას მოვუწოდებ, მოვიდნენ და აქ დადგნენ, ჩვენს გვერდით. ყველა ერთად რომ ვიქნებით, ვერავინ ვერაფერს გვეტყვის.

მე ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელსაც არ უნდა შევარდნაძე პრეზიდენტად, მაგრამ აქ დგომის ეშინია. მე ვამბობ, აქედან ვერავინ ვერ გამიყვანს, თუ ჩვენ რაც გვინდა, იმას არ მივაღწევთ, — საერთო ხმას უერთდება **ბესო გაბაძე**.

„აქცია გაგრძელდება იმდენ ხანს, სანამ ჩვენსას არ მივაღწევთ“ — გადაჭრით ამტკიცებენ აქციის მონაწილეები და ფუჭ სატყუარებზე და დაპირებებზე წამოგების შესაძლებლობას გამორიცხავენ.

**თათია ძინძიბაძე**

საოცარი ამბები




# ელ. ენერგიაზე ტარიფის მომატება საკონტროლო გასროლას ჰგავს

ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატების საკითხმა და მის პარალელურად გაურკვეველი დანიშნულების სააბონენტო გადასახადის დაწესების მცდელობამ, ერთიანად შეძრა საზოგადოება. პარლამენტის წინ გამართულმა აქციამ და მძლავრად აგორებულმა საპროტესტო ტალღამ მთელს საქართველოს გადაუარა. ტარიფის პრობლემებთან დაკავშირებულმა საკითხებმა დროებით უკანა პლანზე გადაინაცვლა.

მთავრობის გადადგომის შემდეგ ხალხს, ალბათ, იმედი გაუჩნდა, ახალი მინისტრები ანგელოზები იქნებიან და ჩვენს უფლებებს კბილებით დაიცავენო.

სამწუხარო რეალობა სულ სხვა რამეზე მეტყველებს. ხელისუფლებასთან ულტიმატუმებით მოლაპარაკე AES-თელასი თავისას მიაღწევს. ელ. ენერგიის საფასური იმდენი გახდება, რამდენიც მისი წარმოება ღირს. ზამთარიც შესაბამისად განათებული გვექნება. დენი ექნება მას, ვინც გადაიხდის საფასურს, ხოლო გადაიხდის ის, ვისაც ფული აქვს, ანუ ნახევარი თბილისი, როგორც მინიმუმი, ელ. ენერგიის ყიდვას ვერ შეძლებს.

„ენერგეტიკის პრობლემები ელ. ენერგიის საფასურის ამოღების თვალსაზრისით ჩვენვე რომ მოგვეგვარებინა და ქვეყანაში ჭარბი ინვესტიციები არ განგვეხორციელებინა, ტარიფი 6 თეთრს ვერ ასცდებოდაო“, — ამბობენ კომპეტენტური პირები. მაშ, რისთვის შემოვიყვანეთ უცხოელები? იმისთვის, რომ მიზერული პენსია-ხელფასების აულებლობით დატანჯულებს, შიმშილით არაქათგამოცლილებს საკონტროლო გასროლა ჩავუტაროთ, მთელი ზამთარი სიბნელეში ვამყოფოთ, რომ უფრო ადვილად გავისტუმროთ საიქოს?!

# ვის აწყობდა ჭორი მეფარიშვილის მკვლელობის შესახებ?

## კობა დავითაშვილი: „ცნობისთვის, ამგვარი სამსახური უშიშროების სამინისტროში ნამდვილად არსებობს“

*უცნაური, მასშტაბური დენის გათიშვა ასევე უცნაურად მასშტაბური ჭორების გავრცელების მიზეზი გახდა ორიოდ დღის წინ. ვიღაცამ ინფორმაციული ვაკუუმით ისარგებლა და ძალაში საკმაოდ ორგანიზებულად გაავრცელა ჭორები: სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, გენერალური პროკურორი მოკლესო.*

*ღამის სიბნელეში დედაქალაქი პანიკამ მოიცვა. ეს უკვე არც ბოროტ ხუმრობას აღარ ჰგავდა. ვიღაც აშკარად შეგნებულად და გეგმაზომიერად მოქმედებდა. მაშინ, როცა ხელისუფლებაში ძალთა გადანაწილებისათვის ბრძოლა ასე თვალნათლივ მიმდინარეობდა, გავრცელებული ჭორების დაჯერება ძნელი არ გახლდათ, მით უფრო, რომ გენ. პროკურორის მკვლელობას გიორგი სანაიას მკვლელობის გაგრძელებად თვლიდნენ. მეფარიშვილმა რაღაც იცოდაო. საბოლოო ჯამში ვინ დარჩა ამ ჭორით მოგებული, ჯერაც გაურკვეველია საზოგადოებისათვის. პირველ რიგში, ალბათ, მოგებული მაინც თვითონ გია მეფარიშვილი გახლავთ, რადგან სხვისგან გამეტებულ-გაწირული სიცოცხლე ჯერაც თან ახლავს.*

*ჭორი აშკარად პოლიტიკური იყო. ვინ და რატომ გაავრცელა იგი, პასუხის მოსაძებნად პოლიტიკოსებს მივმართეთ.*



**კობა დავითაშვილი:** „ჭორი, გენერალური პროკურორი მოკლესო, საკმაოდ ორგანიზებულად გავრცელდა. შესაძლოა, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მთელს ქალაქში იმ დროს დენი ჩაქრა. ვერ გეტყვით, ვის ინტერესებში შედიოდა ამ ხმების „დაყრა“. ისე, ცნობისთვის, ამგვარი სამსახური უშიშროების სამინისტროში ნამდვილად არსებობს. მე მომეჩვენა, რომ ეს ჩვენს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ბოლო დროს ყველაფერს მე მაბრალებენ რატომღაც. ახლაც იტყოდნენ, პარლამენტში გენპროკურორს დასკვნა არ წააკითხეს და მერე მოკლესო. ალბათ, იქ ისეთი რამეები ეწერა, რისი გახმაურებაც არ აწყობდათო. ეს ყველაფერი სისულელეა. დასკვნა არსებობს და სათანადო ადგილზე დევს, საქმის მიჩქმალვა მეფარიშვილის მკვლელობით შეუძლებელია, თუ იქ მართლა მნიშვნელოვანია რამე“.



**გიორგი კობახიძე:** „ჭორი საკმაოდ ლოგიკური იყო. ეს, ალბათ, საზოგადოების იმ ნაწილს მოუვიდა აზრად, ვისაც გულით სურდა დასკვნის წაკითხვა. ვინაიდან დასკვნა არ გამოქვეყნდა არც დანიშნულ დროს, არც მის შემდეგ, ეჭვები ბუნებრივია გაჩნდა.

ხელისუფლების უმაღლეს რგოლებში კორუფცი-



ის არსებობაზე დიდი ხანია მიდის საუბარი, მაგრამ საქმე ყოველთვის მეისრის დონეზე წყდება. ხელი ხელს ბანს, საზოგადოება კი მოტყუებული რჩება. მეფარიშვილს, ალბათ, წამოსცდა ის სიმართლე პარლამენტის ტრიბუნიდან, ეს აქამდე უცხო ხილი იყო მისი ყველა წინამორბედის მხრიდან. მერე ხალხმა დასკვნა ველარ ნახა, გენპროკურორისგან ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა და ჭორებიც ამან გამოიწვია“.

**მაია საფარიშვილი**

## თევზაძეს ამდენი მუქარის მიუხედავად დღემდე ერთი თავდამსხმელიც არ მოუგერიებია

კოდორის ხეობის დაუსრულებელ ბომბვას საზღვარი აღარა აქვს. თავდაცვის მინისტრის გარეშე დარჩენილი ქვეყნის დაუცველ მოსახლეობას ვერც თევზივით პირში წყალჩაგუბებული თავდაცვის მინისტრი თევზაძე შველოდა თავის დროზე და ვერც მის შემდეგ შექმნილი სამხედრო საბჭო უმსუბუქებს მდგომარეობას.

ყოფილ მინისტრს ამდენი მუქარის მიუხედავად დღემდე ერთი თავდამსხმელიც არ მოუგერიებია. ქვეყნის მთავარსარდალი კი „მდუმარებისსენშეყრილი“ ხმასაც არ გაიღებს, ალბათ, სანამ მოსახლეობა ადგილსამყოფელს არ დატოვებს, მაგრამ...

მოვლენები ისე ვითარდება, ადგილსამყოფელის დატოვება მოკლე ხანში, ალბათ, თვითონ პრეზიდენტს მოუწევს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## არასასიამოვნო პროგნოზი

*პირველი გვერდიდან*

ამ ოპერაციის მექანიზმი შემდეგია:

თუ პრეზიდენტმა თავისი მოქმედება შეწყვიტა (გადადგა, დაავადდა, გარდაიცვალა...), მის მოვალეობას, კონსტიტუციით, პარლამენტის თავმჯდომარე ასრულებს, მაგრამ ეს უკანასკნელი თავმჯდომარედაც რჩება. კითხვა დგას: თუ ორივე — პრეზიდენტიც და პარლამენტის თავმჯდომარეც — ერთდროულად გამოეთიშნენ საქმეს, მაშინ რა ხდება? ასეთი შემთხვევა საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინებული არ არის: სახელმწიფო უმეთაუროდ რჩება, რაც, რა თქმა უნდა, კატასტროფაა. საქართველოს არ ჰყავს ვიცე-პრეზიდენტი და მის კონსტიტუციაში არ წერია, სხვა კონსტიტუციათაგან განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას მთავრობის თავმჯდომარე ასრულებს, შემდეგ, ვთქვათ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ასე შემდეგ (აშშ-ში ასეთი იურიდიული დაცვის 18 სართული არსებობს, ანუ პრეზიდენტის გამოთიშვის შემთხვევაში მას უკან, „სათადარიგოდ", კიდევ 17 სხვა თანამდებობის პირი უდგას. რატომ არ ჩაიდო ანალოგიური მუხლები საქართველოს კონსტიტუციაში, გასაგებია: მაშინდელ „სახელმწიფოს მეთაურს" ჰსურდა, თავისი თავი ქვეყნისათვის ფაქტობრივად „შეუცვლელი" გაეხადა. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნისას მის ფუნქციებს ასრულებს, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის ფუნქციას ვერ შეასრულებს: ამის უფლება მხოლოდ პარლამენტის მიერ თავის თავმჯდომარედ არჩეულ პირს აქვს. რაც შეეხება ამ უკანასკნელის არჩევას, ამის შესახებ კონსტიტუციაში წერია: ძველი თავმჯდომარის წასვლიდან პარლამენტი არა უმეტეს ათი დღის ვადისა ახალს ირჩევსო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ამავე დროს ცოცხალი და მოქმედი პრეზიდენტი ჰყავს! თუ არ ჰყავს? მაშინ ჩნდება კონსტიტუციური ვაკუუმი, ფაქტობრივად — განუკითხაობა და უხელისუფლებობა, რომლის გაგრძელებაც პარლამენტს, კანონის დაურღვევლად, კიდევ ათი დღის მანძილზე შეუძლია. ეს დაუშვებელი მდგომარეობა იქმნება იმ შემთხვევაშიც, თუ სახელმწიფოს ერთგული ანუ კეთილი ნების პარლამენტი ჰყავს (ამიტომ, იგულისხმება, პარლამენტი შეეცდება ეს მდგომარეობა რაც შეიძლება მალე შეწყვიტოს). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ორგული პარლამენტი ჰყავს ანუ ისეთი, რომელიც 51 ან მეტი პროცენტით რუსეთის აგენტებისგან შედგება? ან (შევარბილოთ სურათი) ისეთი უგნურებისაგან შედგება, რომლებიც მხოლოდ ამ თანამდებობისათვის ბრძოლას გადაჰყვებიან და ვერ მიხვდებიან, რომ ამ კრიტიკულ ვითარებაში პარლამენტის თავმჯდომარის უყოლობას რაგინდარა უვარგისი თავმჯდომარის ყოლა სჯობია? მაშინ უთავმჯდომარეობა გაგრძელდება არა თუ ათი დღე, არამედ ათი თვეც, და უმეთაურო სახელმწიფოში, სადაც ფიზიკური დესტაბილიზაციის მოწყობა რუსეთისათვის ძალიან ადვილია, ძველი და ახალი კონფლიქტების „დასაშოშმინებლად", ხელს ჩაურევს რუსეთის შეიარაღებული ძალები იმ საბაბით, რომ რუსეთის საზღვრებთან გაჩენილი კონფლიქტი რუსეთშიც გავრცელდება („ვიპლესნეტსია", — ეს ტერმინი უკვე კარგა ხანია შექმნილია და არაერთხელ გამოყენებულია უკვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ). თქმულიდან გამომდინარეობს ორი რამ. პირველი: მოსალოდნელია, რომ საქართველოს პარლამენტი, რომელსაც ამჟამად თავმჯდომარე არ ჰყავს, ა.წ. 6 ნოემბრის სხდომაზე არ აირჩევს („ვერ აირჩევს") თავმჯდომარეს და პარლამენტართა კინკლაობა კანდიდატურების შესახებ განუსაზღვრელი დღეებისა და თვეების მანძილზე გაგრძელდება. რაც, თუ პრეზიდენტი ამ დროს გადამდგარი იქნება, სახელმწიფოს იურიდიულად განაიარაღებს ანუ კონსტიტუციურ ვაკუუმს შექმნის. თუ არა და პრეზიდენტს, რომელიც

# როცა ქათამი მამლურად ყივის
## (მორიგი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ)

დღეს, მიხ. ჯავახიშვილის გამოთქმისა არ იყოს, „ძაღლის ლეშივით ჰყავს კისერზე ჩამოკიდებული" მის მიერ დანგრეულსა და გაძარცულ სახელმწიფოს, საშუალება ექნება უსასრულოდ აშანტაჟოს ქვეყანა იმის მუქარით, რომ მისი




დიდი მადლობა თქვენ, რომ შეწყვიტეთ ქართველი ერის შიგნით დაპირისპირების სიმულაცია

გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში, ქვეყანას იურიდიული უმეთაურობა მოელის. რომელი ჯობს ამ ორ ვარიანტში — ქვეყნის უმეთაურობა თუ ორგული და ყოველმხრივ უვარგისი მეთაურის ყოლა? ეს იგივეა, რაც კითხვის დასმა: რა გირჩევნიათ: შეგწვან, მოგხარშონ, თუ უმად შეგჭამონ? პრაქტიკულად ჩვენი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის, დღეს ეს კითხვა უპასუხოა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მსოფლიოში მიღებული კლასიკური აფორიზმი: ხელისუფლების უყოლობას რაგინდარა ცუდი ხელისუფლების ყოლა სჯობიაო. პრაქტიკულად ამ საკითხს — დარჩეს უვარგისი პრეზიდენტი ადგილზე თუ წავიდეს და კონსტიტუციური ვაკუუმი შექმნას — ჩანაფიქრით, მოსკოვი გადაწყვეტს.

დასკვნა ნათელია: თუ ქართველ ერს დღეს საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის სურვილი და ნებისყოფა აქვს და, აქედან გამომდინარე, უვარგისი პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვს (რასაც ნათლად მოწმობს დღეს პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე სტუდენტური აქცია), მაშინ აუცილებელია ა.წ. 6 ოქტომბრის პარლამენტის სესიის იძულება, რომ თავმჯდომარე აირჩიოს. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ეს თავმჯდომარე კარგი თავმჯდომარე იყოს და არა ისეთივე წითელი და რუსის მონა, როგორც შევარდნაძეა. მაგრამ ვისი ამოცანაა ამ მიზნის მიღწევა პარლამენტში? (რადგან, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პარლამენტზე გარეგანი „ზეწოლით" ძალიან ძნელია) ამას პარლამენტის შიგნით არსებული რამდენიმე ვარგისი პიროვნების მაქსიმალურად აქტიური ბრძოლა სჭირდება. შეძლებენ ისინი ამ ბრძოლას, რომელშიც, ისინი პრაქტიკულად, საქართველოს დღევანდელ მმართველთა მთელ ხროვას — მის ორგულობას, ანგარებას, პოლიტიკურ სიბეცესა და გონებრივ სივიწროვეს დაუპირისპირდებიან? დღეს ამ ბრძოლის ინიციატორებად რამდენიმე ახალგაზრდა დეპუტატი ჩანს იმათი რიცხვიდან, ვინც „მონკავშირის" მიერ წამოტივტივებულნი არიან პოლიტიკის თუ „პოლიტიკის" ასპარეზზე და დღეს, შესაძლოა (მაგრამ უეჭველი არაა), შევარდნაძეს მხოლოდ მისი უპერსპექტივობის გამო ემიჯნებიან. მხატვრულად რომ ვთქვათ, ისინი დღეს მამლურად ყივიან, თუმცა მამლები არ არიან. ხალხური რწმენაა: ქათამი რომ მამლურად დაიყივლებს, ეს უბედურების მომასწავებელიაო. ვისურვოთ, რომ ეს ასე არ იყოს. „რეფორმატორებად" სახელდებული ახალგაზრდა დეპუტატების ბრძოლა და მისი ხარისხი სულ მალე, 6 ნოემბერს გამოჩნდება.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრძოლა ამით მთავრდება და მისი შედეგი მხოლოდ ამ პიროვნების ძალისხმევაზეა დამოკიდებული. საქართველო არაა საოპერაციო მაგიდაზე მწოლარე პაციენტი, რომელსაც უმეცარი და ორგული ქირურგები დასტრიალებენ. არსებობს ბრძოლის სხვა ფორმებიც, რომლებსაც უფრო მაღალი ეფექტიანობა აქვს. ასე რომ საქმე, ძირითადად, ჩვენს უნარზეა დამოკიდებული.

**ნ. ნათაძე**

# ზურაბ პაპასქირი: „პარტიზანული მოქმედებები აფხაზეთის დასაბრუნებლად არ ყოფილა გამართული"



*ამ რვა წლის მანძილზე აფხაზეთის დასაბრუნებლად არაფერი გაკეთებულა იმდენი, რამდენიც — ახლა. თითქოს გაჩნდა იმედი აფხაზეთის დაბრუნებისა. სამწუხაროდ, სოხუმზე მისატანი იერიში საქართველოს ხელისუფლებამ უშიშროების სამინისტროს თაოსნობით ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ზე მიიტანა.*

*ყოველთვის ასე ხდება ხოლმე. როცა საქმე თითქოს აფხაზეთის დაბრუნებამდე მივა, ხელისუფლება ისეთი „სიურპრიზებით" გვიმასპინძლდება, რომ შეუძლებელია, ყური არ მიაპყრო, ხოლო აფხაზეთის და კოდორის ხეობის საქმეები განზე არ გადადო (?!). და მაინც, მშვენივრად გამოჩნდა, რომ ყოველივე ეს უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი იყო.*

*გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ პაპასქირი.*

**— ბოლო პერიოდში აფხაზეთში მიმდინარე პარტიზანულმა ომმა დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების იმედი გააცოცხლა, თუმცა აზრი, რომ აფხაზეთში დაბრუნება მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს, ბევრს არ შესცვლია. რამდენად დამაჯერებელია მოსაზრება, რომ ამ პრობლემის მოგვარება მშვიდობიანი გზით კიდევ შეიძლება?**

— ომით დაკარგულის მაინც და მაინც ომითვე დაბრუნების აუცილებლობას მე ვერ ვხედავ. ისტორიაში ყოფილა მომენტები, დიპლომატიით ბევრი რამისთვის მიუღწევიათ. მთავარია რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზება. 1918 წელსაც სწორედ ასე იყო. არც მაშინ უნდოდათ საქართველო აფხაზებს, მაგრამ დააკლდათ რუსეთის მხარდაჭერა, იფიქრეს, ამ სიტუაციაში არ გავიჭყლიტოთო და სასწრაფოდ მოაწერეს ხელი ავტონომიას.

სიჩქარე საჭირო არ არის. ჯერ საბოლოო გარანტიები უნდა გვქონდეს რუსეთისაგან. პირველ რიგში მან უნდა გაიყვანოს ბაზა. ჩვენ დადგენილება უკვე მივიღეთ, რამაც ძალიან ააფორიაქა რუსეთი. რასაც რუსეთის ხელისუფლების და მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი აკეთებს, აგონიაში მყოფი ქვეყნის რეაქციაა. კოდორის ხეობას რუსები ბომბავენ თუ აფხაზები, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ის გახლავთ, რომ რუსეთის კარნახით ხდება ყველაფერი.

**— პარტიზანულ დაჯგუფებებს უსისხლოდ დაბრუნების, კარგად ჩანს, არ სჯერათ და იარაღს მოჰკიდეს ხელი. ეს არ გახლავთ დიდი ომი, მაგრამ სისხლი, ფაქტია, იღვრება.**

— არავის აქვს უფლება, ჭკუა დაარიგოს პარტიზანებს და საკუთარი მიწაწყლისთვის ბრძოლა დაუშალოს. კაცს, რომელსაც სახლში შეუვარდნენ, კაცს, რომელსაც ყველაფერი გადაუწვეს, ვერაფერს ეტყვი, ეს შეუძლებელია.

ბოლო მოქმედებებმა აჩვენა, ამ წლების მანძილზე როგორ უნდა წარმართულიყო პარტიზანული ბრძოლა. მათ პირველად აჩვენეს აფხაზებს, რომ მდგომარეობა კრიტიკულია. პირველად დადგნენ ქართველები ფეხზე და ვნახეთ, ხუთასკაციანი რაზმის გამოჩენამ სოხუმის მისადგომებთან როგორი პანიკა გამოიწვია აფხაზებში. დიდი „სამხედრო პოტენციალი" ჰქონიათ სეპარატისტებს. ამ რვა წლის განმავლობაში თუნდაც ორჯერ რომ განგვეხორციელებინა ასეთი ოპერაცია, ურიგო არ იქნებოდა. აი, 1998 წლის გალის ამბები კი საშინელი შეცდომა და დანაშაულია, ამისთვის უეჭველად უნდა დასჯილიყვნენ დამნაშავეები.

**— კოდორის ხეობის პრობლემებს უცებ „რუსთავი 2"-ზე უშიშროების თავდასხმა მიება და საზოგადოების მთელმა ყურადღებამ აქეთ გადაინაცვლა. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?**

— აბსოლუტურად ვუჭერ მხარს იმ აზრს, რომ მასმედია თავისუფალი უნდა იყოს. ერთადერთი მონაპოვარი, რაც ამ პოსტკომუნისტურ პერიოდში გვაქვს, თავისუფალი პრესაა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მიმართ მე გარკვეული პრეტენზიებიც მქონდა. ვერანაირად ვერ გავიზიარებ იმ პოზიციას, რაც ტელეგადაცემა „60 წუთში" ჟურნალისტებმა კოდორის ხეობასთან დაკავშირებით დააფიქსირეს. როგორ მოხვდნენ ჩეჩნები იქ? ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, უდიდესი საქმე გაკეთდა. ამ კონკრეტულ მომენტში აფხაზეთის და კოდორის ხეობის სიტუაციის გაშუქება გამართლებული არ იყო სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. როცა ჩვენ, პარტიზანები ვიბრძვით, ყველა დეტალის ტელევიზიით ჩვენება სულაც არ არის საჭირო. ჩეჩნების იქ მოხვედრა ძნელი სულაც არ არის, რადგან ამ მხარის გაკონტროლება შეუძლებელია. მეორეც, პარტიზანული მოქმედებები აფხაზეთის დასაბრუნებლად არ ყოფილა გამართული. შეუძლებელია პარტიზანულმა შენაერთმა დიდი სამხედრო ამოცანა შეასრულოს. მან მხოლოდ ნიადაგი უნდა მოამზადოს. ჩვენ ეს სამხედრო ოპერაცია მოვიგეთ. სწორედ ამაში არ ვეთანხმები „რუსავი 2"-ის კომენტატორებს.

რაც შეეხება „რუსთავი 2"-თან დაკავშირებულ ინციდენტს, თუ დანაშაული მართლა არსებობს, სახელმწიფომ მისი მხილების ცოტა უფრო კომპეტენტურ ფორმაზე უნდა იზრუნოს და არა ისე, როგორც ამ დღეებში მოხდა. მთავარი დამნაშავე გადასახადების გადაუხდელობისას „რუსთავი 2" აღმოჩნდა, ეს ცოტა სასაცილოა.

**— ჩეჩნების აფხაზეთში გამოჩენას რაც შეეხება, იმასთან ერთად, თუ როგორ აღმოჩდნენ ისინი ამ ტერიტორიაზე, მგონი, ისიც უნდა გვაინტერესებდეს, რატომ არიან ისინი იქ. როგორც ვიცით, ჩეჩნები ჩვენს მოსახლეობას ხოცავდნენ, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ.**

— აფხაზეთის ომში სეპარატისტა ავანგარდს რუსებთან ერთად ჩეჩენი ბოევიკებიც შეადგენდნენ. ამის უარყოფა, ვინც ოდნავ მაინც არის ჩახედული აფხაზეთის კონფლიქტის პერიპეტიებში, არ შეუძლია. ჩვენი მოსახლეობის ცოდვა მათაც ადევთ კისერზე. საქართველოს მიმართ ღალატს ადგილი ნამდვილად ჰქონდა. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ დუდაევი, როგორც ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი, თავის ბოევიკებს აფხაზეთში შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად აგზავნიდა. გავიდა დრო. ჩეჩნებმა იმ იმპერიის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა, რომლის წისქვილზეც აფხაზეთში წყალს ასხამდნენ. დღეს ჩეჩენი ამბობს: „მომეცი საშუალება, სისხლით გამოვისყიდო ჩემი დანაშაული". ჩვენ ვერ ავუკრძალავთ მათ საქართველოსთვის სისხლის დაღვრას. ჭკვიანური პოლიტიკა ის არის — მტერს რომ მოყვარედ აქცევ და გვერდში ამოიყენებ. კარგია, რომ ჩვენი ურთიერთობა ასე დარეგულირდა. ვიცი, რომ ეს არის დანის წვერზე სვლა, შეიძლება ეს ყოველივე „დიდმა" მეზობელმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენოს, მაგრამ ჩვენ ისტორიულად ყოველთვის დანის წვერზე დავდიოდით.

**ედიტა გაბელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყაჩაღობათა სერია აფხაზეთში

# „ნიღბიან მძარცველებში ჩემი სტუმრები ამოვიცანი, პარტიზანების სახელით თავშესაფარი და საჭმელი რომ მთხოვეს“



შემოდგომა ყაჩაღობათა სიხშირით იწყება აფხაზეთში. მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო — თხილი საიდან არ იზიდავს მძარცველებს. აფხაზი „რეკეტიორები“ თხილის უკანასკნელ მარცვალს არ უტოვებენ ქართულ მოსახლეობას. აფხაზებს არამზადობაში არც ქართველები ჩამორჩებიან. პარტიზანების სახელს ამოფარებულნი შედიან ოჯახებში, მოიპოვებენ მათ ნდობას და... თვითმარქვია პარტიზანები პროფესიონალურ დონეზე ასრულებენ საქმეს. შრომისგან წელში გატეხილ ოჯახს ულუკმაპუროდ ტოვებენ.

გალის რაიონში ამგვარი ყაჩაღობის უამრავი ფაქტია დაფიქსირებული. ამგვარი თავდასხმის დროს ხშირია მსხვერპლიც. მძარცველები წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შესაბამის ზომებს იღებენ. მსხვერპლის არც დაუთოებას ერიდებიან და არც კბილების დაძრობას. ყველაზე სავალალო კი ის გახლავთ, რომ მოსახლეობა პირში წყალჩაგუბებულია და ხმის ამოღებას ვერ ბედავს, ან კი გამკითხავი ვინ არის? არადა, ძარცვარბევის ფაქტები საკმაოდ ხშირია.

ოჯახის უფროსი, რომელსაც ინტერვიუ ვთხოვეთ, გალის რაიონში, სოფელ ოტობაიაში ცხოვრობს. მათ ყაჩაღები 25 აგვისტოს დაესხნენ თავს და 600 კგ თხილი, ტყავის ქურთუკი და სხვადასხვა ნივთები წაიღეს. ჩვენი რესპოდენტის ვინაობის დასახელებისგან თავს შეგნებულად შევიკავებთ.

**— ბატონო კოტე, როგორ შემოიჭრნენ ყაჩაღები სახლში?**

— სანამ დამაყაჩაღებდნენ, ორი დღით ადრე, ღამით, სამი შეიარაღებული კაცი დამადგა თავზე. პარტიზანები ვართ, საჭმელი გვშიაო. მეც გამოვუტანე, რაც მქონდა. ჭამეს, დალიეს. მერე, 25 აგვისტოს დასაყაჩაღებლად შემოსულებში ის სამი კაციც ერია, ხმით ვიცანი და კიდევ, იცი, რით? იმათ მითხრეს — გუშინწინ ძაღლებს (პარტიზანებს) რომ აჭამე, როგორ გაბედეო.

**— ყაჩაღებს ნიღბები ჰქონდათ?**

— იმ სამს არ ჰქონდა, დანარჩენებს კი.

**— ესე იგი, ის სამი უცნობია, დანარჩენი ნაცნობი?**

— არა. მე არც ერთს არ ვიცნობ, თუმცა უკვე მეორეჯერ დამაყაჩაღეს.

**— ბატონო კოტე, საჩივარი რომ შეიტანოთ?**

— რა აზრი აქვს? ჯერ ერთი, არ დაიჭერენ, სანამ ქრთამს არ მისცემ. არ შეგვიძლია სხვის ტერიტორიაზე ვინმეს დაკავებაო, ამ კანონით სარგებლობენ სამართალდამცავები. თუ მაინც დაიჭერენ ყაჩაღს, ერთი ტონა თხილით ნებისმიერ დანაშაულს გამოისყიდის. მერე კი, ის ყაჩაღი მოგვიბრუნდება და უარესს გვიზამს.

ყაჩაღები ავტობუსებს და სამარშრუტო ტაქსებსაც სიამოვნებით ძარცვავენ. მგზავრებს ინტიმურ ადგილებსაც არ უტოვებენ დაუთვალიერებელს.

28 ოქტომბერს, სოფელ განახლებასთან ყაჩაღებმა თხილითა და მგზავრებით დატვირთული ავტობუსი გააჩერეს. სამი ტონა თხილი, ფული და ოქრო წაიღეს. შეშინებული მგზავრები სიხარულს ვერ მალავდნენ, რომ ცოცხლები გადარჩნენ.

მოსახლეობაში პარტიზანულ მოძრაობებს უკვე ეჭვის თვალით უყურებენ. მათ ჩირქი მოსცხეს თვითმარქვია პარტიზან-ყაჩაღებმა. ხალხი ვერ არჩევს, რომელია პარტიზანი, ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი და რომელი — მისი მძარცველი და მკვლელი.

კომენტარისთვის გალის რაიონის სამართალდამცავი ორგანოს ერთ-ერთ ჩინოსანს მივმართე. ჯერ ზემდგომი უწყების თანხმობის გარეშე ინტერვიუს ვერ მოგცემო, თავიდან მომიშორა. მერე ბევრი ხვეწნა-მუდარის წყალობით დამთანხმდა, მაგრამ ვინაობის გამხელა ამიკრძალა.

— ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ვაფიქსირებთ, ეს არის და ეს. მეტი არაფრის გაკეთება ჯერჯერობით არ შეგვიძლია. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩვენი შესვლა შეუძლებელია. უფროსები გვპირდებიან, იქ თუ აფხაზებმა დაგიჭირეს, რიყის თეთრ ქვაზეც არ გაგცვლითო,— გვითხრა მან.

მაშ, ვინ არის აფხაზეთში მცხოვრები ქართველების გამკითხავი? ვისი იმედი უნდა ჰქონდეთ მშობლიურ მიწა-წყალს დანატრებულ ხალხს, ლხინსაც, ტკივილსაც მდუმარედ რომ იკლავენ გულში?

საკითხავიც სწორედ ეს არის!

**ედიტა გაბელია**

# რა ენაზე სწავლობენ აფხაზეთში ქართველი ბავშვები?



გალის რაიონში შესვლისთანავე მოსახლეობამ პირველ რიგში მოზარდთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე იზრუნა და სკოლების აღდგენას შეუდგა.

როგორც ისტორიკოსები გვაუწყებენ, მტრის ყოველი შემოსევისას საქართველოში ის ობიექტები იძარცვებოდა და ინგრეოდა, რომლებიც კულტურის და სწავლა-აღზრდის მაღალი დონის მანიშნებელი იყო.

აფხაზმა ბოევიკებმაც პირველ რიგში სკოლები გაანადგურეს, მერხები და სკამები შეშად დაწვეს. საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებულ მოსახლეობას სკოლის შენობების ძებნა დასჭირდა. დღეს იქ უკვე 11-მდე სკოლა ფუნქციონირებს.

საინტერესოა, აფხაზების მიერ მითვისებულ მიწა-წყალზე ჩვენი მოსახლეობა რა ენაზე სწავლობს, პრობლემები რომ უთვალავი ექნებათ, ამაზე ორი აზრი, ცხადია, არც არსებობს.

გალის რაიონის სოფელ პირველ ოტობაიაში 1996 წელს საავადმყოფოს შენობაში გაიხსნა სკოლა, თუმცა 1998 წელს ისევ დაიხურა. მოსახლეობას ტერიტორიის დატოვება ისევ მოუხდა. სკოლამ 2000 წელს ფუნქციონირება განაახლა. დღეს აქ 240-მდე მოსწავლე სწავლობს. ამ სკოლაში 28 მასწავლებელია, რომლებსაც ხელფასს მშობლები უხდიან. როგორც ცნობილია, თვეში თითო მოსწავლეზე გადასახადი 5 ლარს შეადგენს. საუბედუროდ, გაჭირვებული მოსახლეობა ამ თანხის გადახდას ყოველთვის ვერ ახერხებს და მასწავლებლებიც, ფაქტობრივად, უხელფასოდ მუშაობენ.

სტუმრად მისულებს სკოლის დირექტორმა მიმოზა აფშილავამ გვიმასპინძლა. საუბარი მართლაც საინტერესო გახლდათ.

**— აფხაზური მხარე ხომ არ გიყენებთ რაიმე კონკრეტულ პრეტენზიას აფხაზური ენის შესწავლასთან დაკავშირებით?**

— არა. ჯერჯერობით არაფერი ისმის, თუმცა კიდეც რომ მოგვთხოვონ აფხაზური ენის სწავლება, ჩვენს სკოლაში, არც არის გასაკვირი. რა არის იმაში ცუდი, რომ მეზობლის ენა იცოდე?

**— როგორ ფიქრობთ, მოსახლეობა აგრესიულად არ შეხვდება ამგვარ მოთხოვნას?**

— არ ვიცი, როგორ გითხრათ. ალბათ, აგრესიაც იქნება. ხალხს ვერც გაამტყუნებ. ხომ იცით, დრო ყველაფრის მკურნალია. ჯერჯერობით აფხაზეთის განათლების სამინისტროც არავითარ პრეტენზიას არ გვიცხადებს. ალბათ, ხვდებიან თვითონაც...

**— ვიცი, რომ 1998-99 წლებში ზუგდიდში გახსენით თქვენი სკოლა და იქ საქართველოს განათლების სამინისტრო გაფინანსებდათ. ახლა კი თქვენგან ვიგებ, მოსახლეობა გიხდით ხელფასს. რას ნიშნავს ეს?**

— საქართველოს განათლების სამინისტრომ უარი გვითხრა ხელფასის მოცემაზე, გვეუბნებიან, აფხაზეთი ჩვენი არ არის, იქ თუ შეხვალთ, ჩვენ ხელფასს არ გადაგიხდითო. მოსახლეობა აქეთ არის, ჩვენი მოსწავლეები აფხაზეთში წამოვიდნენ. ჩვენ ზუგდიდში ვის ვასწავლოთ? მასწავლებლები იქ უნდა ვიყოთ, სადაც ჩვენი აღსაზრდელები არიან.

**ედიტა გაბელია**

რას წერენ ჩვენზე

# „ფაინენშელ ტაიმსი“ საქართველოს შესახებ (12 ოქტომბერი)

გაზეთმა მოათავსა რობერტ კოტრელის წერილი სათაურით „შევარდნაძე „ესენგედან“ გასვლაზე მსჯელობსო“. პუბლიკაციის მიზეზია საქართველოდან მისული ინფორმაცია, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გამწვავების შედეგად შევარდნაძემ პარლამენტის ლიდერებთან წამოჭრა „ესენგედან“ გასვლის თემა. შესაძლოა, საუბარი შეეხოს რუს მემშვიდობეთა გაყვანას აფხაზეთიდან, „პროვინციას, რომელიც საქართველოს მოსწყდა 1992-93 წლების სამოქალაქო ომის შედეგად“. გაზეთს მოჰყავს შევარდნაძის სიტყვები აფხაზეთიდან დევნილებთან შეხვედრაზე, რომლებიც „მოითხოვდნენ დარტყმას აფხაზეთის დაბრუნების მიზნით“. გაზეთი ახსენებს არძინბას მიმართვასაც პუტინისადმი, რომ „საჭიროა სწრაფი მოქმედება, რათა ომი არ მოხდეს“.

გაზეთი წერს: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას დიდი ხანია უშლის ორი მთავარი დავა. რუსეთი აცხადებს, საქართველო იფარავს ჩეჩენ მეამბოხეებსო, საქართველო კი რუსეთს ბრალად სდებს აფხაზეთის სამხედრო დახმარებას ომის დროს და ომის შემდეგ. რუსეთი ინარჩუნებს სამხედრო ბაზას აფხაზეთში, რითაც ტეხს ივლისში მიცემულ პირობას“.



„გასულ რამდენსამე კვირაში რუსეთმა გაალვივა თავისი რიტორიკა საქართველოს წინააღმდეგ, რაც, როგორც ჩანს, გამოიწვია ცნობებმა ცნობილი საველე მეთაურის გელაევის შეფარების შესახებ. აფხაზეთმა ბრალად დასდო საქართველოს, რომ იგი აპირებს, აფხაზეთში თავის პარტიზანებთან ერთად ჩეჩნები გამოიყენოს“.

„რუსეთის სამხედრო მინისტრმა ს. ივანოვმა გამოთქვა ყველაზე დიდი გაფრთხილება საქართველოსადმი, „ნათელია, რომ ან საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ვითარებას თავის ტერიტორიაზე, ან ტერორისტებით მანიპულირებას ეწევა თავისი მიზნების მისაღწევადო“. დუმამ დიდი უმრავლესობით მიიღო განცხადება, სადაც ბრალს სდებს ქართულ ხელისუფლებას, რომ არ ღებულობს ზომებს ბანდიტთა წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოში მომზადებას გადიან“.

ამ შემოტევის ფონი იყო უჩვეულო მოვლენები, როგორიცაა გაეროს თვითმფრინავის ჩამოგდება, რომელიც კოდორის ხეობის მორიგ ინსპექტირებას ეწეოდა. ეს ხეობა, რუსეთის სიტყვით, ჩეჩნების მთავარი ბაზაა.

დანარჩენი კონფლიქტური ეპიზოდების ჩამოთვლის შემდეგ გაზეთი წერს: „ურთიერთბრალდებები და მოწინააღმდეგის ცნობების უარყოფა აძნელებს ძალადობათათვის პასუხისმგებლობის სწორ განაწილებას მხარეებს შორის. მაგრამ ანალიტიკოსები წინასწარმეტყველებენ, რომ შეიძლება განვითარდეს მდგომარეობა.

აფხაზებს ეშინიათ ახალი დარტყმებისა პარტიზანთა მხრიდან, რომელთაც ზურგს უკან 250 ათასი დევნილი უდგათ. ქართველებს ეშინიათ, რომ რუსეთი თავის ომს ჩეჩენთა წინააღმდეგ საქართველოში გადმოიტანს და ამას მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დაარქმევსო“. გაზეთი იმოწმებს შევარდნაძის გამოსვლას ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც დაახლოებით ასეთი პროგნოზი იყო გამოთქმული: „საქართველოს ნაბიჯები „ესენგედან“ გამოსასვლელად რუსეთის მიერ აღქმული იქნებოდა როგორც დიდი წკიპურტი. დეპუტატმა რაგოზინმა განაცხადა, რომ „საქართველო ცეცხლს ეთამაშება“. „რუსეთის დახმარება რომ არა, შინაგანი წნევა საქართველოს ნაკუწებად აქცევსო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

წინამდებარე მცირე პუბლიკაციის ავტორს და მის პროგნოზებს „საქართველოს“ მკითხველი კარგა ხანია იცნობს. სამწუხაროდ, მისი პროგნოზები, როგორც წესი, მართლდება. დღეს შემოკლებით (სამწუხაროდ!) ვაქვეყნებთ მის შენიშვნას ერთ მწვავე პრობლემაზე, რომელსაც გამწვავების დიდი პერსპექტივა აქვს. მასზე შემდგომი მსჯელობა (როგორც ბატონ დავითიანის, ისე სხვა ავტორთა აზრის პუბლიკაციის სახით) „საქართველოს“ გეგმაში აქვს.

# ბუნებაში არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა _ არსებობს გამოუყენებელი მდგომარეობა!

კითხვას „რა ვაკეთოთ?“ კაცობრიობა დასაბამიდან სვამს და ყოველთვის პოულობს ადეკვატურ პასუხს! სახეზეა, — და არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ გაშიფრვას, — ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ღია ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა მზაკვარი ხელისუფლების მხრიდან, წლების განმავლობაში წარმოებული მიზანმიმართული ფაქტობრივ მოღალატური ქმედება კატასტროფული შედეგებით.

რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის, კერძოდ, საქართველოსა და ქართველების პრობლემა. რაოდენ მტკივნეულად ალსაქმელია ის პრიმიტიული აბსურდი, რომ ეს, თურმე, ჩვენივე (მთელი ერის) „უხერხემლობის“, მეტიც — დასაბამიდან ჩვენი „ურთიერთგაუტანლობის“ (რასაც მოდური თვითგვემით დღენიადაგ დაჟინებით ჩაგვჩიჩინებენ გახელისუფლებული მედროვე პრიმიტივი არაკაცები), შედეგია.

ფაქტია, რომ დიდი ხანია დაიწყო მსოფლიოს გადანაწყობა-გადანაწილება — და ჩვენც, უნებურად მოვხვდით პლანეტის დღევანდელი ე. წ. „ზეძალების“ ზეწოლის ერთ-ერთ ეპიცენტრში. მეტნაკლებად ასეთ წნეხშია დღეს მთელი კულტურული მსოფლიო. ამის მიზეზები ხელოვნურია (არაბუნებრივი), პრობლემები, ხშირ შემთხვევაში, თავსმოხვეული.

გლობალიზაციისა თუ დიქტატის მიმდინარე ველური პროცესების ფაქტობრივად იმპერატიული ფორმა ძირშივე წინააღმდეგობაშია ადამის მოდგმის ევოლუციის, კულტურული კაცობრიობის თვითმყოფადი განვითარების ბუნებასთან (ანუ იგი არაბუნებრივია!). ეთიკისა და ზნეობის ელემენტარულ ნორმებზე აქ ლაპარაკიც არ გახლავთ. მისი „მარტივი“ (ცხოველურობამდე დასული) ბუნება არ არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ისტორიული განვითარების მთელი არსებული ჯუჭვის ლოგიკური გაგრძელება — იგი შეიძლება მხოლოდ დასასრული იყოს... საერთო-პლანეტარულ კატაკლიზმამდე კი ჩვენ ბრძოლა გვმართებს! ...და გამარჯვება! არ ეგების დავიწყება, „ვისი გორისანი ვართ!“

მიზანმიმართულად და ზეწოლის მთელი იდეოლოგიური და ძალისმიერი ფრონტით მიმდინარეობს ადამიანთა „ზომბირება“. შექმნილ ანარქიაში ადამიანის უფლებათა დაცვის ქარტიის — ამ ჭეშმარიტად ჰუმანური იდეის — ნიღბით ფაქტობრივად ძალზედ „მაღალპროფესიულად“ ხდება ადამიანში მისი პრიმიტიული, „თავისუფალი“ ველური საწყისების აპოლოგია და უწინარესად მასში ეროვნულ-კულტურული გენეტიკური მემკვიდრეობითი ღირებულებების, ტრადიციების, ეროვნული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების დევალვაცია-ამოძირკვა, ერის, როგორც სუბიექტის სრული იგნორირება (უარყოფა?!), ხოლო „ეროვნული ქარტია“ — ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ეროვნულ მონაპოვართა დაცვის ქარტია, ჯერ არ დაწერილა,ვინაიდან „დიდი“ სახელმწიფოები მის დასაწერად ჯერ „არ მომწიფებულან“, ისინი ვერ ითავისებენ, ვერ გრძნობენ პრობლემას. ე. წ. „მცირე ერებს“ კი არავინ უსმენს!

რეალობა ასეთია: ყოვლისწამლეკავი ზეწოლით ჩვენ დღითიდღე გვერთმევა ისტორიული მეხსიერების — ეროვნული თვითშეგნების უფლება. შედეგად ყოველივე ზემოთქმულისა დღევანდელობის ურთულესი, მაგრამ გადაუდებელი ამოცანაა: ერი როგორც კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ღირებულება, როგორც განუმეორებელი თვითმყოფადი სულიერი ფენომენი (აქ არ არის ლაპარაკი ეთნიკურ ჯგუფებზე), აპრიორი უნდა ცნონ საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტად. სახეზეა საერთაშორისო სამართლებრივი ვაკუუმი ერის უფლებათა დაცვის (ისტორიული ერის ფენომენის) მიმართ.

ბუნების ცოცხალ სახეობათა შენარჩუნება-გადარჩენის აქტუალური პრობლემის გადასაწყვეტად ე. წ. „წითელი წიგნები“ შეიქმნა. რა ლოგიკაა ერისა და ეროვნულ ღირებულებათა განადგურების ხარჯზე ადამიანის უფლებათა დაცვის ამნაირად რეალიზებულ ფსევდოლოზუნგში?! განა ადამის მოდგმის თვითმყოფად ერებად ჩამოყალიბებული ნაწილების — ამ უნიკალური ფენომენის — სახეობითი ნიველირება-ზომბირება-მოსპობა აუცილებელია ცალკეულ ინდივიდთა (ან თუნდაც ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფთა) განსაკუთრებული დაცვის გზაზე?! ეს ე. წ. „დაცვა“ ხშირად ხდება ასეთ ინდივიდთა თუ მარტოოდენ ეთნიკურ ჯგუფთა მიერ პროვოცირებულ ანტისახელმწიფოებრივ ვანდალურ ქმედებათა ფაქტობრივი მხარდაჭერის სახით. გადასახედი ყოფილა თავად სახელმწიფოს დანიშნულება, მისი ფუნქციონალური არსი და, საერთოდ, მისი არსებობის აუცილებლობა! სადამდე მიგვიყვანს ასეთი ლოგიკა?! ...თანამედროვე მსოფლიოს ფილოსოფიური აზროვნება, ოფიციალური საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტები თითქმის არ ერევა ამ პროცესებში. (ცალკე თემაა ის, რომ ასეთი ე. წ. „უფლებადაცვითი“ საერთაშორისო დაინტერესება ხშირად „შერჩევითი“, სუბიექტური, ორმაგი თუ მრავალმხრივი სტანდარტებით მიდგომის ხასიათისაა და უმრავლეს შემთხვევაში ლოგიკურ წინააღმდეგობაშია არა მხოლოდ ობიექტურ რეალობასთან, არამედ ანალოგიურ ადრინდელ „ჩარევებთან“ შეჯერებისას).

ნურავინ ეცდება დაგვწამოს, თითქოს მკითხველს ჩვენ საერთაშორისო ინსტიტუტებისადმი თუ ცალკეული მომრავლებული ე. წ. ჰუმანიტარული სტრუქტურებისადმი კონფრონტაციისაკენ მოვუწოდებდეთ. არამც და არამც! ჩვენ საკუთარი, მყარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი პოზიციების მტკიცე დაცვით, — სწორედ ამ ინსტიტუტების ლეგალური, ოფიციალური მისიის საწესდებო (საპროგრამო) მუხლებზე დაყრდნობა-გამოყენებით, — მათი მხრიდან მტრული, უკანონო ზეწოლის მოგერიება უნდა შევიძლოთ! შეგვიძლია თუ არა ვპოვოთ ჩვენში ძალა ამ ფატალური ზეწოლის გაძლება-დაპირისპირებისა? შეგვიძლია! ყველამ „თავისი საქნელი უნდა ვქნათ“! „მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია!“ „მტერსა რომ მტრულად დაუხვდე, თავად უფალმა ბრძანა!“ ამას უპირობოდ უზრუნველჰყოფს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნების და ზემოთ ნახსენები ჩვენი მრავალმხრივი უნიკალური გენეტიკური და ბუნებრივი პოტენციალის ადეკვატური და მძლავრი შემართებით ამოქმედება!

კაცობრიობა შეიძლება არც მიიჩნეოდეს ერთიან კულტურულ ფენომენად. (ამაზე დავაა). კაცობრიობა სხვადასხვა ეპოქებში ერებით შევსებული საწყაულია (თანაც, ალუვსებელი!). თავად ერების და ერთა შორის თვისობრივ განსხვავებათა ფასეულობა — და არა მხოლოდ ცალკე ადამიანისა — არის ბაზა უდიდესი საკაცობრიო კულტურული ღირებულებებისა, მათი უმნიშვნელოვანესი მასაზრდოებელი.

თუ ეთნოსი გარკვეული თვალსაზრისით მხოლოდ ბიოლოგიურ ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს, ერი უკვე ჩამოყალიბებული, ერთობლივი ისტორიულ-კულტურული მყარი სულიერი ფენომენია, იგი უმაღლესი სულიერი კატეგორიაა, საკუთარი უნიკალური საკაცობრიო ღირებულებების შემოქმედი და დამამკვიდრებელი.

ადამიანის სულიერება, ადამიანური საწყისის უმაღლესი ღირებულება მნიშვნელოვანწილად ზნეობრივი ნორმებით რეალიზდება. აღნიშნულ ღირებულებათა დამკვიდრებაში, დაცვაში, ერთობლივ განვითარებაში ექნება კაცობრიობას მომავალი და რეალურია მტკიცება, რომ როცა კაცობრიობაში სიძულვილი (შური, ურთიერთჯიბრი) გადააჭარბებს სიყვარულს (სულიერ თანადგომას, სათნოებრივ საწყისებს), კაცობრიობა დაიღუპება!

დიახ, ასეთი კატასტროფული გზით ადამიანის გონების ცალმხრივი განვითარება ოდესმე უცილობლად ამოწურავს ადამიანური გონის ღვთაებრივ სულიერ რესურსებს! ამიტომაც დგას დღეს ასე მწვავედ უმაღლეს ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა მტკიცედ შენარჩუნება-დაცვა-განვითარების პრობლემა. ვიმეორებთ, ეს არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე ერის პრობლემა, ეს მთელი კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის დღეს უკვე ფატალური პრობლემაა, ამასთანავე — ობიექტურად პერსპექტიული (საამისო გონებრივი რესურსი კაცობრიობას ჯერ კიდევ გააჩნია),გადაწყვეტადი პრობლემა! ამ, სიმბოლურად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტ საღვთო ბრძოლაში გვიპირისპირდება ყბადაღებული ზომბირებული, უსახური საზოგადოების „შექმნის“ მომძლავრებული ტენდენცია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადი კულტურული ღირებულებების ტრადიციული ინსტიტუტების მოსპობის ხარჯზე. ამის შესანიშნავი „ბაზაა“ ის, რომ არ არსებობს ზემოხსენებული „ეროვნული ქარტია“ — ეროვნულ ღირებულებათა მონაპოვნების ზოგადსაკაცობრიო დაცვის ქარტია, თუმცა მიღებულია ადამიანის მარტოოდენ ინდივიდუალურ უფლებათა დაცვის ცალმხრივი ქარტია, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად „ათავისუფლებს“ ადამიანს აუცილებელი ადამიანური მოვალეობებისაგან (ერის, სამშობლოს, ქვეყნის, საზოგადოების, ოჯახის, მშობლების, შვილების და ბევრი სხვა რამის წინაშე). ამ მოვალეობათა შესახებ იქ გარკვევით არაფერი წერია! სახეზეა ყოვლისწამლეკავი, უმაღლესი საერთაშორისო ნორმების ამ ცალმხრივობით გამაგრებული ე. წ. „ეროვნული კანიბალიზმის“ იდეოლოგია. სად დაიწერება და ვინ დაწერს ესოდენ აუცილებელ „ეროვნულ ქარტიას“?! საამისო ინტელექტუალური რესურსი არის საქართველოს აკადემიურ არეალზეც. სასურველია, დროზე იქნეს ორგანიზებული ამ უმწვავესი საკაცობრიო პრობლემის თავდადგმის ქართული მცდელობა (უეჭველად წარმატებული!).

ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ისიც, რომ ეს სატკივარი არამც თუ ჩვენთან და რეგიონში, არამედ პლანეტაზეც ყველას სატკივრად იქცეს. პრობლემას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო. სხვაგვარად ყველა დამარცხებული დარჩება — პლანეტა უკაცურ სამხეცედ იქცევა.

ამ პუბლიკაციის მიზანს სწორედ ზემოხსენებული ბოროტების წინააღმდეგ აღდგომის საფუძვლიანობის შესაძლებლობის, გამარჯვების პერსპექტიულობისა და გარდუვალობის ობიექტური იდეოლოგიური დასაბუთება-მტკიცებაც წარმოადგენს, ისევ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში. ცხადია, ყოვლის მომცველად გააზრებული იდეოლოგიური უზრუნველყოფა გაცილებით მეტი და სხვა არგუმენტების მოშველიებასაც საჭიროებს, რაც უფრო ფართოსა და სწორედ ყოვლისმომცველს გახდის ამ ბრძოლის უალტერნატივობას.

**დ.დავითიანი**

# VIVAT HISTORIA
## (9) ანუ ოდესღაც მართლაც დიდი ყოფილა საქართველო

1899 წელს, თავის მართლაც რომ გენიალურ ნაშრომში „ქვათა ღაღადი“, დიდი ილია წერდა: „ჩვენისთანა დაბრიყვებული დაბალ ლობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს, ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგზე ალგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღეს ვართ“.

ეს სიტყვები ამ ასი წლის წინათ დაიწერა და, აი, ასი წლის შემდეგ, რომ ილიას დღევანდელი საქართველო ეხილა, დარწმუნებული ვარ, ბერბიჭაშვილს გასროლა არ დასჭირდებოდა, მას გული გაუსკდებოდა ახლანდელი საქართველოს შემყურეს. საქართველოსი — რომელსაც ილიასდროინდელი ტერიტორიების ნახევარიც აღარ შერჩენია დღეს; რომლის ეკონომიკაც მიწასთანაა გასწორებული და მთელი ხალხი მხოლოდ სხვისი წარმოებული საქონლის მყიდველ-გამყიდვლად გადაქცეულა; რომელსაც ყველაზე დიდი განძი ქართველობა-ეროვნულობა წაართვეს, ხოლო პატრიოტიზმს ფაშიზმად უთვლიან და თვითონ კი დამუნჯებულა და ხმა ველარ ამოუღია; ქვეყნისა, რომლის მშრომელი, გამრჯე და ბეჯითი ხალხი სამათხოვროდ დადის უცხოთა მიწა-წყალზე; ქვეყნისა, რომელსაც არავითარი ეროვნული იდეოლოგია არ გააჩნია და არც იცის, რა უნდა ააშენოს, ან საით უნდა წავიდეს; ქვეყნისა, რომელსაც ტერიტორიებთან ერთად, ისტორიასაც ჰპარავენ და განმკითხავი კი ჯერ-ჯერობით არავინაა.

უფრო მეტიც, ვისაც მოესურვება და როგორც მოესურვება, ისე იჩემებენ თავიანთ არარსებულ აბორიგენობას საქართველოს ძირძველ მიწა-წყალზე.

აი, ორი საუკუნის წინათ, ჯავახეთში რუსი გენერლის პასკევიჩის მიერ თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები ავტონომიისათვის კონსტიტუციას იმზადებენ და არად დაგიდევენ, რომ ქართული ჯავახეთი ამიერკავკასიაში სომხების ანუ ჰაიკების შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა.

ასევე, ამ სამი-ოთხი საუკუნის წინათ, ქვემო ქართლში სპარსეთის შაჰების მიერ შემოსახლებული თურქმანული ტომების დღევანდელ მემკვიდრეებს — აზერბაიჯანლებს ჩააგონებენ, შინაური თუ გარეული ქართველთმოძულენი, რომ სწორედ ისინი არიან ოდითგანვე ამ მიწის აბორიგენები, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით;

ოსებმა და აფსუებმა ხომ რეკორდები დაამყარეს. ასორმოცდაათი წლის წინათ საქართველოში შემოხიზნულმა უმიწაწყლო ოსებმა რუსული იმპერიული ძალების წყალობით ორ ქართულ რაიონში საპრეზიდენტო რესპუბლიკა გამოაცხვეს და გვარიანად მიჰყვეს ხელი საქართველოს ისტორიის გაყალბებას და მითვისებას, იმდენად გვარიანად, რომ ქართველთა მეორე ბიბლია „ვეფხისტყაოსანიც“ კი ოსურ ეპოსად გამოაცხადეს.

ასევე, რუსული იმპერიული ძალების წყალობით, 90 ათას კაციანმა აფსუებმა, არათუ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერჯერობით იურიდიულად უღიარებელი ე.წ. საპრეზიდენტო რესპუბლიკა შექმნეს, არამედ იმავე იმპერიული ძალების ხელშეწყობით და ზოგიერთი რუსი და ქართველი ვაიმეცნიერის თანადგომით, გააჩაღეს არნახული კამპანია საქართველოს ისტორიის გაყალბებისა იმ დონემდე, რომ თვით დავით აღმაშენებელი და თამარ მეფეც კი საკუთარ მეფეებად გამოაცხადეს იმ უბრალო მიზეზისა და გაუგებრობის გამო, რომ ადიღეური მოდგმის აფსეუბს, რომელნიც აფხაზეთში მე-17 საუკუნიდან იწყებენ ჩამოსახლებას, ხოლო მანამდე კი ყუბანისპირეთში მომთაბარეობდნენ, აფხაზები შევარქვით და გავუჩინეთ ისტორიულ აფხაზობასთან, იგივე ქართველობასთან, წილნაყარობის პრეტენზია.

აი, ასე დაიხლართა და აიბურდდაიბურდა საქართველოს ნამდვილი ისტორია და ეს დახლართვა იქამდე მივიდა, რომ აფსუებმა რუსების ხელშეწყობით დაიწყეს ისეთი „ნაშრომების“ გამოცემა და მსოფლიოში გავრცელება, სადაც „ამტკიცებენ“, თითქოს ქართველები კავკასიის აბორიგენები არ არიანო.

და ამ ფონზე, რაოდენ სამწუხაროა, რომ ქართული ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა საბჭოთა პერიოდის დროინდელი შიშისაგან „ვაითუ აფხაზებს (უნდა იყოს — აფსუებს) ეწყინოთო“ და ამ დამთრგუნველი ე.წ. „აფხაზურ(აფსუურ)-ადიღეური“ სინდრომისაგან, რომელსაც ასე მარჯვედ ნერგავდნენ იმპერიული ძალები.

ამ სერიის წინა წერილებში საქართველოს ისტორიის გაყალბების არაერთ მტკივნეულ საკითხზე ვესაუბრეთ მკითხველს, გაყალბებისა, რომელშიაც ზოგიერთი ქართველი მეცნიერიც საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობდა და დღესაც თამაშობს.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ნავსი გატყდა და ბოლო პერიოდში მკვლევართა ერთმა ნაწილმა, მოიშორა რა ეს შემბოჭავი „აფხაზურ (აფსუურ)-ადიღეური არწყენინების შიშის სინდრომი“, საყურადღებო შრომები გამოაქვეყნა, რომელთაც, სამწუხაროდ, უცხოეთს რომ თავი დავანებოთ, ჩვენშიაც არ უწევენ სათანადო პოპულარიზაციას, როგორც ამას ჩვენი მეზობლები აკეთებენ და, რომლებშიც სხვა ადრინდელ ნაშრომებთან ერთად, თვალნათლივ მტკიცდება, რომ ოდითგანვე საქართველოს ერთადერთი აბორიგენი ქართველური მოდგმის მოსახლეობაა.

ამჯერად ჩვენი მიზანია მკითხველს ვესაუბროთ ერთ მეტად საინტერესო ნაშრომზე, რომელიც გვიჩვენებს, თუ მართლაც რანი ვყოფილვართ ქართველები და სადამდე ვყოფილვართ განფენილნი.

ქართველ ისტორიკოსებს რომ „სომხური პატრიოტიზმი“ ჰქონდეთ (რასაკვირველია, კარგი, თეთრი შურის გაგებით), ისინი ეცდებოდნენ, რომ ეს ნაშრომი გადაითარგმნოს რამდენიმე უცხო ენაზე და გავრცელდეს საზღვარგარეთ. რათა უცხოელ მეცნიერებსა და მკითხველებსაც სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ, თუ რა დონეზე აყალბებენ დღეს საქართველოს ისტორიას, რომ ტერიტორიული ანექსია გაამართლონ.

მე მხედველობაში მაქვს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბ-ნ ზურაბ რატიანის 1995 წელს გამოცემული, მცირე მოცულობის, სულ რაღაც 80 გვერდიანი წიგნი „წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო“, რომელიც, მკითხველისა და მეცნიერის მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ტომებს გადასწონის მასში განხილული საკითხებითა და გაკეთებული დასკვნებით.

ამ სტრიქონების ავტორი დიპლომიანი ისტორიკოსი არ გახლავთ, მაგრამ ჩემთვის ფრიად სამწუხაროა, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრენი ეგოიზმის, ინდიფერენტიზმის თუ სხვა რაღაც „იზმების“ წყალობით, ისე არიან დაქსაქსულნი, რომ ერთმანეთის ნაშრომებს

დასასრული მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ობიექტური ინფორმაცია




# „ტერორის ფესვები“

## ანუ ვინ არიან და საიდან მოდიან ტერორისტები

რაც უფრო კულტუროსანია ქვეყანა, მით უფრო ადრე იაზრებს, აანალიზებს და აზოგადებს იგი კერძო ფაქტებში ყოველივე იმას, რაც უნდა გააზრებულ და განზოგადებულ იქნას. 11 სექტემბერს რომ ამერიკაში დიდი ტერაქტები მოხდა და ექვსი ათასი სული შეიწირა, 12 სექტემბრის დილას, ანუ ოცდაოთხზე ნაკლები საათის შემდეგ, გაზეთ „ფაინენშელ ტაიმსში“ უკვე მოთავსებული იყო ოთხი წერილი, სადაც ეს მწუხარე გამოცდილება ზოგადდებოდა და აშშ-ის ხელისუფლებას ფრთხილი რჩევა ეძლეოდა იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს. გაზეთმა „საქართველომ“ ამ უაღრესად საგულისხმო წერილთა შინაარსი მოკლედ მიაწოდა ქართველ მკითხველს 2 ოქტომბრის ნომერში. ამჯერად ვაწვდით მკითხველს მასალას ჟურნალ „ნიუ საინტისტიდან“, რომელიც ამავე თემის შემდგომ გააზრებას შეიცავს.

„რაც დრო გადის, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ნანგრევები უფრო და უფრო ემგვანება საზიარელ სამარხს, სადაც არა მხოლოდ ვილაცის ახლობლები არი-




ამერიკელი დემონსტრანტი: „დღეს ვგლოვობთ, ხვალ შურს ვიძიებთ“

ან მოყოლილნი ნანგრევებს ქვეშ, არამედ ძველი უყოყმანო შეხედულებებიც იმაზე, თუ როგორია ეს წუთისოფელი“ — წერს ჟურნალი.

„ძირითადი, რაც ჩვენ შევიტყეთ ასეთი ულმობელი გზით, ისაა, რომ ჯვაროსნულ ომში გამოსული ადამიანი უფრო სახიფათოა, ვიდრე ლაზერით მართული რაკეტა. დღეს, მართალია, ათასნაირ ლობეებს ვაგებთ ჩვენი თავის დასაცავად, მაგრამ არ უნდა შევცდეთ და არ უნდა გვეგონოს, რომ ამით გადავურჩებით ასეთი ამფეთქებლების მოქმედებას. მართალია, ჩვენ შეგვიძლია ჯიბის დანების და ქაღალდის საჭრელი სამართებლების კონფისკაცია მოვახდინოთ (ეს ის იარაღებია, რომლითაც ტერორისტებმა თვითმფრინავების ეკიპაჟები აიყვანეს და მგზავრები დააშინეს, რედ.) და ისიც კი ძალგვიძს, რომ თვალი მივადევნოთ იმ ჩრდილოვან გზებს, რითაც ამგვარი ტერაქტების მომზადების პროცესი მიმდინარეობს, განსაკუთრებით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამის მიღწევას მხოლოდ ახალ-ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით ვცდილობთ. მაგრამ, რეალურად, არ არსებობს ისეთი ტექნიკური საშუალება, რომლითაც სრულ უსაფრთხოებას შევიქმნით ისეთი ტერორისტების წინააღმდეგ, რომელსაც თავის ჯილდოდ და საზღაურად მხოლოდ უეცარი ძალადობითი სიკვდილი და შემდგომი სამოთხის ნეტარება ეგულებათ.

მართალია, ჩვენ შეგვიძლია ამ ტერორისტებს სიცოცხლე გავუმწაროთ. მაგრამ მანამდე, სანამ არსებობენ ეს ტერორისტებიც და ისინიც, ვინც მათ იდეოლოგიურად და ფსიქოლოგიურად ამზადებენ, ჩვენ მათგან ვერ დავიცავთ ყველა ხალხმრავალ რესტორანს და ყველა გაჭედილ მატარებელს.

მაშ როგორ გვინდა დავძლიოთ ტერორიზმი? ფაქტებმა უკვე დაგვანახა, რა ძნელია სარწმუნო მონაცემთა მოპოვება ბინ ლადენთა შესახებ, თუ მხოლოდ იარალსა და დიპლომატიას დავეყრდნობით, და რა ძნელია სხვა სახელმწიფო დავარწმუნოთ, რომ მათი თავი ჩვენ გადმოგვცეს. ბალისტიკური რაკეტები ვერას გარგებთ, თუ არ იცით, რას დაუმიზნოთ. ყოვლისმომცველ ომს ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ, როგორიც ავღანეთია, მხოლოდ დიდი მსხვერპლი და დესტაბილიაცია მოაქვს. ერთ-ერთი ყველაზე უარესი, რასაც დღევანდელი მსოფლიო შეიძლება დღეს ელოდეს, არის თალიბებისთანა რეჟიმის დამყარება პაკისტანში, რომელსაც ბირთვული იარაღი აქვს ხელთ.

მაგრამ არც ტერორისტთა დაშოშმინების პოლიტიკა იქნებოდა სწორი არჩევანი. აშშ-ს და მათს მოკავშირეებს მკაცრი მოქმედება ჰმართებთ. ოღონდ მათი მოქმედება უნდა იყოს ზუსტი და გაზომილი, თუ არ გვინდა ის მოხდეს, რისი იმედიც ტერორისტებს აქვთ. პერსპექტივაში, ტერორიზმის დაძლევის საუკეთესო გზაა მისი მიზეზების დაძლევა. ეს კი ფრიად ფაქიზი საკითხი გახლავთ. არავინ — ვიმეორებ: არავინ არ იმსახურებს იმას, რომ ტერორისტული იერიშის მსხვერპლი გახდეს, როგორც ეს ნიუიორკელებს და ვაშინგტონელებს უყვეს. ამ აქტთა ჩამდენს არანაირი გამართლება არა აქვთ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ დავეთანხმოთ იმათ, ვინც ამბობს, რომ ამის გაფიქრებაც კი, „ტერორიზმს პოლიტიკური და ეკონომიკური ფესვები აქვსო“, ანტიამერიკული პოზიციაა და ტერაქტების მსხვერპლთათვის შეურაცხმყოფელიაო.

სულაც არა! შუა აღმოსავლეთი სავსეა ტერორისტული ჯგუფებით და სავსეა, აგრეთვე, სიღატაკით, ტანჯვითა და პოლიტიკური რეპრესიებით. ფეხით გათელილი და უსწავლელი არაბი ბიჭები ბევრად უფრო ადვილად აჰყვებიან ტერორიზმის ცდუნებას და თავს წარმოიდგენენ მებრძოლ გმირებად და თვითმკვლელ ამფეთქებლებად, ვიდრე მათი უფრო ბედნიერი ტოლები. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ არის, ჩვენ მაინც უნდა შევძლოთ, რომ ამ ბიჭებსაც თავისი წილი ჰქონდეთ ცხოვრებაში. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, რომ ამ ბიჭებმა დასავლეთი აღარ დაინახონ, როგორც მტერი, რომელიც მათ ექსპლუატაციას ლამობს, ხოლო იმისთვის, რომ ეს შევძლოთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სინამდვილეში ეს ასე არ არის“.



„თავი დაალწიეს ცეცხლმოდებულ შენობას“

ბუნებრივია, რომ პრობლემა ეხება ბინ ლადენისა და მისი თანამოაზრეების მომავალი მოქმედების პროგნოზირებას. რომელ სამიზნეს აირჩევენ ისინი? ბრიტანელი ექსპერტი გუნარატნას დაკვირვებით, ბინ ლადენს განსაკუთრებით დიდი ობიექტები იზიდავს, ამიტომ სავარაუდოა, რომ თავის სამიზნედ, მაგალითად, ავიამზიდი აირჩიოს. ამერიკელი ადმირალი პასუხობს, არა, ავიამზიდი კარგადაა დაცულიო. მაგრამ ბრიტანელი ექსპერტი შენიშნავს: „დაცულია, ოღონდ ციდან ჩამოვარდნილი თვითმფრინავისგან ვერაო“. ამერიკაში, როგორც ვიცით, ტერაქტი სწორედ ციდან ჩამოვარდნილი ოთხი თვითმფრინავის სახით განხორციელდა.

ტერორისტებს, ექსპერტთა



აზრით, ერთმანეთის ბაძვა ახასიათებთ. იმას, რა მოხდება მათი აქტის შედეგად, ისინი ძალიან დეტალურად ხედავენ ხოლმე გონების თვალით. ფსიქოლოგიური რუბიკონი გადალახულია. ექსპერტები მოელიან, რომ ტერორისტები გამოიყენებენ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს და რომ ამ იარაღის მისატანად დანიშნულების ადგილზე ისინი შეეცდებიან სხვა თანამედროვე ტექნიკაც გამოიყენონ, ისე, როგორც გამოიყენეს სამგზავრო თვითმფრინავები ამჯერად. მოსალოდნელია, რომ სახიფათო ქიმიურ საწარმოებს დაუმიზნონ და ამით ქიმიური ომის გზა შეიმოკლონ. ჯერ კიდევ 11 სექტემბრამდე ექსპერტები ამბობდნენ, რომ ტერორიზმი სახეს იცვლის: თუ ადრე მისი მიზანი იყო შევაჭრება (მაგალითად, პატიმართა გამოშვებინების მიზნით) და ამიტომ ტერორისტები უმალვე აცხადებდნენ თავის თავს, ახლა მიზანია მხოლოდ მასობრივი კვლა და ამიტომ ტერაქტები ანონიმური იქნებაო. შესაბამისად, თუ ადრე ტერორისტს ასე თუ ისე ეძლეოდა მფრინავის კაბინაში შეღწევის საშუალება, ახლა მფრინავები კაბინის დაცვას და პირად იარაღს ითხოვენ.

აქამდე აშშ-ის 300 მილიარდიანი სამხედრო ბიუჯეტის მხოლოდ 4% ეძლეოდა ტერორიზმთან ბრძოლას. ახლა ეს პროცენტი რადიკალურად გაიზრდება.

ამერიკაში უკვე მოხდა ცვლილებები ადამიანებზე (მათ შორის — მგზავრებზე) კონტროლის გამკაცრების მიმართულებით, მაგალითად, დაკანონდა სატელეფონო მოსმენების პრაქტიკა. ასეთივე „კაციჭამიური“ ზომები მიღებული იქნება სხვა ფორმებითაც. ექსპერტების აზრით, გარდუვალია, რომ უსაფრთხოების დაცვაში აქცენტმა გადაინაცვლოს არა ტექნოლოგიებზე, არამედ ადამიანებზე: აუცილებელი გახდება აგენტების ჩანერგვა ტერორისტულ ორგანიზაციებში, რისთვისაც აუცილებელი გახდება ამგვარი აგენტებისათვის არა მხოლოდ რუსულის, არამედ სხვა ენების სწავლებაც. აგრეთვე აუცილებელი იქნება სადაზვერვო და უშიშროების სამსახურებში ასაყვანი პირებისათვის იმ მოთხოვნის შემსუბუქება, რომ „უხინჯო“ ბიოგრაფია ჰქონდეთ. (დ. მაკ კენზის წერილიდან იმავე ჟურნალში).

„ახალი ეპოქა, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტთა შემდეგ დგება, მოითხოვს სიახლეს მშენებლობაში და უბედურებათაგან შენობების დაცვის მეთოდებში. სიახლეები იქნება ადამიანთა პიროვნების დადგენის ტექნოლოგიაში — მაგალითად, პირადობის მოწმობაში ფარულად ჩაწერილი იქნება მონაცემები ამ პირის შესახებ, რომლებიც შეიცავს მის დახასიათებას პოლიტიკური ინტერესის თვალსაზრისით, გაფართოვდება ტელეფონთა კონტროლი, საეჭვოთა გადაადგილების თვალყური და ა. შ. უფრო მეტიც: მუშაობის განახლებას აპირებს ერთ-ერთი ფლორიდული კომპანია, რომელიც ქმნის კანქვეშ მოსათავსებელ მიკროსკოპიულ მოწყობილობას, რომელიც ადამიანის გადაადგილებისა და მოქმედების მუდმივი კონტროლის საშუალებას იძლევა.

მაგრამ კითხვა — „დაგვიცავს თუ არა ადამიანის ყოველმხრივი კონტროლის რაგინდარა განვითარებული ბიომეტრიული და სხვა სისტემები თვითმკვლელური ტერორიზმისაგან“? — მაინც დგას. დადებითი პასუხი საეჭვოა,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა








# „პუტინი რუსეთს ამზადებს დოლარის დაცემისათვის"





ამ სათაურით ჟურნალ EIR აქვეყნებს ა. ჰარტმანის სტატიას, სადაც ავტორი ვარაუდობს, რომ რუსეთის ხელისუფლება მოელის დოლარის დიდ დავარდნას მსოფლიოში მიმდინარე დიდი ფინანსური კრიზისების გამო და ემზადება, ამ პროცესში სარგებლობა ნახოს. რუსეთი რომ ყველა ღონეს ხმარობს, რათა აქტიური პოზიცია მოიპოვოს მსოფლიო ეკონომიკაში იმ უპირატესობისა და პრესტიჟის გამოყენებით, რასაც მას „დიდ შვიდეულთან" მიერთება აძლევს, ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ რუსეთი აქტიურად ისწრაფის მსოფლიო პოლიტიკაში მონაწილეობისაკენ ახალ როლში, რომელიც თვით ანტიტერორისტული აქციის მხარდაჭერასაც კი მოიცავს. ამავე დროს „იდგმება ფრთხილი ნაბიჯები", რათა, ჯერ ერთი, რუსეთი მოზღუდულ იქნას დოლარის თავზე დატრიალებული კრიზისის საშიშროებისაგან. მეორეც, განზე გაწეულ იქნას დოლარი, როგორც რუბლის მეტოქე, რუსეთის შიგნით.

ამ პროცესში, ჟურნალის სიტყვით, პუტინი პირადად თამაშობს აქტიურ როლს. მისი საქმიანობა ამ მიმართულებით მოიცავს დიპლომატიურ მხარესაც (მაგ. მან გვირგვინი დადო მარშალ მანერჰაიმის საფლავზე, რომელიც ფინეთის მეთაურობდა რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ომის დროს და მან ბალტიისპირეთის ქვეყნებზე თქვა, მათი ნატოში შესვლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს მათ სრულებით არ სჭირდებათო) და ეკონომიკურსაც. სახელდობრ, რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო, გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, შეერყია დოლარის, როგორც „სარეზერვო ვალუტის" პოზიცია რუსეთის მოსახლეობის თვალში ა. წ. ივლისის დასაწყისში ოქროს „ჩერვონეცი" და ვერცხლის მონეტა ლეგალურ ვალუტად გამოცხადდა. აგვისტოს დამლევს შეჩერებულ იქნა ოქროსა და სხვა კეთილშობილი ლითონების ექსპორტი, რომელიც არ აღდგება ახალი მარეგულირებელი წესების შემოღებამდე, რაც თვეებს მოითხოვს. პუტინმა გაჩენისთანავე უარყო ხმები რუსეთში საბჭოურის მსგავსი სავალდებულო სახელმწიფო სესხის გავრცელების შესახებ. ბერეზოვსკის მეტ-ნაკლებად პროპაგანდისტულმა ჩარევამ მანეთისადმი ნდობის შესუსტების ნაცვლად მხოლოდ დოლარისადმი სწრაფვა შეასუსტა. რუსეთს ამჟამად „ყიდვის მანიაა" დაუფლებული. შენახული დოლარები იხარჯება მანქანების, ავეჯის, მაცივრების და სხვა ხანგრძლივი მოხმარების საგანთა შესაძენად. რუსების ფსიქოლოგიური მიბმულობა დოლარზე ძალიან შესუსტდა, მანეთზე — გაიზარდა. ამ ტენდენციის გაგრძელება დოლარის კრიზისისგან რუსეთის დაცვას ამაგრებს.

## კლონირება ელექტრონიკის წინააღმდეგ

კლონირების ცნობილმა მქადაგებელმა სტივენ ჰოუკინგმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ უნდა გავაუმჯობესოთ ადამიანები გენეტიკური ინჟინერიის საშუალებით, რათა ადამიანს კომპიუტერებმა ვერ აჯობონ. „ჩვენი ინტელექტისაგან განსხვავებით, კომპიუტერთა სიმძლავრე ყოველ 18 თვეში ორმაგდება. ამიტომ რეალურად შესაძლებელია, მათ გონიერება განავითარონ და მსოფლიოში გაბატონდნენ".

# გერმანია მზადაა უფრო დიდი როლისთვის მსოფლიოში



ჰაიკ სიმონიანი „ფაინენშელ ტაიმსში" ვარაუდობს, რომ შროდერის სიტყვები, აშშ-ში მომხდარ ტერაქტთა შემდეგ გერმანიის როლი მსოფლიოში, როგორც „მეორეხარისხოვანი მოთამაშისა", შეიცვლებაო, რეალობას შეესაბამება. ილაპარაკა რა ავღანეთის კრიზისზე, შროდერმა თქვა, რომ გერმანიას ჰმართებს თავისი მზაობის დემონსტრირება უფრო დიდი საერთაშორისო პასუხისმგებლობისათვისაც, ვიდრე დღეს აქვს. ამას გულისხმობს, შროდერის აზრით, გერმანიის გაერთიანებისა და მისი სრული დამოუკიდელობის მოპოვების ფაქტი. კანცლერი ფიქრობს, რომ გერმანია ადრინდელივით, ამერიკისა და ევროპელი მეზობლების შემყურე აღარ უნდა იყოს. მსოფლიო პოლიტიკის ახალი ფაზა, რომელიც დღეს ისახება, მოითხოვს სამხედრო აქციებში ჩაბმას ისეთი მასშტაბით, რომელიც ადრე დღის წესრიგში არ იდგა. „სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ეს მოიცავს მონაწილეობას ისეთ სამხედრო მოქმედებებშიც, რომლებიც მიზნად ისახავს თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვას და სტაბილობისა და უსაფრთხოების შექმნას" — თქვა მან.

კანცლერის კილო ერთობ ზეაწეული იყო, რაც ასახავდა კიდეც და ავსებდა კიდეც გერმანელების მიერ აშშ-ს მხარდაჭერის იმ მაღალ დონეს, რაც შეინიშნება ამერიკაში მომხდარის შემდეგ. მხარდაჭერის ეს დონე მკვეთრ კონტრასტშია იმ ყოყმანთან, რაც ახასიათებდათ გერმანელებს საერთო მოქმედებებში ჩაბმასთან დაკავშირებით უშუალოდ გაერთიანების შემდეგ, როცა გაურკვეველი იყო, როგორი იქნებოდა გერმანიის საგარეო-პოლიტიკური როლი.

გამოკითხვამ გამოაჩინა, რომ დიდი მხარდაჭერა აქვს კანცლერის „უყოყმანო ერთგულების" პოლიტიკას ვაშინგტონის მიმართ, თვით სამხედრო მონაწილეობის ჩათვლით, რისი მიმართულების დაკონკრეტებაც არ მომხდარა.

შროდერი რომ ასე მკაფიოდ გამოთქვამს გერმანიის მიერ უფრო დიდი ინტერნაციონალური როლის თავსდების სურვილს, ახალი საფეხურის მაჩვენებელია იმ პროცესში, რომელიც შროდერის ხელისუფლებაში მოსვლისთანვე დაიწყო ამ სამი წლის წინათ.

იმ დიდი ორჭოფობის შემდეგ, რაც გერმანიის პოლიტიკიას ახასიათებდა ბოსნიის კონფლიქტის დროს, როცა შროდერი ჯერ ხელისუფლებაში არ იყო, გერმანიის პოლიტიკა უფრო და უფრო თამამი გახდა ევროკავშირთან მიმართებითაც და საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხებშიც. საგარეო საქმეთა მინისტრ ფიშერთან ერთად შროდერმა გერმანიას მოუპოვა უფრო აქტიური როლი მშვიდობის დაცვის საქმეში ჯერ ბალკანეთში, შემდეგ — ახლო აღმოსავლეთში.

მოსალოდნელია, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკის ამ სიახლეს — გერმანულ დიპლომატიაში სამხედრო ელემენტის უფრო და უფრო მეტად შეტანას — ძლიერი საპარლამენტო მხარდაჭერა ექნება.



## ჩინეთი და ტაივანი

ხმელეთი ჩინეთისა და ტაივანის კონფლიქტის ზონაში პირველი კომერციული შეთანხმება დაიდო სამთავროში კომპანიებს შორის. იგი ეხება სრუტეში მდებარე ნავთობის საბადოების ექსპლოატაციაში.

## სეპარატისტი მეკობრეები

ინდონეზიელი სეპარატისტები ემუქრებიან ზღვაოსნობას მალაკას სრუტეში, სადაც მსოფლიოს ყველაზე დიდი მოძრაობაა. პარტიზანთა ლიდერმა იშაკ დაუდმა არაპირდაპირი გზით გამოუცხადა მხარდაჭერა ჰონდურასული გემის დაკავებას და მისი ეკიპაჟის მძევლებად აყვანას. დაუდს უნდა, რომ აქ მავალმა გემებმა მისგან ნებართვა ითხოვონ ხოლმე.

# ბჟეზინსკი და კასპიის სამიტი



რუსეთ-აზერბაიჯან-ყაზახისტან-თურქმენისტან-ირანის სამიტი სექტემბრიდან ნოემბერზე გადაიდო ერთის მხრივ შინაგანი უთანხმოების, მეორეს მხრივ ახალი დრამატული მოვლენების გამო. ახალი კრიზისს მიზეზი გახდა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ინგლისური ფირმის ორი ხომალდის შესვლა ირანის მიერ თავის კუთვნილად მიჩნეულ აქვატორიაში. აზერბაიჯან-თურქმენისტანის უთანხმოება ზღვის კიდევ უფრო დიდი ნაკვეთის მიკუთვნებას ეხება.

ჟურნალი EIR თვლის, რომ კონფლიქტის სათავეში „გეოპოლიტიკური გიჟი" ზ. ბჟეზინსკი და „ბრიტანული წრეები" დგანან. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო დესპანმა კასპიის რეგიონში ელიზაბეტ ჯონსმა ბაქოში ყოვნისას გააფრთხილა ირანი და სრული პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვა აზერბაიჯანს. ქალბატონი ჯონსის მგზავრობა მოიცავდა საქართველოს და უკრაინას და მას მიზნად ჰქონდა გუუამის (საქართველო, უკრაინა, უზბეკისტანი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) „არარუსული" ალიანსის შეკრების ორგანიზება ვენაში. იგი დაინტერესებულია აგრეთვე ბაქო-ჯეიჰანის პროექტის წინ წაწევით, რომელიც განზე ტოვებს რუსეთს და ირანს.

რაც ამ „თამაშებმა", ჟურნალის სიტყვით, „ვერ ჩაშალეს", შემდეგია: პირველი. გრძელდება ჩრდილოეთი-სამხრეთის რკინიგზის მშენებლობა კასპიის დასავლეთი ნაპირის გასწვრივ რუსეთიდან სპარსეთის ყურემდე. მეორე. ყაზახისტანი და თურქმენეთი სწავლობენ ნავთობსადენის გაყვანის შესაძლებლობას ირანის გავლით სპარსეთის ყურისკენ, რაც ყველაზე მოკლე და იაფი სატრანზიტო მარშრუტია ნავთობისათვის.

## ამერიკელ მუსლიმანთა განცხადება

ამერიკელ მუსლიმანური ურთიერთობების საბჭომ, რომელიც ვაშინგტონშია განლაგებული, ამერიკელი მუსლიმანების დაცვა ითხოვა იმ „სიძულვილის დანაშაულთაგან", რაც 11 სექტემბრის ტერაქტს მოჰყვა. მისი პრეს-რელიზით, ორი კაცი მოიკლა ტყვიით, აგრეთვე იყო მრავალი სხვა შემთხვევა, რომელიც ამერიკაში ანტიმუსლიმური განწყობილების აღდგინებას მიეწერება, მოხდა ისლამურ ცენტრებზე ავტომანქანების დაჯახება ოჰაიოსა და ინდიანას შტატებში და ბომბიააფეთქეს სან-დიეგოში. თავდასხმა და დაშინების შემთხვევები ათასობითაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ობიექტური ინფორმაცია

# ამერიკა და ნატო - შორი-შორი მეგობრები



ბრიტანული ჟურნალი The Economist, რომელსაც „საქართველო" ხშირად იმოწმებს მისი განსაკუთრებული ინფორმაციული და ანალიტიკური ხარისხის გამო, სპეციალურ წერილს უძღვნის აშშ-სა და ნატოს სამხედრო ბლოკის ურთიერთობას, რომელიც დღევანდელ კრიტიკულ ვითარებაში თავისი ახალ-ახალი წახნაგებით ჩანს. ვბეჭდავთ ამ წერილის ოდნავ შემოკლებულ შინაარსს.

იქმნება უცნაური შთაბეჭდილება, თითქოს ნატოს, რომელიც მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ბლოკია, მნიშვნელობა აკლდება. თუმცა, აშშ-მა და მისმა თვრამეტმა ნატოელმა მოკავშირემ, 11 სექტემბრის ტერაქტების მეორე დღესვე აამოქმედეს ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც ერთ რომელსამე წევრზე თავდასხმა ყველა დანარჩენზე თავდასხმადაც მიიჩნევა, ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი ხალისით ჩადგებიან ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ამერიკულ წყობილებაში. ამერიკელებიც, თავის მხრივ, ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ახალ მეგობრებს აგროვებენ ტუნისიდან პაკისტანამდე. მაგრამ ამავე დროს დიდ ყურადღებას არ უთმობენ ნატოს არც როგორც გადაწყვეტილებათა მიღების მონაწილეს, არც როგორც მებრძოლ ძალას. აშშ-ის თავდაცვის მდივანმა (ანუ სამხედრო მინისტრმა) დონალდ რამსფელდმა ვერ მოიცალა თავისი თანამებლოკეების შეკრებაზე დასასწრებად 26 სექტემბერს. მისმა მოადგილემ ვოლფოვიცმა, რომელიც თათბირზე მის ნაცვლად მოვიდა, ევროპელები განაცვიფრა იმით, რომ ბ-ნ ლადენისა და მისი ორგანიზაცია ალ-კაედას ბრალეულობის უეჭველი მტკიცებულებები ვერ წარადგინა. მხოლოდ 2 ოქტომბერსღა აღირსეს ნატოელ მოკავშირეებს ბრიფინგი ამ თემაზე სახელმწიფო დეპარტამენტის (ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროს) ანტიტერორისტული სამმართველოს უფროსის პირით. ამან გაუხსნა გზა ამერიკელებს, რათა ფრიად თავდაჭერილი მოთხოვნები წაუყენონ თავის მოკავშირეებს საბრძოლო მონაწილეობის მხრივ. მაგრამ ამავე დროს ამერიკელები ბევრად უფრო დიდ ძალისხმევას დებენ იმაში, რომ თავისი ფრონტისპირა მოკავშირეების კეთილგანწყობა განიმტკიცონ, მაგალითად, საუდის არაბეთისა და უზბეკისტანისაც კი.

არაა გასაკვირი, რომ ნატოს გენერალური მდივანი, ლორდი რობერტსონი, მთლად თანახმა ვერ არის. მას ჰსურს, რომ მეხუთე მუხლისეულ მოწოდებას დიდი მორალური წონა ედებოდეს. მისი სიტყვით, ამ მოწოდებამ „დამაელექტროებელი გავლენა" მოახდინა შეერთებულ შტატებში და მან „წამყვანი როლი შეასრულა" მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში ანტიტერორისტული კოალიციის სასარგებლოდ. მაგრამ, მისი აზრით, ნატოს როლი, როგორც განხილვის, კონსულტაციისა და გააზრების ძირითადი ფორუმისა, ევროპული დემოკრატიებისათვის, პრაქტიკულად ფრიად მცირეა. იგი არ კამათობს იმაზე, რომ ამერიკელებს სრული უფლება აქვთ იმისიც, რომ მარტომ იომონ, და იმისიც, რომ თავისი ყურადღების ცენტრში ამ შემთხვევაში არა ნატო, არამედ თავისი სხვა, ახალი მოკავშირეები მოაქციონ.

დღეს პუტინი ხშირად ხვდება ნატოს ხელმძღვანელებს, ხაზს უსვამს რუსეთის ახალგაჩენილ აუცილებლობას დასავლეთის ამოცანებს და ნაკლებ გალიზიანებით ეხება ნატოს გაფართოების თემას. რობერტსონს არა აქვს სურვილი, ნატოში რუსეთის შესვლას მიემხროს. იგი იმის თქმით კმაყოფილდება, რომ ნატოს „არასოდეს უთქვამს, არასოდესო". სიფრთხილეს იჩენს ნატოს გაფართოების ტემპის საკითხშიც.

ჟურნალის აზრით, დღეს სკეპტიკოსები მოელიან, რომ ამერიკელთა საკუთარი გაჭირვება აიძულებს მათ, ნაკლები ყურადღება დაუთმონ მცირე ქვეყნებს, როგორც არიან ბალკანეთის და ბალტიის სახელმწიფოები. რობეტსონის კონცეფციით, ამერიკელების პრობლემები აღმოსავლეთში საჭიროს გახდის ამერიკელთა სამხედრო ნაწილების გადაყვანას ახალ ფრონტებზე და მათი ადგილის დაჭერა ევროპელების ფუნქციაა. მათ ამერიკელებს ამით უნდა „ტვირთი შეუმსუბუქონ".




## ფაქტები და მოთხოვნები

(ევროკავშირში „უმცირესობათა" უფლებებზე ღელავენ)

სოროსის მიერ დაფინანსებული „ღია საზოგადოების ინსტიტუტის" (OSI) ცნობებით, რომელსაც „ფაინენშელ ტაიმსი" იმოწმებს, ევროკავშირში შესვლის მსურველ ქვეყნებს შეახსენეს, რომ მათ მეტი ენერგიის გამოჩენა ჰმართებთ სხვადასხვა სახის უმცირესობათა უფლებების დაცვის საქმეში. ეს კამპანია დაემთხვა აგრეთვე ამ ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისადმი ყურადღების გაძლიერების მოთხოვნის კამპანიას. თუმცა სიტყვით ორივეს აღიარებენ. ეს ქვეყნები, გაზეთის ცნობით, პრაქტიკულად მრავალ ხარვეზს ითმენენ ამ საქმეებში, როგორც პრაქტიკულად, ისე კანონმდებლობის დონეზე. ზემოთ დასახელებული საერთაშორისო ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ ამ პრეტენდენტ ქვეყნებს უნდა მოეთხოვოს უფრო ზუსტი შესატყვისობის დაცვა სიტყვასა და საქმეს შორის. დისკრიმინაციის ობიექტებად სახელდებიან ბოშური თემები სლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში და ჩეხეთში. სავსებით მომცველი და დამაკმაყოფილებელი კანონმდებლობა ცხოვრების ამ სფეროსათვის ამ რეგიონის ქვეყნებს შორის ჯერ არც ერთს არ აქვს, ანუ არც ერთი ამათგანის კანონებში არაა მთელი სისრულით გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რასაც აყენებს „რასათა თანასწორობის დირექტივა", ევროსაბჭოს მიერ გამოცემული ერთი წლის წინათ. ის, რომ ზოგჯერ მთავრობები — პირველ ყოვლისა, უნგრეთისა — თავის დოკუმენტებში მაინცდამაინც მკაცრად არ ლაპარაკობენ ამ მოვლენასთან ბრძოლაზე — სოროსის განცხადებით „ფრიად შემაშფოთებელია". ბალტიის ქვეყნებს უსაყვედურებენ რუსებისათვის მოქალაქეობის შეფერხებას, აგრეთვე იმას, რომ ლატვიაში რუსების უფლებები შემოფარგლულია დედაენაზე სწავლით, მისი სასკოლო გამოყენებით და შრომის ბაზარზე თავისუფლად ფიგურირებით.

# „ამერიკა, ჩინეთი და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა"

ბუშის გეგმას, რომ შეიქმნას შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, ფართო მხარდაჭერა აქვს. მაგრამ, The Economist-ის სიტყვით, მრავალი ამ ენთუზიასტთაგანი მტრულად ჰხვდება ადმინისტრაციაში გაჩენილ აზრს, რომ შესაძლოა ღირდეს, ამერიკელებმა ჩინეთს მისი დღესდღეობით მომცრო ბირთვული არსენალის ცოტაოდენი გაზრდის დასტური მისცენ, რათა ჩინეთი, თავის მხრივ, ამერიკელების ამ გეგმას დაეთანხმოს. ჟურნალის აზრით, უეჭველია, რომ ჩინელებს ამ მსჯელობაზე ეღიმებათ, რადგან მათ არასოდეს მოჰსვლიათ აზრად, ამერიკელებთან შეეთანხმებინათ თავისი ბირთვული შეიარაღების გეგმები. რამდენადაც ჩინეთი ყველაზე უფრო გასაიდუმლოებულია ბირთვოსან სახელმწიფოთა შორის, ამერიკელები ვერასოდეს გაიგებენ, მოახდენს თუ ვერ მოახდენს ანტისარაკეტო თავდაცვის ბუშისეული გეგმა რაიმე გავლენას ჩინელების მიერ თავისი ბირთვული იარაღის მოდერნიზაციისა და რაოდენობრივი გაზრდის პროცესზე. ამიტომ ბუშმა, ჟურნალის აზრით, სხვა გზები უნდა ეძებოს, რათა ამერიკელების ანტისარაკეტო დაცვის გეგმებმა და ჩინელების მიერ ბირთვული რაკეტების განვითარების გეგმებმა ამ სახელმწიფოთა შორის შუღლის ნაპერწკალი არ წარმოშვან.

ბევრად უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ამერიკა, როგორც ჩანს, განწყობილია მიანიშნოს ჩინეთს, რომელსაც, თვით ამერიკასავით, ხელმოწერილი აქვს, მაგრამ რატიფიცირებული არა აქვს ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომ გარკვეულ პირობებში შეერთებული შტატები წინააღმდეგი არ იქნებიან, თუ ჩინეთი ამ გამოცდას განაგრძობს. ამით, ჟურნალის სიტყვით, ამერიკა ხავისთავს მტრობს.

ბუშმა მართებულად აღნიშნა, რამდენად სახიფათოა შორი რადიუსის რაკეტების მშენებლობის ნოუ-ჰაუთა გავრცელება აზიაში, შუა აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურის ზონაში. ბუშს აწუხებს ის, რომ რომელიმე დაინტერესებულმა რეჟიმმა, რომელსაც მცირეოდენი ბირთვული რაკეტები აქვს ხელთ, ამის გამო შეიძლება იფიქროს, რაკი ნიუ-იორკზე, ლოს ანჟელესზე, ბერლინზე და პარიზზე დარტყმა შემიძლია, ყველა სხვა აგრესია ადვილად შემრჩებაო. ამერიკაში ყველა როდი ფიქრობს, რომ ამერიკის ანტისარაკეტო დაცვის გეგმა ამ საშიშროების დამაკმაყოფილებელი პასუხია, მაგრამ სკეპტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ თვით პრობლემა არსებობს. რუსეთი და ჩინეთი, რომლებმაც ჩრდილო კორეასთან ერთად ყველაზე დიდი ღვაწლი დასდეს ამ დარგში არამზადა რეჟიმების ჩართვას, იძულებულნი გახდნენ გაემკაცრებინათ თავისი ქვეყნიდან ბირთვულ მასალათა ექსპორტის მარეგულირებელი წესები, იმ დროს, როცა თვით ამერიკამ მოულოდნელად სანქციები მიუყენა ჩინურ კომპანიას, რომელიც რაკეტების განვითარებაში ეხმარებოდა პაკისტანს.

მაგრამ ყურადღების კონცენტრაცია მხოლოდ ბირთვულსა და სარაკეტო ხიფათზე, როგორც ეტყობა, ხელს უშლის ბუშის გუნდს სხვა ხიფათთა დანახვაში. არის მომაკვდინებელი მასობრივი იარაღის ადგილზე მიტანის არაერთი სხვა საშუალებაც. ვინაიდან ტექნოლოგიები იშვიათად თუ მუშაობენ სავსებით უნაკლოდ.

ბუშს ჰმართებს, რომ მასობრივი მოსპობის იარაღებისა და მათი მიტანის საშუალების არგავრცელების თვალყური თავის პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნიოს. ბირთვულქობანიანი რაკეტების წინააღმდეგ დაცვის სისტემის მშენებლობა მხოლოდ უკანასკნელი ზომაა იმ შემთხვევისათვის, თუ ამ იარაღთა არგავრცელებისკენ მიმართულმა დიპლომატიამ ვერ გაჭრა.

ბუშის დიპლომატები გვიმტკიცებენ, არც იმ სხვა იარაღთა გაუვრცელებლობისათვის ბრძოლას ვაკლებთ ხელსო. მაგრამ, ამის საპირისპიროდ, მათ, ამავე დროს, უნდათ შეკრიჭონ ის ფონდები, რომლებიც განეკუთვნება ბირთვული მასალებისა და სპეციალისტების სხვა ქვეყნებში გადენად რუსეთის ბირთვული კომპლექსიდან, რომელიც დღესდღეობით რღვევის პროცესშია, და მათ ჰსურთ იარაღით ვაჭრობის შეზღუდვები მოჰხსნან ინდოეთს ისე, რომ მისგან სარაკეტო და ბირთვული მეტოქეობის კურსის შეცვლას არ დაელოდონ. ვითარებას ართულებს იმის ვარაუდიც, რომ ჩინეთმა შესაძლოა უარი თქვას თავის დაპირებაზე, ბირთვულ გამოცდებს აღარ ჩავატარებო.

ბუში არც ბირთვული გამოცდების აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციას აპირებს. მის მრჩეველთა არგუმენტაციით, ერთის მხრივ, ეს ხელშეკრულება ვერ შეაკავებს ახალ სახელმწიფოთა მიერ ამ იარაღის მოპოვების პროცესს (ეს თემა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების საგანია), მეორეს მხრივ, იგი პასუხისმგებლობის მქონე ბირთვულ სახელმწიფოებს წაართმევს თავისი იარაღის სრულყოფის შესაძლებლობას. მაგრამ, წინააღმდეგ ამ არგუმენტაციისა, აშშ-ს მოეპოვება თავისი ბომბების ნახაზთა შემოწმებით სხვა საშუალებებიც. ამერიკელების პირობამ, რომ ბირთვულ გამოცდებს აღკვეთენ, გააადვილა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების შეუზღუდველი გავრცელება. თუ ამერიკა ხელს აიღებს ამ პირობაზე, მაშინ სხვა სახელმწიფოებიც, დღეს რომ ბირთვული ბომბის შექმნაზე ფიქრობენ, თავს უფლებას მისცემენ გამოცდები ჩაატარონ. ჟურნალის სიტყვით, ამერიკელებისათვის სიგიჟეა მილიარდების დახარჯვა ანტირაკეტული დაცვის სისტემის მშენებლობაში და ამავე დროს იმ წესების შესუსტება, რომელიც ზღუდავს იმ იარაღთა შექმნას, რომლებმაც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაცვის ეს სისტემა გაარღვიონ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ობიექტური ინფორმაცია

უცხოეთი

# „ტერორის ფესვები“

## ანუ ვინ არიან და საიდან მოდიან ტერორისტები

დასაწყისი მე-7 გვერდზე




პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ გზით მიღებული ინფორმაციის დამუშავებაც, თავისთავად, პრობლემაა და მასში „საეჭვოს“ გამორჩევის ამოცანა ვერ გამორიცხავს შეცდომას „ნორმისა“ და „ნორმიდან გადახვევის“ ანუ საეჭვოს განსაზღვრაში. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს თვალთვალის ამ ტექნოლოგიებში მიღწეული წარმატება, ამით არ მოიხსნება ის ძალიან მძიმე პრობლემა, რომელსაც ჰქვია ერთის მხრივ კონტროლისა და ორგანიზაციის, მეორეს მხრივ კი ადამიანის პირადი და სოციალური თავისუფლების ურთიერთმიმართების სწორი პროპორციის პოვნა. მართალია, დღეს ამერიკელთა უმრავლესობა თანახმაა, ყველა ნაბიჯზე კამერები მიუშვირონ და ყოველი თვალის დახამხამება უკონტროლონ, ანუ თანახმანი არიან პირადი თავისუფლების ნაწილი დათმონ, ოღონდ სამაგიეროდ უსაფრთხოება მიიღონ. მაგრამ, ექსპერტთა თქმით, ის აზრი, თითქოს თავისუფლების დათმობა უსაფრთხოებას იძლეოდეს, ილუზიაა. გადამწყვეტი, საბოლოო ანგარიშში, ისაა, თუ რამდენად მონდომებულია („მოტივირებულია“) უსაფრთხოების დამცველი, რომ ტერორისტი გააუვნებლოს მისი და მისი ორგანიზაციის აღმოჩენის სახით, და რამდენად მონდომებულია თვითონ ტერორისტი, რომ თავისი შავბნელი საქმე აღასრულოს.

რედაქციისაგან. ბნელი პროგნოზი, რომელსაც მკითხველს ამ პუბლიკაციით ვაცნობთ, შედარებით ნათელ წერტილებსაც მოიცავს. სახელდობრ, სასიხარულოა ის, რომ მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების ინტელექტუალური ელიტის თვალში მკაფიოდ ისახება ის რეალისტური აზრი, რომ შეუძლებელია კაცობიობის მომავლის განსაზღვრა ისე, თუ ამ მომავლის ძირითად ფაქტორს — ადამიანის ბუნებას და მის ამოუცნობ შიდა წიაღს, რომლის გამოც იგი „არა ხოლო პურითა ცხოვნდების“, არამედ სხვა მრავალი არამატერიალური მოთხოვნილებითაც, ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა. მაგრამ არ უნდა შეგვექმნას ილუზია, თითქოს ეს ღრმა განჭვრეტა და პროგნოზი, რომელიც ციტირებულ ავტორებს აქვთ, მექანიკურად და ავტომატურად მოწმობდეს დღევანდელი ზეგანვითარებული მსოფლიოს თვალში იმის აღიარებას, რომ ეროვნული სახელმწიფო, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების ფორმა, ყველა სხვა ფორმებზე უფრო მიზანშეწონილი, ანუ ადამიანის ბუნებისათვის ყველაზე უფრო შესატყვისი ფორმაა, და ამიტომ უპირობო აღიარებასა და დაცვას საჭიროებს. მოსალოდნელი, უფრო,სხვა გახლავთ: ტერორიზმის შიში გამოიწვევს პოტენციური ტერორისტებისა და ტერორიზმის წარმომშობი ქვეყნებისადმი მეტ ანგარიშგაწევას, როგორც ბირთვული იარაღით აღჭურვილი კომუნისტური იმპერიის შიში იწვევდა მისდამი „პატივისცემას“ და ანგარიშგაწევას. იწვევდა დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან. იმისადმი, ვინც ამ ბარბაროსული ხიფათის მატარებელი არ არის, ამით დამოკიდებულება არ გაუმჯობესდება. ამიტომ პრინციპი, რომ მცირე ერებმა თავისი ინტერესი თვითონ უნდა დაიცვან, და არა სხვის იმედზე უნდა იყონ, თავის ჭეშმარიტებას ახალ პირობებშიც ინარჩუნებს.



შევარდნაძემ ხმები კუკიის სასაფლაოდანაც მიიღო

# მიმართვა სტუდენტებს!

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ულრმესი მადლობა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებისთვის.

მოხარული ვარ, რომ შევცდი და არ გამართლდა ჩემი პროგნოზი, თითქოს საქართველოს არ ჰყავს ისეთი სტუდენტები, როგორც 10 წლის წინ.

90-იან წლებში მეც სტუდენტი გახლდით და მოკრძალებული პატარა წვლილი სტუდენტურ მოძრაობაში მეც მიმიძღვის.

მინდა, პარალელი გავავლო მაშინდელ ეროვნულ მოძრაობასა და ახლანდელ სტუდენტურ მოძრაობას შორის. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას აღმასვლაც ჰქონდა და დაღმასვლაც. ყველაზე დიდი გამარჯვება ისაა, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო შედგა. ეროვნული მოძრაობის გახლეჩილობამ გარკვეულ ეტაპზე მისი მარცხი გამოიწვია. ჩემი თხოვნაა, არ გაიხლიჩოს სტუდენტური მოძრაობა რამდენიმე ნაწილად, რაც საქართველოს შიდა თუ გარე მტრების ინტერესში შედის.

თქვენს მოთხოვნებს — ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს, აბსოლუტურად ეთანხმება ყველა მოაზროვნე ქართველი, მაგრამ ამის პარალელურად არ უნდა დაგვავიწყდეს დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება, რომლის გარეშეც ვერ მოვა ეროვნული ხელისუფლება. ასევე შეგახსენებთ, რომ მოსახლეობის აღწერა არ მომხდარა 1989 წლის შემდეგ და ჩვენ ზუსტად არ ვიცით, საქართველოში რამდენი ამომრჩეველია. არჩევნების გაყალბება ძირითადად დამატებითი სიების მეშვეობით ხდება, სადაც შეყვანილია მკვდარი სულები, რომლებიც ე. წ. „კარუსელების“ მეშვეობით — ერთი და იმავე პიროვნების უბნებზე მისვლით სხვადასხვა გვარით — აძლევენ ხმას. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტი კუკიის სასაფლაოდანაც არის არჩეული. იგი კონსტიტუციური ან სხვა მშვიდობიანი გზით უნდა გადავაყენოთ, რათა შეწყდეს ახლადაღორძინებული ქართული სახელმწიფოს ნგრევა.

*თქვენი გულშემატკივარი*
**დავით გუჯაბიძე**
*საქართველოს სახალხო ფრონტი*

ყურადღება!

# 2001 წლის 31 ოქტომბრის ახალგაზრდული აქციის და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიების მიმართვა საქართველოს საზოგადოებისადმი

1. ქართველმა ახალგაზრდობამ აიმაღლა ხმა საქართველოსათვის დამღუპველი პოლიტიკის და მისი გამტარებელი ჯგუფის წინააღმდეგ ე. შევარდნაძის მეთაურობით. მან მოაწყო მასობრივი საპროტესტო პოლიტიკური აქცია პარლამენტის წინ. აქციის ერთსულოვანი მოთხოვნაა შევარდნაძის უპირობო გადადგომა პრეზიდენტის თანამდებობიდან. აქციის შედეგად მოხდა მთავრობის გადაყენება. აქცია გრძელდება შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით და სხვა ძირეული პოლიტიკური მოთხოვნებით.

2. აქციის მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს პოლიტიკური პლატფორმა, რომლის ძირითადი პუნქტებია საქართველოში დემოკრატიული მართვის აღდგენა, სრულყოფილად სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აშენება, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. მაქსიმალურად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა მყარი დასავლური ორიენტაციის ფონზე, ეკონომიკური პოლიტიკის მყარი ორიენტაცია საკუთარი წარმოების განვითარებაზე, კორუფციის რადიკალური აღკვეთა, სოცდაცვისა და განათლებისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭება.

3. ახალგაზრდების ინიციატივას მხარს უჭერენ საქართველოს ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების პარტიები: „საქართველოს სახალხო ფრონტი“, „ეროვნულ ძალთა გაერთიანება“, „მერაბ კოსტავას გზა — ერთობა“, „საქართველოს ეროვნული სათათბირო“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ეროვნული სექცია“, ადვოკატთა კორპორაცია „იურსერვისი“, „საქართველოს გული“, „საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოება“, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი „სხივი“, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის ასოციაცია, „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“, „ეროვნულ-რადიკალური პარტია“, ლეიბორისტული (შრომის) პარტია. მხარდამჭერ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაცია ეს ჩამონათვალი იზრდება.

ხსენებული პარტიები და ორგანიზაციები თავის შეუვალ მოვალეობად თვლიან აქციის მონაწილე ახალგაზრდების ყველა მოქალაქეობრივი უფლების დაცვას აგენტურული პროვოკაციებისაგან, ძალისმიერი რეპრესიებისაგან, სამართლებრივი შევიწროებისაგან, ცილისწამებისაგან და ადმინისტრაციული რეპრესიებისაგან სასწავლო დაწესებულებათა შიგნით.

4. არსებული კრიზისის დაძლევის იურიდიული მექანიზმის განსაზღვრა გრძელდება. მისი ამოსავალი პრინციპებია:

ა) ორიენტაცია კონსტიტუციაში საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმის შეცვლაზე საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით, სახალხო რეფერენდუმის გზით;

ბ) სამართლებრივი ვაკუუმის გაჩენის და, მაშასადამე, სახელმწიფო ინტერესთა დაზარალების დაუშვებლობა;

გ) შევარდნაძის და მისი კრიმინალური ჯგუფის რადიკალური პოლიტიკური განიარაღება, შევარდნაძის გადაყენების ჩათვლით;

დ) პრეზიდენტის იმპიჩმენტის და მისი გადაყენების მომთხოვნელი რეფერენდუმის მექანიზმთა ოპტიმიზაცია, სახელდობრ, ამ პროცედურაში მოქალაქეთა ხელმოწერებისათვის საინიციატივო უფლების მინიჭება;

ე) ვადამდელი არჩევნების ჩატარება დემოკრატიული საარჩევნო კანონით;

ვ) მიზანშეწონილად მიგვაჩნია პარლამენტის დადგენილება, რომელიც პოლიტიკურ შეფასებას მისცემს მიმდინარე პროცესს და მოუწოდებს პრეზიდენტს დაუყოვნებელი გადადგომისაკენ.

5. აქციის ორგანიზატორი ახალგაზრდები და მხარდამჭერი პარტიები გულისტკივილს გამოთქვამენ იმ „დუმილის შეთქმულების“ გამო, რომლითაც სახელმწიფო და კერძო მასმედიები უმალავენ საზოგადოებას ამ აქციის ბუნებასა და მიმართულებას. ამავე დროს, ერთიანობის იმ მკაფიო ნიშნების გამო, რომლებსაც ამ დღეებში ვხედავთ, მონაწილეები და მხარდამჭერი პარტიები სიხარულს გამოთქვამენ.

6. აქციის ინიციატორები და მხარდამჭერი პარტიები აფრთხილებენ ძალოვან სტრუქტურებს, რომ აქციაზე ძალადობით ზემოქმედების მცდელობას ადეკვატური იურიდიული და ფაქტობრივი პასუხი გაეცემა.

ჩვენი საქმე სიმართლეს ემსახურება, მისი გამარჯვება გარდუვალია. საქართველოს გადარჩენა შეგვიძლია.

ღმერთი გვფარავდეს ამ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თვალსაზრისი

# VIVAT HISTORIA (9) ანუ ოდესღაც მართლაც დიდი ყოფილა საქართველო

*დასაწყისი მე-6 გვერდზე*

ხშირად ვერც კი ამჩნევენ, საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ საკადრისი პასუხის გაცემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ალბათ, ამის ბრალია, რომ ბ-ნ ზ. რატიანის ეს შესანიშნავი ნაშრომი ისტორიკოსებს თითქმის შეუმჩნეველი დარჩათ.

ამიტომაა, რომ ხშირად არაისტორიკოსები ვკიდებთ ხოლმე კალამს ხელს საისტორიო საკითხების განსახილველად, რაც ზოგიერთი ისტორიკოსის გაღიზიანებას იწვევს; მაგრამ ასეთი მკვლევარების საყურადღებოდ აქვე დასვძენთ, რომ არცერთი მეცნიერება, და მით უმეტეს ისტორია, ამა თუ იმ დარგის მეცნიერთა კუთვნილება სრულიადაც არაა...

ამ შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომის დიდ მნიშვნელობაში რომ დავრწმუნდეთ, ბოდიშის მოხდით, წინასწარ მკითხველს შევთავაზებთ ვრცელ ამონაწერს მისი ანოტაციიდან. „წინამდებარე გამოკვლევა დაწერილია, ძირითადად, ქართველი ერის ისტორიის უმთავრესი წყაროს „ქართლის ცხოვრებისა" და ნაკლებად ცნობილი ჩერქეზული წყაროების ცნობების" განხილვის საფუძველზე, რის შედეგადაც, ისტორიოგრაფიაში პირველად, დადგენილია პირიქითა საქართველოს მოსახლეობის ვინაობა, საზღვრები და არსებობის ხანა (ხაზი ჩემია, ბ. თ.), გარკვეულია აფხაზისა და აფხაზეთის ისტორიული შინაარსი, დასაბუთებულია აფსუას გვარტომობა, მისი პირველსაცხოვრისის ადგილმდებარეობა და აფხაზეთში დამკვიდრების ჟამი. ნაშრომში აგრეთვე განხილულია ქართველ-სომეხთა ურთიერთობის, დაღესტნელების, ჩეჩენ-ინგუშების, ოსების, ყარაჩაი-ბალყარელებისა და ჩერქეზების ანუ ქაშაგ-ადიღე-ყაბარდოელთა ისტორიის საკითხებიც".

ანოტაციაში აღნიშნული უამრავი საკითხიდან, რომელნიც ცალ-ცალკე განხილვას იმსახურებენ და რომელთა განხილვაც, საქართველოს ისტორიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო და აუცილებელია, ჩვენ ამჯერად შევეხებით მხოლოდ ორს; ესენია: 1) პირიქითა საქართველო და 2) აფსუების ისტორია და მათი მიმართება საქართველოსთან და ქართველ ხალხთან.

საბჭოთა პერიოდში მიღებული იყო და დღესაც საყოველთაოდაა გავრცელებული აზრი, რომ საქართველო არის ამიერკავკასიის რესპუბლიკა; არადა, არსებული გეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, კერძოდ კი იმაზე, რომ, მიუხედავად ათასგზისი უბედურებისა, დღესაც კავკასიონის წყალგამყოფ ქედს გადაღმა მდებარეობს ხევსურეთის ნაწილი (არდოტის, შატილისა და არხოტის ხეობები); ძველი წანარეთი ანუ დღევანდელი თერგის, თრუსოსა და სნოსწყლის ხეობები და თუშეთის ნაწილიც, რაც იმას ადასტურებს, რომ საქართველო არის როგორც ამიერკავკასიის, ისე იმიერკავკასიის ქვეყანა.

ზემოთქმულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ცენტრალურ კავკასიონს გადაღმა არსებობდა აგრეთვე ქართველურ ტომთა დვალეთი, რომლის ანექსია-ასიმილაცია შემდეგ ოსებმა მოახდინეს, ხოლო სვანთა დიდ ნაწილსაც ერთ დროს კავკასიონის გადაღმა უცხოვრია, ბ-ნ ზურაბ რატიანის მიერ გაკეთებულ დასკვნასთან ერთად, რომ მდინარე ყუბანისპირეთის მარცხენა მხარე, აქ ადიღეური ტომების მოსვლამდე, ქართველურ ტომებს სჭერიათ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა ვთქვათ და ვაღიაროთ, რომ ქართველთა დედასამშობლო ანუ პირველსაცხოვრისი არის მთელი კავკასია — როგორც იმიერი ისე ამიერი და ისინი, ანუ ქართველური მოდგმის ტომები აქ არსაიდან არ მოსულან, არამედ ცხოვრობდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე — დაწყებული კაბადოკიიდან მდინარე ყუბანამდე.

დიახ, ასეთია ისტორიის უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ ოდესღაც მართლაც დიდი ყოფილა საქართველო და უბრალოდ სასაცილოა, როდესაც გუშინ იქ მოსული აფსუები თუ სხვა ტომები აბორიგენობას იჩემებენ და ტერიტორიებსაც გვართმევენ.

ბ-ნი ზურაბ რატიანი განიხილავს რა პირველი ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის ცნობებს ქართველური ტომების განსახლების შესახებ, იძლევა სრულიად სარწმუნო და ახლებურ ინტერპრეტაციას ამ ცნობებისას და ასკვნის, რომ დასავლეთ ქართველური ტომების მამამთავრის ეგროსის შთამომავალთ სჭერიათ უზარმაზარი ტერიტორია, დაწყებული ლიხის მთიდან, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი ყოფილა მდ. ყუბანი — სათავიდან შავი ზღვის შესართავამდე და რომელსაც ჩვენი მემატიანე უწოდებს „ჩრდილოეთ მდინარე მცირისა ხაზარეთისასა".

მოვუსმინოთ ლეონტი მროველს: „ხოლო კავკასიად ჩრდილო არა იყო ხვედრი თარგამოსისა, არამედ არც იყო კაცი კავკასიათა ჩრდილოთ; და უმკვიდრო იყო ქვეყანა იგი კავკასითგან ვიდრე მდინარემდე, რომელი შესდის ზღვასა დარუბანდისასა".

ე.ი. ჩვენი მემატიანის მიხედვით, ჩრდილოდასავლეთ იმიერკავკასიაში, ადიღეური თუ სხვა მოდგმის ტომების გამოჩენამდე, სახელდობრ მდ. ყუბანისპირეთში, ოდითგანვე ბინადრობდნენ ქართველური ტომები, ხოლო მათს ჩრდილოეთით არსებული ტერიტორიები უმკვიდრო ანუ დაუსახლებელი ყოფილა.

ლეონტი მროველის ამ სიტყვებს კიდევ უფრო ამაგრებს ბ-ნი ზურაბ რატიანი სხვა წყაროებითა და ფაქტებით.

კერძოდ, XVI ს-ის ქართულ ძეგლში, „ბიჭვინთის იადგარი", ნათქვამია, რომ ბიჭვინთის კათალიკოსის სამწყსო მდებარეობს „ლიხსა და კაფას შორის და რუსეთის საზღვარსა და ჭანეთს შორის".

რადგან კაფა, როგორც ავტორი აღნიშნავს, არის მდ. ყუბანის ერთ-ერთი სახელწოდების — კოპას ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მას აქ გენუელთა კოლონიზაციისას ეწოდა, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ თვით გვიან შუა საუკუნეებშიც კი (XVI ს.) ჯერ კიდევ არსებობს აქ პირიქითა საქართველო.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ქართველი ავტორების მონაცემებს ადასტურებს და უტყუარს ხდის თავად ადიღეური წყაროებიც, რომელსაც აქამდე, სამწუხაროდ, ყურადღება არც კი ექცეოდა.

სახელდობრ, 1990 წელს მოსკოვში, რუსულ ენაზე, გამოქვეყნებულა კრებული „ადიღეური ტოპონიმიკური ლექსიკონი", რომლის ავტორია კასიმ მერეტუკოვი. ამ კრებულში დამოწმებულია ბევრი უაღრესად საინტერესო და საყურადღებო ქართული მასალა, როგორც ბ-ნი ზ. რატიანი აღნიშნავს, რომლის მცირე ნაწილი ადრეც ყოფილა ცნობილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში თითქმის მთლიანად უგულებელყოფილი იყო(?! — ბ.თ.). ასეთი ნიჰილიზმი ხომ ქართული ისტორიოგრაფიისათვის ჩვეულებრივი სენია, მით უმეტეს დღეს.

კ. მერეტუკოვის შრომის დაწვრილებითი განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მკითხველს შევთავაზებთ მხოლოდ ზოგიერთ ტოპონიმს, რომელიც, როგორც კ. მერეტუკოვი, ისე ზ. რატიანი, ქართულ ენობრივ სამყაროსთან აკავშირებენ და ჩვენის მხრივ დავუმატებდით, რომ მათში მართლაც ულმერთოდ ჟღერს ქართული სიმები. ასეთი ტოპონიმებია: სონჩხობ (სვანების ქედი), გუჯურთუ (ქედი), კოცეხუ (ქადი. სვ. კაცხ — მწვერვალი), გელენჯიკი (მეგრ. გადუნჯიხბ — გარე ციხე), ქურჯიფს (ქართველთა წყალი), ქურჯნიბ ანუ ქურჯ ჩეი (კრასნოდარის მახლობლად, ანუ ქართველთა დაბლობი ანუ ქართველთა ველი), სონ იმეზ (სვანების ტყე), ლაბა (მდინარე; სვ. ლაბნა — წყალი) და მრავალი სხვა, რაც ადასტურებს, რომ ჩრდილოდასავლეთ იმიერკავკასიაში ადიღეური და სხვა მოდგმის ტომების გამოჩენამდე ბინადრობდნენ ქართველური მოდგმის ტომები.

მეტად საინტერესოა ყუბანისპირეთში არსებული ყორღანული სამარხების კავშირი ქართულ სამყაროსთან, რაც ცალკე საუბრის საგანს წარმოადგენს.

კასიმ მერეტუკოვის ეს უაღრესად საინტერესო ლექსიკონი და ზურაბ რატიანის მიერ თავის ნაშრომში გაანალიზებული მასალები და გაკეთებული დასკვნები ვრცელ და საფუძვლიან განხილვას საჭიროებენ და ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ მოსაზრებას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი რამ გადასახედია და საქართველოს ისტორია ხელახლა და ახლებურადაა დასაწერი, როგორც ამას სამართლიანად მიუთითებს ზოგიერთი ისტორიკოსი (მაგ. გ. ყორანაშვილი და სხვ.), რათა საბოლოოდ საფუძველი ჩაეყაროს საქართველოს გაუყალბებელ ისტორიას, სხვისი ხათრისა და შიშის გარეშე.

აქ ჩვენ გვინდა მხოლოდ ორ მომენტზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

პირველი ესაა სახელების — საქართველო, ქართველი და ქართველები — აფსუური ფორმები: ქირთილა, აქართუა და აქართქუა; სხვა ფორმებს აფსუური ენა არ იცნობს.

საქმე ისაა, რომ ტერმინი „საქართველო" გაჩნდა დაახლოებით მეათე საუკუნეში და დამკვიდრდა შემდგომში თანდათანობით. უძველეს ხანაში კი, როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ერქვა კოლხეთი, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში კი — ეგრისი, ხოლო VIII-X საუკუნეებში აფხაზეთი.

ამდენად თავად აფსუური სახელწოდებები საქართველოსა და ქართველებისა მოწმობს, რომ აფსუებს კონტაქტი ქართულ სამყაროსთან ხდება სწორედ ტერმინ „საქართველოს" გაჩენის შემდეგ ანუ X-XI საუკუნეების შემდეგ, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს მათს ყბადაღებულ აბორიგენობას ქართულ მიწაზე და „აფხაზთა სამეფოსთან" კავშირსა და წილნაყარობას.

ზემოთქმულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აფსუებსა და მათს ენას წარმოდგენაც კი არა აქვთ იმ ფაქტზე, რომ დასავლეთ საქართველოსა და მთელ საქართველოსაც კი ერთ დროს აფხაზეთი ერქვა, ცხადი გახდება თუ როგორი ხარისხისაა მათი აბორიგენობა აფხაზეთში.

მეორე მომენტი ესაა ქალაქ სოჩის სახელწოდება (და არა სოჭისა); ბ-ნი ზურაბ რატიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს მის მახლობლად არსებულ ტოპონიმებს — სონჩხოხ და სონჩ, რაც ჩერქეზულად სვანთა ქედს და სვანებისას ნიშნავსო.

ბ-ნ ზ. რატიანის მოსაზრებას ამ ქალაქის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ჩვენ გამოვეხმაურეთ სპეციალური წერილით (იხ. ბ. თავაძე — ქალაქ სოჭის სტიმოლოგიის საკითხისათვის. „სალიტერატურო გაზეთი", №13, 1998), სადაც აღნიშნული გვაქვს, რომ ზოგიერთი ავტორის მოსაზრება თითქოს ქალაქის სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს ხე-მცენარის ქართული სახელიდან — „სოჭი", სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან მერქნიანი ხე-მცენარე, სოჭი ბუნებრივად იზრდება მთებში და ზღვის დონიდან 700-800 მ-ზე დაბლა არ ჩამოდის. აქედან გამომდინარე კი, არ შეიძლება ქალაქისთვის დაერქმიათ ისეთი მცენარის სახელი, რომელიც მის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ იზრდება — არაა გავრცელებული.

ამდენად, ქალაქის სწორი სახელწოდება იქნება არა სოჭი, არამედ სოჩი და სრულიად სამართლიანად გვეჩვენება ბ-ნ ზ. რატიანის მოსაზრება, რომ იგი უკავშირდება ტოპონიმის ჩერქეზულ სახელწოდებას სონჩ, რაც სვანთა საბინადროს უნდა ნიშნავდეს და ადასტურებდეს იმას, რომ აქ ადიღეელთა მოსვლამდე ქართველები ანუ სვანთა ტომი ბინადრობდა.

ასე რომ, ბ-ნ ზურაბ რატიანის მშვენიერმა ნაშრომმა, რომელიც სპეციალისტებისა თუ მკითხველების მეტი ყურადღების ღირსია, უკვე მერამდენედ დაამტკიცა და დაადასტურა (სხვებთან ერთად), რომ აფსუები არ არიან ისტორიული აფხაზები; რომ აფსუები მე-17 ს-მდე არასოდეს არ ცხოვრობდნენ ქართველთა გვერდით და მით უმეტეს, საქართველოს ტერიტორიაზე; რომ აფსუებს გააჩნიათ ისტორიული სამშობლო — ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი (ახლა მგონი რესპუბლიკა), სადაც დღესაცაა სასოფლო საბჭო დამახასიათებელი სახელწოდებით — აფსუების სასოფლო საბჭო (Абсуанскии сельскосовет).

და ბოლოს, ბ-ნ ზურაბ რატიანის ნაშრომმა „წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო", ერთხელ კიდევ გვაჩვენა, რომ ოდესღაც მართლაც დიდი ყოფილა საქართველო — ფართოდ ყოფილა გადაშლილი ქართველური ტომების საბინადროსაცხოვრისი, მხოლოდ საჭიროა ქართული ისტორიოგრაფია ალიჭურვოს „სომხური პატრიოტიზმით" (სომეხ ისტორიკოსებს ახასიათებთ შესაშური პატრიოტიზმი და სიყვარული თავისი ქვეყნისადმი და ჩვენც ამ ტერმინში სწორედ მას ვგულისხმობთ) და ქართველობას ჩაუნერგოს თავისი ქვეყნისა და მისი უნიკალური მრავალათასწლოვანი ისტორიის ისეთივე სიყვარული, როგორც ამას ჩვენი მეზობლები აკეთებენ.

**ბიძინა თავაძე**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაციის „ფესვების" პრეზიდენტი**

საცინელ-სატირალი



*ნიკოლოზ იოსებიძე*

## ასე იყო და ასეა!

დიდი ბატონის წყალობით
ევროპად გვექცა აზია,
რა ვქნათ, თუ მოსახლეობა
მარტო პურზე და წყალზეა?!

საირმის ქუჩა აშენდა,
ვეძისიც რა ლამაზია!
კი, კი, ბატონო, ღარიბებს
აღრჩობთ ბოლმა და ბრაზია.

სამაგიეროდ ბაზრები, მაღაზიები სავსეა,
ემატებიან ყოველდღე ავოსმქნელები შავ სიას,
ცხოვრება ვისთვის ტანჯვაა,
ვისთვის სამოთხის მსგავსია,

მე მგონი, ნულზე დავიდა
სინდის-ნამუსის ფასია.
ელიტა ცხოვრობს, „ბრბოს" უჭირს
ასე იყო და ასეა!

## გავბეზრდით მტრების მოგერიებით!

რაც დღეს მზაკვრობა, ძვლების კვნეტაა,
ძველის, აწმყოში ესტაფეტაა,
ღვიძლი შვილია ის, თუ გერია,
საქართველოსთვის მტერი, მტერია!

გავბეზრდით მტრების მოგერიებით,
მამულიებით, ბოკერიებით,
დუშმანის სულით, ქართულ გვარებით,
მტარვალს ხვდებიან ღია კარებით.

რომ გადუშალეთ მომხდურს ბრიყვულად
სული, გული და ორთავ ხელები,
ქრისტიანობის შეურაცხყოფა
არის მიზანი იელოვლების.

რა შეგაგინოთ?! — ვერ მოვიფიქრე,
გინებას მესხებს დავესესხები,
ვინც დაამკვიდრეთ საქართველოში
უცხო გამოთქმა: „თურქი მესხები".

მესხებს სადა აქვთ თურქის ადგილი?!
თურქს იქ რა უნდა?! — კიდეც რომ იქნეს,
იცით, როგორი სიმჭიდროვეა?
თურქული თაგვიც კუდს ვერ მოიქნევს.

უწინ თურქები ხმლებით გვესხმოდნენ,
დღეს, პოლიტიკურ ხერხით გვესხმიან,
უნდა შეიგნონ ყველა ბრიყვებმა:
თურქი თურქია, მესხი მესხია!

* * *

არ მომწონს ვაჟი ნაწნავდაწნული,
შემოჭერილი რეზინის რგოლით,
ქართველი ქალი — აქოთებული
ალკოჰოლით და თამბაქოს ბოლით.

ტრაგედიაა „კეკლუცი" ვაჟის
დედაკაცური მიხვრა და მოხვრა,
სიკვდილის ბუზი კეფაზე გვაზის,
დღეს-ხვალ მამული დაგვრჩება ოხრად.

დიახ, გახდება მტრების საჯიჯიგნი,
თუ დავივიწყეთ ჩვენი ადათი,
უნდა გავთვალოთ ყველა ნაბიჯი,
შევინარჩუნოთ შნო და ლაზათი.

„ევროპულ მოდელს" და ჩვენს საქციელს,
დღესვე წერტილი თუ არ დავუსვით,
უცხო ჩვევებმა მთლად დაგვაქციეს,
გაუფასურდა სინდის-ნამუსი.

ღმერთო, გვაღირსე, დრო დადგეს კვლავაც,
ასრულდეს ჩვენი გულის წადილი,
სიწმინდეებ ჰქონდეს ქართველ ხალხს მამაცს
რაინდობა და ქალის მანდილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავები

# „თენგიზ ჩანტლაძის შემდეგ ამ სფეროში ვარსკვლავი არ დაბადებულა"



*არიან ხელოვანნი, რომელნიც სიკვდილის შემდეგ ფასდებიან. ზოგიც გარდაცვალებამდე „უყვართ" და მერე არავის ახსენდება. მცირერიცხოვანნი არიან ისინი, ვისაც სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ერთნაირად მიაგებენ პატივს. სწორედ ამგვარ ხელოვანთა რიცხვს განეკუთვნება ბატონი თენგიზ ჩანტლაძე. დღევანდელი ჩვენი მოგონებაც სწორედ მას ეძღვნება.*

XXX

სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრი დღეს მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლშია შეხიზნული. ჩვენი სტუმრობა ბატონი თენგიზის მეუღლეს, ქალბატონ ზაირა ჩანტლაძესა და მთელს დასს ძალიან გაუხარდა. გულითად მასპინძლებთან ერთად დიდხანს ვიგონებდით ბატონ თენგიზს.

**— ქალბატონო ზაირა, როგორ გაიცანით ერთმანეთი თქვენ და თენგიზ ჩანტლაძემ?**

— 1961 წელს თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე. ბატონი ვასო ყუშიტაშვილის მიწვევით სოხუმის თეატრში გამანაწილეს. სოხუმში დედასთან ერთად ჩავედი. როგორც აღმოჩნდა, საცხოვრებელი პირობები მიუღებელი იყო და ისევ უკან დავბრუნდით. უმუშევარი დავრჩი. დიპლომიც კი ვერ ავიღე, ვიდრე მუშაობა არ დავიწყე. ეს კი სრულიად შემთხვევით მოხდა. ალბათ, ბედი იყო. ერთი თანაკურსელი შემხვდა ქუჩაში და მეუბნება: „იცი, თენგიზ ჩანტლაძე ფილარმონიაში მინიატურებისთვის მსახიობებს აგროვებს. არ გინდა, წამოდიო". დრო და შეხვედრის ადგილი დავთქვით. შევხვდით ერთმანეთს. იყო ამაში რაღაც უცნაური და ამაღელვებელი.

**— ანუ ერთი ნახვით შეგიყვარდათ?**

— დიახ, შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ ეს მარტო მე არ დამმართნია, ამაში იმავე საღამოს გამომიტყდა თენგიზიც. რადიოში ვიყავი მიწვეული. მკითხეს, მოგეწონა თენგიზის პროგრამაო. პროგრამა მომეწონა, მაგრამ პროგრამის ავტორით უფრო მოვიხიბლე-მეთქი, არ დამიმალავს სიმართლე. სხვათაშორის, თენგიზი ხშირად ხუმრობდა, „შენ რომ არ გეაქტიურა, არ ვიცი, რა იქნებოდაო".

პირველი შეხვედრისას დრო ისე გაგვეპარა, ვერც გავიგეთ. ცოტა დავლიეთ, ვიცეკვეთ, მერე ვივახშმეთ. ამასობაში ყველა შემოგვეცალა და დავრჩით მხოლოდ ჩვენ. მე მაშინ ყოფილ შეროზიას ქუჩაზე ვცხოვრობდი. სახლამდე მიმაცილა. გზაში სიგარეტს მოვუკიდე. არ ესიამოვნა. ეტყობა, მაშინ გადაწყვიტა ჩემი აღზრდა. მოწევა ამიკრძალა. იმ დღიდან სიგარეტი ხელში არ ამიღია თენგიზის გარდაცვალებამდე. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ ისევ დავიწყე მოწევა. პომადის წასმასაც კი მიშლიდა. იმ დღესვე გაირკვა, რომ ჩვენი თანაცხოვრება თეატრშიც და მის გარეთაც უნდა შემდგარიყო. მართლაც, თეატრალური დუეტი მეორე დღიდანვე შედგა, ოფიციალური ოჯახი კი ხუთი წლის შემდეგ შევქმენით...

## „მე მთელი ცხოვრება თენგიზის ცხოვრებით ვცხოვრობდი"

— თენგიზი თვლიდა, რომ მე საშინლად ჯიუტი



ვიყავი და აღზრდა მჭირდებოდა. ხუთი წელი მოუნდა ჩემს გამოსწორებას. ბოლოს ჩათვალა, რომ მიზანს მიაღწია, „აღმზარდა" და... დავქორწინდით კიდეც. ეს მას ეგონა, რომ აღმზარდა, თორემ მე ისევ ის დავრჩი, რაც ვიყავი. უბრალოდ, ძალიან მიყვარდა და ყველაფერს ვთმობდი.

გაცნობის მეორე დღეს ოფიციალურად გამაფორმა ფილარმონიაში. მას შემდეგ მე სხვა თეატრში არ მიმუშავია, თუ თეატრში ყოფნას მუშაობას დავარქმევთ. იცვლებოდა შემადგენლობა, მსახიობები მიდიოდნენ, მოდიოდნენ. ვრჩებოდით მხოლოდ ჩვენ ორნი. 1975 წელს სახელმწიფო თეატრის სტატუსი მოგვენიჭა.

**— თქვენი თანაცხოვრების ყველაზე ბედნიერი პერიოდი მოიგონეთ.**

— ჩვენი თეატრი პლეხანოვზე იყო. ყველაზე ბედნიერები სწორედ აქ ვიყავით ორივენი. თეატრისთვის ყველაზე საუკეთესო პერიოდიც ეს იყო.

**— შენობა, სადაც დღეს იმყოფებით, თეატრის საქმიანობისათვის შეუფერებელია...**

— მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის კულტურის სახლის დირექტორის, ამირან მესხიშვილის მიმართ. ის რომ არა, ჩვენი თეატრი თავშესაფრის გარეშე დარჩებოდა. მიუხედავად ბატონი ამირანის დიდი მცდელობისა თეატრმა ამ შენობაში კარგად იგძნოს თავი, ეს ვერ ხერხდება. ეს შენობა თეატრის საქმიანობისთვის არ არის გათვალისწინებული.

**— როგორი მეუღლე იყო ბატონი თენგიზი?**

— ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ხან ნაღვლიანი, ხან მხიარული. საზოგადოებაში ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა. მუდამ ცდილობდა, ესიამოვნებინა მეგობრებისთვის. რაც დრო გადის და ჩემს მოგონებებთან მარტო ვრჩები, მით უფრო მეტად ვგრძნობ, რომ ძალიან დიდი ტკივილი გაჰყვა იმქვეყნად.

თენგიზი 1988 წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა. ხუთი წლის მანძილზე აღნიშნავდნენ მისი მეგობრები ამ თარიღს. მერე აირია ქვეყანა, გაუჭირდა ყველას. შეკრებები შეწყდა. ახლა მხოლოდ მე და ნოდარ ხუციშვილი დავდივართ თენგიზის საფლავზე. თუ მე მივასწარი, ვჯდები და ველოდები, ვიცი, აუცილებლად მოვა.

საუბარში ბატონი თენგიზის მეგობარი, ნოდარ ხუციშვილი ერთვება.

**— ძალიან დიდ პატივს ვცემდი თენგიზს. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. მიუხედავად დიდი სიყვარულისა, სულ დასჯილი ვყავდი.**

**ზაირა ჩანტლაძე:** „მე კი იმის გამო ვისჯებოდი, რომ სულ ნოდარს ვიცავდი".

**— ძალიან ურჩი ხართ, ბატონო ნოდარ? სულ თქვენ რატომ გსჯიდათ?**

— მართლა მოუსვენარი და გამოუსწორებელი ვარ, ჩვენში რომ ვთქვათ.

**ზაირა ჩანტლაძე:** „მახსოვს, თეატრში ერთი ქალბატონი მოვიდა სამუშაოდ. თენგიზს ბილწსიტყვაობა სჩვეოდა. ამ ქალბატონს დაუკვეხნია, ჩემთვის თენგიზს არ შეუგინებიაო. პასუხად უთქვამთ: სულელო, თენგიზი მარტო იმას აგინებს, ვისაც პატივს სცემს და უყვარსო. ეს უკვე ყველაფერს ნიშნავს. ნოდარს იმიტომ ტანჯავდა, რომ იცოდა მისი შესაძლებლობები და თავისი დროის 70% ნოდართან მუშაობას ანდომებდა. ზოგჯერ ეს პროცესი იმდენად გაუსაძლისი ხდებოდა, აღარ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი, თუმცა ბოლოს დიდი ჯილდო გველოდა ამისთვის. ეს მაყურებლის ტაში იყო".

**— ამბობდნენ, სატირისა და იუმორის თეატრი ერთი მსახიობის — თენგიზ ჩანტლაძის თეატრი იყოო. თქვენ თუ იზიარებთ ამ აზრს?**

— ამას პრესაშიც და პირად საუბრებშიც ხშირად იმეორებდნენ. ერთის მხრივ, ამ აზრის ქათინაურად აღქმაც შეიძლება, მაგრამ მე კატეგორიულად არ ვეთანხმები მას. ჩვენთან ბევრი ნიჭიერი მსახიობი იყო და არის, თუმცა თენგიზის შემდეგ ამ სფეროში ვარსკლავი არ დაბადებულა.

**— ბატონი თენგიზი ძალიან ენაკვიმატი ადამიანი იყო. ხომ არ გაიხსენებდით რომელიმე კურიოზს?**

**ნოდარ ხუციშვილი:** „ვინც კარგად ვიცნობდით, სახეზე ვატყობდით, როგორ ხასიათზე იყო. ვინც არ იცნობდა იმას კი... მახსოვს, ჩვენთან სამუშაოდ ერთი მსახიობი მოვიდა. ჯემალი ერქვა. კიბეებზე ჩამოდის ჯემალი, დაინახა ბატონი თენგიზი. ესალმება: „გამარჯობათ, ბატონო თენგიზ". თენგიზი განრისხებულ სახეს იღებს და უყვირის: „როგორ მიბედავ შენ მაგასო". კაცი გაშრა, ენა ჩაუვარდა, დაბნეულმა უპასუხა: „მე მხოლოდ მოგესალმეთო". სანამ გაარკვია, რომ თენგიზი ხუმრობდა, ერთი სიკვდილი გაათავა...

**ზაირა ჩანტლაძე:** „ბევრი იყო კურიოზული შემთხვევა... სპექტაკლს ვდგამდით „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები". თენგიზი შეუძლოდ იყო და სახლში დარჩა. მე კურდღლის როლი მქონდა. გავედი სცენაზე. მაცვია უზარმაზარი კურდღლის რეკვიზიტი. შუა როლში ვარ და კულისებიდან მესმის „ქალბატონო ზაირა, ქალბატონო ზაირა". ჩვენი დარაჯის გოგიას ხმა ვიცანი. გავხედე. დამდგარა გოგია კულისებში და მეძახის, არ ჩერდება. სცენიდან ხომ ვერ გავალ, არადა გოგია არ მეშვება. როგორც იქნა, ვიშოვე დრო და გავიქეცი. რა მოხდა-მეთქი, ვკითხე. „ბატონი თერგიზი რეკავს და თქვენ გკითხულობთო" — მიპასუხა გოგიამ. თურმე



თენგიზს ჩემი განვალება მოუსურვებია. იცოდა, რა დროს გავდიოდი სცენაზე და სწორედ მაშინ დაურეკავს. გოგია კი უარს როგორ აკადრებდა თენგიზს.

**ნოდარ ხუციშვილი:** „გოგიაზე გამახსენდა. ბატონ თენგიზს ერთი ჩვევა ჰქონდა: „налет"-ს აწყობდა ხოლმე".

**ზაირა ჩანტლაძე:** „მე ავსხნი, რაში მდგომარეობა ეს „налет"-ი. სადაც არ უნდა



ვყოფილიყავით, სახლში დაბრუნების მაგიერ თენგიზი ჯერ თეატრში შეივლიდა. შუაღამისას კარს გააღებდა, დარბაზში შევიდოდა, გაივლ-გამოივლიდა და დამშვიდებული ბრუნდებოდა".

**ნოდარ ხუციშვილი:** „ჰოდა, ერთხელაც მოისურვა თეატრში შესვლა, რეკავს, არავინ გამოდის. თურმე დარაჯმა გოგიამ იმ საღამოს ზომაზე მეტი ბახუსი მიიღო და გულით სძინავს. რომ ვერ გააღვიძა გოგია, ადგა ბატონი თენგიზი, ჩამოხსნა კარი, მიაყენა მანქანა, ჩართო მანქანის ფარები და ისეთი დაუსიგნალა ტკბილად მძინარე გოგიას, რომ საწყალს შიშისაგან თმები ყალყზე დაუდგა და გამოფხიზლდა კიდეც.

როცა ხუმრობის ხასიათზე დგებოდა, ბავშვივით იყო. თვალები აუციმციმდებოდა, ეშმაკურად იხედებოდა. ერთხელ, მახსოვს, მეგარდერობე ქალმა ჰკითხა: „ბატონო თენგიზ, „კაცია ადამიანში" ბუზები საიდან მოგყავთ ამ ზამთარშიო". ბატონმა თენგიზმა უპასუხა: „შენ რა, არ იცი, ინკუბატორი რომ მაქვს? ბუზებს ზაფხულის პირობებს ვუქმნი დი მერე სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად მომყავსო".

**ზურაბ რატიანი**

**P.S.** გულდამძიმებული წამოვედი, დიდი ტკივილი და სევდა მომყვებოდა თან და უცნაური ხატება თენგიზ ჩანტლაძისა.

„თეატრი თუ აღარ იარსებებს, მე მეორედ მოვკვდებიო", — უბრძანებია ბატონ თენგიზს. ეს ადამიანები საკუთარი ენერგიით, ფინანსებით, სიყვარულით ცდილობენ დიდი მსახიობის „მეორე სიცოცხლის" გადარჩენას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



არატრადიციული მკურნალი

# ავადმყოფობისას რატომ ეშინიათ კაცებს ქალებზე მეტად



*„დაავადებას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, შემიძლია სიმსივნეც მოვარჩინო. მთავარია პიროვნება — როგორი ადამიანია იგი“ — ასე დაიწყო ჩემთან საუბარი პარაფსიქოლოგმა და აღმოსავლური ტრადიციული მეთოდებით მკურნალმა ექიმმა, კარდიოლოგმა ზაზა კრაწაშვილმა.*

ნებისმიერ დაავადებას ჩინური ნემსებით, ელექტრომაგნიტური აბაზანებით და ხანაც, პარაფსიქოლოგიური სეანსებით ამარცხებს „გულთმისანი“ ექიმი.

პაციენტთა 85% ნერვოზიანი ავადმყოფია. მათი „გულის ხასიათის“ კვლევის შემდეგ, თითქოსდა ერთი და იმავე დიაგნოზის მქონე ავადმყოფზე სხვადასხვა საშუალებით მოქმედებს ექიმი. დანარჩენი 15% გულ-სისხლძარღვთა, შარდ-კენჭოვანი და ნაღველ-კენჭოვანი სისტემით დაავადებულია. კარგი შედეგებით მთავრდება მკურნალობა თირკმელებიდან კენჭების მოცილების, ასევე კუჭ-ნაწლავის პრობლემების დროს.

„თავის ქებას ვერ მოვყვები, თუ გაინტერესებთ, აი, ამ ალბომში ნახავთ ბევრ საინტერესო ისტორიას და განკურნებული ავადმყოფების სიას“.

ალბომს ვათვალიერებ და თან ზაზა ექიმს ვუსმენ. იგი მეტად საინტერესოდ ხსნის დაავადებათა მიზეზებს.

**„ჩემი მკურნალობის მეთოდი, გარდა აღმოსავლურისა, არის ქრისტიანულიც. ბევრი ადამიანი ვერ ხვდება, რომ ცოდვა აქვს ჩადენილი და მას მონანიებაც სჭირდება. იმის მაგივრად, რომ მან ცოდვა მოინანიოს, უფრო ბოროტდება... არამიმტევებელი გონება სავსეა შიშით და არ აძლევს სიყვარულს ადგილს ჩვენს გულში, ხოლო გული, რომელიც ვერ მიუტევებს, სავსეა ბოღმით და უიმედობით“.**

ზაზა ექიმი ცდილობს, პაციენტს აღუდგინოს ის დარღვეული გამტარობა, რომელიც მის ნერვულ სისტემაშია მოსაწესრიგებელი. „ყველაფერი ნერვები და სისხლია“ — ზაზა ექიმის ამ ნათქვამით მახსენდება „ლაო-ძის“ აფორიზმი „ვინცა ავსილია უწმინდესი სულით და ფლობს დაფარულის საიდუმლოს, უცდომელია და უამგრძელი“. ფილოსოფოსი უშვებდა სულის უკვდავების შესაძლებლობას. მასვე უთქვამს: თუ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს ასი წელი, შეუძლია იცხოვროს ათასი წელიცო.

ზაზა ექიმი საუბარს ჩინელების პირველ ძალაზე („ტაი-ძი“) აგრძელებს. იგი არის ხე, რაზედაც იზრდება სიცოცხლის არსებობის ყვავილები და ნაყოფი. ეს პირველძალა არსებობს ყველგან, სხვაგვარად შეწყდებოდა სიცოცხლე და არსებობა. ამ პირველძალას ორი მხარე აქვს: ერთი დახშული, უხეში, ძალმომრე ძალა, მეორე — გასხივოსნებული, ძლიერი ძალა. „სული ველისა“ („სიუან-ბი“) უკვდავია. ადამიანის სხეულში თორმეტი კვანძია, რისგანაც ავადმყოფობები წარმოიშობა. ამ კვანძების აბსოლუტური გამაგრება კი იწვევს სიკვდილს. მათი მოსუსტება და გამოხსნა შესაძლებელია. თითოეული კვანძი სხეულის სხვადასხვა ორგანოსა და წერტილში მდებარეობს. კვანძების გამოხსნის ამ პროცესს ჩინელები „გვამის თანხმობას“ უწოდებენ.

„საკუთარი თავის მიმართ ყველამ რწმენა უნდა გავაძლიეროთ, რომ ჩვენი საკუთარი თავის დავიჯეროთ და რეზონანსში მოვიდეთ მთელ სამყაროსთან. როდესაც მეც რეზონანსში შევდივარ პაციენტთან, ჩვენ ვხდებით თითქოსდა ერთი მთლიანი და ავადმყოფის ნებისმიერი ტკივილი ჩემთვის გასაგები ხდება. მთავარია, ეს დამოკიდებულება. დანარჩენი — აღმოსავლური (ჩინური) რეფლექსოთერაპია, ლაზერი, ელექტროსტიმულაცია, დამხმარე საშუალებებია, ძირითადი არის რეზონანსი ელექტრომაგნიტურ ველებს შორის.

სასიცოცხლო ენერგიის საწყისი, „ინისა“ და „იანის“ პოლარული ძალების თანაბრძოლაა. როგორც ჩინელები ამბობენ, სამყარო მათ ომში შეიქმნა. „ინი“ — დედამიწაა, „იანი“ — ზეცა. ე. ი. მარტივად რომ ავხსნათ „ინი“ — ქალური ენერგიაა, „იანი“ — კი მამაკაცური. **როდესაც პაციენტი ჩემთან კონსულტაციაზე მოდის, უპირველესად მე ვადგენ, ეს დაავადება რომელი ენერგიის სიჭარბითაა გამოწვეული. ამის მერე ვახდენ ორგანიზმში წონასწორობის დაბალანსებას. პარალელურად მერიდიანების გასუფთავება მიმდინარეობს შლაკებისაგან, ამაში კი ძირითადად დიეტა გვეხმარება.**

კლინიკურ მედიცინაში, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დიაგნოზი ქოლეცისტიტია, პამიდორს კრძალავენ, მე კი — არა. ვიკვლევ მიზეზს, რომელი ენერგიის სიჭარბით მიმდინარეობს ავადმყოფობა, „ინით“ თუ „იანით“. ასეთ შემთხვევაში მთავარია საკვების სწორი შეზავება, მაგალითისათვის ხორცი — „იანია“, მწვანილი — „ინი“. მოხარშვის შემდეგ ხორცში ქოლესტერინის შემცველობა ნაკლები ხდება, როდესაც მას მწვანილეულთან ერთად მიიღებთ.

ბალახეული, რითაც მე ვმკურნალობ, მზადდება ინდივიდუალური მიდგომით, რადგან ყოველივეს გააჩნია უკუჩვენება, აქაც ვითვალისწინებ ენერგიის საწყისებს და ვადგენ, როგორ მივაღებინო ეს შენაერთები ავადმყოფს, ან რა წესით დავამზადო.

**ნებისმიერი დაავადება და არამარტო ნევროზი, შესაძლებელია, რომ განმეორდეს, ამიტომ ყველა უნდა ეცადოს, ისწავლოს საკუთარი თავის პატივისცემა. ექიმის მოვალეობაა, ორგანიზმის სწორად მართვაში დაეხმაროს ავადმყოფს. გამოჯანმრთელების შემდგომაც სწორად კვება და მინერალური წყლები ჯანმრთელობის გარანტია.**

ყოველგვარი მკურნალობის დროს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ გულის მდგომარეობას. იგი ძალიან ფაქიზია. ქალებს ყოველთვის უკვირთ ხოლმე, რატომ არიან კაცები ავადმყოფობისას უფრო მშიშრები?! ავადმყოფობისას ისინი უფრო მეტად ითრგუნებიან. ეს იმიტომ, რომ გულიც „იან“ ენერგიაა და თვითონ კაციც. გადაჭარბებული ენერგია სისუსტეს იწვევს — შემდგომში.

ამასობაში, ძალიან ბევრი მადლიერი ავადმყოფის ჩანაწერი წავიკითხე და მადლობის სათქმელად მოსულ ქალბატონსაც გავესაუბრე, რომელიც თურმე მიჯაჭვული იყო წლების განმავლობაში საწოლს.

„სწორი დიაგნოზის დასმა ზაზა ექიმის მთავარი ღირსებაა“ — ამბობს პარკინსონის მძიმე დაავადებისაგან განკურნებული 60 წლის ქალბატონი ნათელა თევდორაძე.

„მე კი გურიიდან ჩამოვედი შვილების მოსანახულებლად და მოულოდნელად ორივე ფეხზე დამბლა დამეცა“ — საუბარს განაგრძობს ქალბატონი მარინა უშვერიძე. თავიდან დაბუჟების შეგრძნება მქონდა, მერე გამიარა ტკივილმა, მაგრამ 4 თვე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი. რამდენნაირი ექიმი და პროფესორი არ მომიყვანეს, რა წამლები არ გავიკეთე, უარესად გავხდი. მერე ჩემმა შვილმა ზაზა ექიმი მოძებნა და სახლში მომიყვანა. თანდათანობით ფეხზე წამომაყენა, ახლა კი ხედავთ, ჩემი ფეხით დავდივარ ჩემს საოცარ ექიმთან“.

„ჩემი ექიმი“ — ისეთი ხმითაა ეს სიტყვები ნათქვამი, რომ მეც ვხვდები ადამიანის გულის გამოცნობის ზაზა კრაწაშვილისეულ ფილოსოფიური ახსნის დიდ სიმართლეს. გული სინდისის წიგნია, ავადმყოფობაზე გამარჯვებაც ამაზე ყოფილა დამოკიდებული. უწმინდესი სული დღეგრძელობის საწინდარია.

**ძეთი ჩადუნელი**

**P.S. მსურველებს ზაზა კრაწაშვილთან უფასო კონსულტაციებზე შეგიძლიათ მიხვიდეთ ოთხშაბათს და პარასკევს. ოქტომბრის რ-ნის რაიკომის ყოფილ შენობასთან — №14 პოლიკლინიკა. ტ. 95-61-71, 899 90-38-28.**

# საქართველოში ჯილეხის 1600 კერა არსებობს

*მართლაცდა, რა არის ბაქტერიოლოგიური იარაღი, რომელმაც აჟიოტაჟი და შიში მოიტანა მოსახლეობაში. საშინელი სენი, რომელიც ჯილეხის და ციმბირული წყლულის სახელითაა ცნობილი, მსოფლიოს აზანზარებს. ამ თემაზე გვესაუბრება ყოფილი შავი ჭირის საწინინაალმდეგო სადგურის, 1996 წლის შემდეგ კი განსაკუთრებით საშიში ინფექციების საწინააღმდეგო სამეცნიერო კვლევის კონტროლის ცენტრის უფროსი, ბატონი პაატა იმნაძე.*

— ჯილეხი მწვავე ბაქტერიული ინფექციაა. დაავადების გამომწვევი sacilus anthracis ასნებოვნებს ძირითადად ბალახის მჭამელ ცხოველებს. დაავადებული პირუტყვი ავადმყოფობის მთელ პერიოდში გადამდებია და გამოყოფს მიკრობს შარდით, განავალით, ფილტვებიდან გამონადენით და სხვა. ჯანმრთელ ცხოველზე ინფექცია საკვებიდან და ბუზანკალების საშუალებით გადადის. დაცემის შემდეგ, დაავადების გადამდებია ცხოველის ყველა ორგანო და ქსოვილი, მათ შორის სისხლი, ტყავი, მატყლი და ჩლიქები. ადამიანების ინფიცირება ხდება დაავადებულ ცხოველთან ან ამ ცხოველებისაგან მიღებულ პროდუქტებთან კონტაქტის დროს, ჯილეხის ჩხირის სპორების ნიადაგიდან უშუალოდ ორგანიზმში მოხვედრის შედეგად. ბიოტერორისტული აქტების დროს კი — სპორების უშუალოდ შეხების ან შესუნთქვის დროს.

ჯილეხის ჩხირების სპორები ათეული წლების მანძილზე ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას ნიადაგში და დალუპული ცხოველის ტყავში. 1881 წლიდან საქართველოს 69 რაიონში დაფიქსირებულია ჯილეხზე არაკეთილსაიმედო 1646 პუნქტი, რომელთაგანაც 10% აქტიურია (ბოლო 20 წლის მანძილზე რეგისტრირებულია დაავადება), 1996 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო ჯილეხის 33, 1997 წელს — 4, 1998 — 11, 1999 — 51, 2000 — 29, 2001 წელს დღემდე 28 შემთხვევა.

**— ჯილეხის კერები რომელ რეგიონებშია უფრო მეტი?**

— მაღლაკში წელს ეპიდაფეთქების რვა შემთხვევა დაფიქსირდა. აგრეთვე სამტრედიის, ზუგდიდის, ახალქალაქის რაიონებშიც იყო შემთხვევები.




**— როგორია ამ დაავადების პირველი სიმპტომები?**

— ადამიანებში ყველაზე ხშირია კანის ფორმა, იშვიათად ვითარდება ფილტვის და კუჭ-ნაწლავის ფორმა. ინკუბაციური პერიოდი რამდენიმე საათიდან 10 დღემდეა. მიკრობის შეჭრის ადგილზე ჩნდება მცირე ზომის ლაქა, რომელიც დაწყლულების შემდეგ დამახასიათებელი მოშავო ფერის ფუფხით იფარება და გარშემორტყმულია მზარდი, მკვრივი შეშუპებით. ხშირია ზოგადი ინტოქსიკაცია. თავიდან ახასიათებს ქავილი, წყლული უმტკივნეულოა.

**— ინფექციური დაავადება ჯილეხი როგორ გამოიყენება ბიოლოგიურ იარაღად?**

— განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჯილეხის სპორების გამოყენება ბიოტერორიზმისთვის, რისთვისაც, როგორც ბოლო მოვლენებმა აჩვენა, შესაძლებელია საფოსტო გზავნილების გამოყენება. საეჭვო საფოსტო გზავნილები, რომლებშიც მოთეთრო ფერის ფხვნილი შეიძლება იყოს, არ უნდა გაიხსნას. ასეთ კონვერტებთან შეხება შეიძლება მხოლოდ ხელთათმანების გამოყენებით, ხოლო გახსნა სასუნთქი გზების რესპირატორით ან 4-ფენიანი დოლბანდით დაცვის შემთხვევაში. თუმცა, ლაბორატორიიდან გამოსული ჯილეხის ჩხირი, რომელიც მეცნიერების გამოყვანილია, მკურნალობას ემორჩილება და იკურნება პენიცილოთერაპიით. ამდენად, საშიში არ არის. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იარაღი ძირითადად გამოყენებულ იქნა მასმედიასთან, რათა ხალხში შიში დაეთესათ.

**— რა განსხვავებაა ლაბორატორიიდან გამოყვანილ და ბუნებრივ ჯილეხს შორის და რამდენად საშიშია იგი?**

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ორივე ემორჩილება მკურნალობას, იმ შემთხვევაში, თუ მიკრობს ჩაუტარდება ექსპერიმენტი და გაძლიერდება მისი თვისებები, გახდება რეზისტენციული და დაემატება მოდიფიცირებული გენეტიკური მიკრობი, მაშინ მომაკვდინებელია.

**— ასეთი შემთხვევები თუ არის დღესდღეობით?**

— ამის თქმა ძნელია, მაგრამ ბიოლოგიური იარაღის დამუშავება მიმდინარეობს დაახლოებით 13 ქვეყანაში, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიზეც.

**— ამ სახის იარაღი გამოყენებული არის თუ არა?**

— ამ სახის იარაღი გამოყენებული არ გახლავთ, რადგან ის შემთხვევები, რომელიც ამერიკაში მოხდა, ყველა მკურნალობას ემორჩილება.

**— საქართველოში ეს იარაღი არ გამოიყენება?**

— რა თქმა უნდა არა, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯილეხის 1600 კერა ისედაც არსებობს.

**ნინო ნადიკაშვილი**

## SOS! კვალიფიციური ექსპერტი გირჩევთ!

*ალბათ, მიმდინარე პროცესებმა გამოიწვია ჭორი, უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტი, დასნებოვნებულიაო... ესლა გვაკლდა ქართველებს! კომენტარისთვის სასწრაფოდ მივმართეთ საქართველოს „ვეტერინარიის სახ. დეპარტამენტის“ თავმჯდომარეს, ბატონ ვლადიმერ გვარჯალაძეს და ვთხოვეთ, როგორც ექსპერტს, მოსახლეობისათვის აეხსნა რეალური ვითარება.*

# საქართველოში ინფექციურმა დაავადებებმა რომ იფეთქოს, სხვა ქვეყნებისგან იზოლირებულნი აღმოვჩნდებით

**— ბატონო ვლადიმერ, ამჟამად საქართველოში ეპიზოტოლოგიის კუთხით რა მდგომარეობაა. რამდენად დაცულია ჩვენი საზღვრები?**

— მოგეხსენებათ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც აკავშირებს ევროპასა და აზიას, მისი როლი განუსაზღვრელია, ქვეყანაზე გადის „აბრეშუმის გზა“ და თუ ქვეყანაში არ იქნება ყველა რეგიონი ეპიზოტოლოგიური კუთხით დაცული, ინფექციური დაავადებებიც იფეთქებს. გამოცხადდება „კარანტინი“, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ჩაიკეტება და იზოლირებულნი აღმოვჩნდებით. ამიტომ ჩვენი უპირველესი მოვალეობა და ამოცანაა, ქვეყანაში იყოს სტაბილური ეპიზოდოლოგიური მდგომარეობა. აღიკვეთოს დაავადებების შემოჭრა, ხოლო ცალკეული აფეთქებების დროს მოხდეს მათი ლიკვიდაცია.

საქართველოში საერთო სიტუაცია მაინც დაძაბულია, განსაკუთრებით ბრუცელიოზისა და ტუბერკულოზის მხრივ. რაც შეეხება დაავადებას — „თურქული“, მიმდინარე წელს, არცერთი შემთხვევა არ ყოფილა.

სპეცსამსახურების, ადგილობრივი ხელმძღვანელობის, სამინისტროსა და უპირველესად ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულების შემდეგ (13 აგვისტო, ბრძ. 325) უფრო შედეგიანი გახდა ჩვენი მუშაობა. რადგან საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, ერთობლივი მიზანმიმართული შრომა აუცილებელია ვეტერინარიაში. რასაკვირველია, ყველაფერი იწყება საზღვრიდან. ჩვენი საზღვრები დაცულია, და არ იქნება იმის საშიშროება, რომ სხვა სახელმწიფოებიდან შემოიჭრას ესა თუ ის ინფექციური დაავადება. მივაღწიეთ იმას, რომ ყველა საზღვართან, ყველა შემოსასვლელში მოეწყო „დეზოხალიჩები“, სადაც დასხმულია სადეზინფექციო საშუალებები. დადგმულია სტაციონარი აჭარის ხელისუფლების მიერ. „დეზოხალიჩა“ სარფშიც კარგად ფუნქციონირებს და ჩვენი მუშაობა ერთობლივად მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრეზიდენტის ბრძანებულების ერთ-ერთი მუხლი გახლდათ, და სხვა რამდენიმე პუნქტიც ბრძანებულებისა სასწრაფო წესით შესრულდა, თუმცა სამუშაო კვლავაც ბევრია.

**— ბატონო ვლადიმერ, არის თუ არა შესაძლებელი ქვეყანაში მოხდეს მთლიანი იმუნიზაცია ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ. რა მდგომარეობაა ცალკეული ინფექციური დაავადებების გავრცელების მხრივ?**

— ჩვენ თუ მივაღწიეთ და ქვეყანაში 70-75% იმუნოფონი შევქმენით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანა კეთილსაიმედოდაა დაცული. 100% იმუნიზაცია ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია.

გარკვეულ პერიოდის ასაკამდე პირუტყვის აცრა არ შეიძლება, არც არის ამის საშუალება. მიმდინარე წელს, სხვა წლებთან შედარებით, საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა ჩვენი სამინისტროს დახმარებითა და ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით მივიღეთ ის თანხები, რაც გამოყოფილი იყო და მაინც საკმარისი არ გახლდათ. თუმცა 2 დაავადების შემთხვევაში, ესენია ცოფი და ჯილეხი, პრობლემა არ გვაქვს. დაავადების ამთვისებელი 3 მილიონზე მეტი პირუტყვია საქართველოში, აქედან მხოლოდ 4 სული მოკვდა ჯილეხით. ამჟამად, საშემოდგომო აცრები ისევ მიმდინარეობს. პირუტყვი, რომელიც აიცრა ვაქცინით, არცერთი დაავადებული არ არის. საქართველოში 2000-ზე მეტი „ჯილეხის“ კერა არსებობს. ეს იცით რას ნიშნავს? ზოგს ჰგონია 2000 კერა უნდა მოვსპოთ. ეს ის კერებია, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაავადებული საქონლის ადგილსამყოფელი იყო. „ჯილეხი“ ისეთი დაავადებაა, ნიადაგში სპორასა და კაფსულას იკეთებს და საუკუნე ძლებს. თუ იმ ადგილას მოხდება შეხება, დაავადება თავს იჩენს. „ჯილეხი“ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. ძველი არაბი ექიმებისა და სწავლულების მიერ აღწერილმა დაავადებების ხასიათმა და მიმდინარეობამ დღევანდელი მეცნიერება დაარწმუნა ამაში.

**— შემოწმებულია თუ არა ის ვაქცინები, რითაც აცრები წარმოებს, კეთილსაიმედოა თუ არა მათი ხარისხი, არის თუ არა საკმარისი რაოდენობით?**

— ვაქცინა შესყიდული გვაქვს იმ რაოდენობით, რაც სრულიად საკმარისია. კვლავ ვიმეორებთ „ჯილეხის“ და „ცოფის“ დაავადებაზე ჩვენ პრობლემები არ გვაქვს. რაც შეეხება ვაქცინას, არცერთი ვაქცინა შემოწმების გარეშე არ მოიხმარება. ვაქცინას აწარმოებს საქართველოს ტაბახმელის ბიოკომბინატი — „თურქულისა“ და „ცოფისათვის“. „ჯილეხის“ ვაქცინაც ჩამოსხმულია საქართველოში „ლენცფიოფარმის“ მიერ, ამ მხრივ, საგანგაშო არაფერია, ხოლო ის ხალხი, რომელთაც არაფერი მოსწონთ, ყოველთვის ყველაფერზე აუგს ლაპარაკობენ.

თუ პირუტყვი აცრილია, მაშასადამე, საშიში არაფერია. წელიწადში ორჯერ ტარდება აცრები და ამისათვის საკმარისი ვაქცინაც არსებობს.

**— თქვენ, როგორც ექსპერტი, ამჟამად რომელ დაავადებას ჩათვლიდით უფრო საგანგაშოდ?**

— საქართველოსთვის და არა მარტო საქართველოსთვის, საშიში დაავადება ცოფია. ქვეყანაში როცა ადამიანი ცოფით დაიღუპება, მე ეს საგანგაშოდ მიმაჩნია. მით უმეტეს, რომ დღეს მედიცინას აქვს იმის საშუალება, ასეთ შემთხვევაში ადამიანი განიკურნოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ექიმის უყურადღებობის გამო, ხდება მისი გავრცელებაც და სიკვდილიანობაც. ამჟამად ტარდება ღონისძიებები მთელ ქვეყანაში რეგიონების მიხედვით.

**— ბატონო ვლადიმერ, განა ეშველება როდესმე მაწანწალა ძაღლების პრობლემას, ვინაა ვალდებული, ბოლო მოუღოს ქუჩებში და ნაგავსაყრელებთან მათ გამოჩენას?**

— ჩვენ ვართ ვეტერინარები და ვეტერინარი ექიმი ვალდებულია, მოუაროს, უმკურნალოს ძაღლსა თუ კატას, და არა დაიჭიროს და მოკლას. ამისათვის არსებობს სპეციალური სამსახურები. ესაა მერიებთან და გამგეობებთან კომუნალური მოწყობის სამსახურები, რომელთაც ევალებათ, რომ შეასრულონ მსგავსი სამუშაოები. თუ არ მოგვარდება საქართველოში უპატრონო, მაწანწალა ძაღლებისა და კატების სირბილი, ცოფის დაავადებას არ ეშველება. ჩვენ ვალდებულები ვართ აღრიცხული ძაღლები უფასოდ ავცრათ. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში დაძაბული ვითარებაა. „ცოფს“, „ჯილეხსა“ და „თურქულს“ სახელმწიფო აფინანსებს. თუმცა, ამ უკანასკნელისათვის თანხები ცოტაა გამოყოფილი და საკმარისი არ არის. შარშან გვქონდა მძიმე მდგომარეობა, ქვეყანაში შემოიჭრა „აზია 1“ — „თურქული“, რომელიც ძალიან ვერაგი დაავადებაა, დროულმა ჩარევამ დაავადების ლოკალიზება მოახდინა.

**— ევროპის ქვეყნებში გავრცელებულია რამდენიმე ინფექციური დაავადება, რამდენიმე ქვეყნიდან აიკრძალა პროდუქტების საქართველოში შემოტანა.**

— ჩვენ ავკრძალეთ მეცხოველეობის პროდუქტების 20 ქვეყნიდან შემოტანა, მხედველობაში მაქვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაწარმი, ძეხვეულის, სხვა პროდუქტების შემოტანა. მაგალითისათვის, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ამ ქვეყნებში გაჩნდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცოფი, გაჩნდა „თურქულიც“, ჭირიც და სხვა დაავადებებიც, რომლის გამოც მე, როგორც სახელმწიფო ვეტინსპექტორმა, გამოვეცი ბრძანება და საზღვრები დღესაც ჩაკეტილია. არცერთი კილოგრამი უვარგისი პროდუქტი ამ ქვეყნებიდან არ შემოვა.

ეს ჩემი უფლებამოსილებაა და მშვიდად ბრძანდებოდეს ჩვენი მოსახლეობა.

**ძეთი ჩადუნელი**

## სასარგებლო რჩევები

# გაახალგაზრდავების რეცეპტი მოძებნილია

ეს უნიკალური რეცეპტი აღმოჩენილია იუნესკოს ექსპედიციის მიერ 1971 წელს ტიბეტურ მონასტერში თიხის ფირფიტებზე. შედგენილია 4-5 ათასი წლის წინ ჩვენს ერამდე. თავისი სიმარტივისა და ეფექტურობის გამო, ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციის მიერ მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული.

მოქმედება და შედეგი: მკვეთრად აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა საერთო ცვლას, რის შედეგადაც სისხლძარღვები ელასტიური ხდება. ყოველივე ამის შედეგად კი ისპობა გულის კუნთის ინფარქტის, სტენოკარდიის, სკლეროზის, დამბლის, სხვადასხვა სიმსივნეების წარმოშობის შესაძლებლობა. ხდება მხედველობის გაუმჯობესება, ორგანიზმი ახალგაზრდავდება.

**დამზადება:** გავრეცხოთ და გავწმინდოთ 350 გ ნიორი, დავჭრათ წვრილად და დავსრისოთ ჭურჭელში ხის ან ფაიფურის კოვზით. ავიღოთ ამ მასის 200 გ ქვემო ფენიდან (სადაც წვენი მეტია), მოვათავსოთ მინის ჭურჭელში, დავასხათ 200 გ 96%-იანი სამედიცინო სპირტი და ჭურჭელი მჭიდროდ დავხუროთ. გავაჩეროთ ბნელ, გრილ ადგილას 10 დღე, შემდეგ ჭურჭლის შიგთავსი გავფილტროთ დოლბანდის რამდენიმე ფენაში ან მკვრივ ქსოვილში და გავწუროთ. ჩავასხათ ისევ მინის სუფთა ჭურჭელში და გავაჩეროთ ასე 2-3 დღე ბნელ, გრილ ადგილას, რის შემდეგაც იგი მზად იქნება გამოსაყენებლად.

**მკურნალობის კურსი:** ნაყენი დავლიოთ ცივ რძესთან (50 გ რძე ერთ მიღებაზე) 3-ჯერ დღეში ჭამამდე 20 წუთით ადრე შემდეგი სქემით:

| მიღების დღე | საუზმე | სადილი | ვახშამი |
|---|---|---|---|
| 1 დღე | 2 წვეთი | 2 წვეთი | 3 წვეთი |
| 2 დღე | 4 წვეთი | 5 წვეთი | 6 წვეთი |
| 3 დღე | 7 წვეთი | 8 წვეთი | 9 წვეთი |
| 4 დღე | 10 წვეთი | 11 წვეთი | 12 წვეთი |
| 5 დღე | 13 წვეთი | 14 წვეთი | 15 წვეთი |
| 6 დღე | 15 წვეთი | 14 წვეთი | 13 წვეთი |
| 7 დღე | 12 წვეთი | 11 წვეთი | 10 წვეთი |
| 8 დღე | 9 წვეთი | 8 წვეთი | 7 წვეთი |
| 9 დღე | 6 წვეთი | 5 წვეთი | 4 წვეთი |
| 10 დღე | 3 წვეთი | 2 წვეთი | 1 წვეთი |
| 11 დღე | 25 წვეთი | 25 წვეთი | 25 წვეთი |

მე-11 დღიდან მივიღოთ 25 წვეთი ყოველ მიღებაზე. მიღება გავაგრძელოთ მანამ, სანამ მთელი ნაყენი არ დამთავრდება. განმეორებითი კურსი უნდა ჩატარდეს მხოლოდ 6 წლის შემდეგ. ნაყენი უნდა დამზადდეს შემოდგომაზე. მიღების ბოლო ვადაა იანვრის ბოლო. უფრო გვიან იგი არაეფექტურია.

# მსხვილი ნაწლავის გაწმენდა

თითქმის ყველა დაავადების მიზეზი წლების განმავლობაში ორგანიზმში სხვადასხვაგვარი შხამების, ტოქსინების, შლაკების დაგროვებაა. განსაკუთრებით დანაგვიანებული ჩვენი მსხვილი ნაწლავია. ამიტომ ყველა დაავადების სათავე მსხვილ ნაწლავში უნდა ვეძებოთ. არ არსებობს ამა თუ იმ ავადმყოფობით დასნეულებული ადამიანი, რომელსაც მსხვილი ნაწლავის მდგომარეობა ნორმალური ჰქონდეს. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ 40 წელს მიღწეულ ადამიანებში თითქმის 90%-ს მსხვილ ნაწლავში აქვს წლების განმავლობაში დაგროვილი 10 კგ-მდე წონის გაქვავებული განავლოვანი მასები. ანუ მსხვილი ნაწლავი წარმოადგენს განავლოვანი ქვებით სავსე უძრავ ტომარას; იგი აწვება მუცლის ღრუში მდებარე სხვა ორგანოებს და არღვევს მათ ფუნქციებს. ამავე დროს მსხვილ ნაწლავში ხდება ამ განავლოვანი ქვების ლპობა, რასაც მოჰყვება ნაწლავში გაზების და შხამების დაშროვება. ყველა ეს შხამი ნაწლავის კედლებიდან შეიწოვება სისხლში და ხვდება მთელ ორგანიზმში.

მსხვილ ნაწლავში პათოლოგიურ ნივთიერებათა დაგროვებასთან და ტოქსინების სისხლში გადასვლასთან დაკავშირებულია: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ბრონქალური ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი, გასტრიტი, ბუასილი, ნაწლავთა გაუვალობა, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება, კოლიტი, ღვიძლის ციროზი, მასტოპათია, საკვერცხეების ფიბრომა, სწორი ნაწლავის კიბო, მკერდის კიბო, პროსტატის კიბო, ცისტიტი, შაქრიანი დიაბეტი, ეგზემა და სხვა დაავადებები.

მსხვილი ნაწლავი უნდა გაიწმინდოს აბსოლუტურად ყველა ადამიანმა, როგორც ავადმყოფმა, ასევე პრაქტიკულად ჯანმრთელმა. ეს შესაძლებელია ვაშლის საშუალებით: ყოველდღე 1 თვის განმავლობაში გავხეხოთ და შევჭამოთ უზმოზე 2-3 ვაშლი. მეორე თვეს იგივე გავიმეოროთ დღეგამოშვებით. ყველა შემთხვევაში საკვები უნდა მივირთვათ ვაშლის მიღებიდან 3 საათის გავლის შემდეგ.

***მასალა მომზადებულია შ. საბახტარიშვილის წიგნების — „სამკურნალო წიგნი. ტ.I-II. თბილისი, 1995-1997 წ.წ.“ — მიხედვით***

გზა ცათა სასუფევლისა

# ქორწინება ცხონების გზაა

ქორწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საიდუმლოა, რომელიც უნდა აღასრულოს ყველა ადამიანმა, რათა ცხონდეს. ამ რიტუალის შესრულების დროს სამღვდელოება კითხულობს ლოცვას, სადაც ახლადდაქორწინებულებს ერთხორც, ერთსულ და ერთგულს უწოდებენ. ე.ი. ორი ადამიანი ერთიანდება ერთ მადლში, ერთ წყალობასა და ერთ სიკეთეში. ცოლ-ქმარი სხეულებრივი განფენილობით ორნი არიან, თავისი ფუნქციით და დანიშნულებით კი — ერთი. მათ შეუძლიათ კეთილშობილი ადამიანის ამქვეყნად მოვლინება. სიტყვა კეთილშობილი არ ნიშნავს არც სილამაზეს, არც ჭკუას, არც გვარიშვილობას. კეთილშობილი ის ადამიანი გახლავთ, რომელიც კეთილად იშვა. ადამიანის დაბადებას თავისი წესი აქვს: მომავალი მეუღლეები აუცილებლად უნდა იყვნენ მორწმუნეები. უნდა ლოცულობდნენ, მარხულობდნენ, აღსარებას ამბობდნენ, ეზიარებოდნენ... როცა ჯვარდაწერილ მორწმუნე მშობლებს ბავშვი არამარხვაში ჩაესახებათ, ის იქნება კეთილშობილი. ასეთი ბავშვები თავის ქცევით სრულიად განსხვავებულნი არიან.

### ქორწინება ყველა ადამიანისთვის აუცილებელია

აუცილებელია ყველა ადამიანი დაქორწინდეს, თუ არადა, მაშინ ან ბერად ან მონაზვნად უნდა აღიკვეცოს.

ხშირად არის შემთხვევა, ქალი ვერ თხოვდება. შეიძლება, ეს ამპარტავნების მიზეზი იყოს. თითქმის არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ოჯახის შექმნის საშუალება არ ჰქონოდეს. ხშირად არ მოგვწონს ის, ვინც ჩვენზე უკეთესია. განა ჩვენ იდეალურები ვართ?

### ჯვარდაუწერელი ქორწინება მრუშობაა

ალბათ, ძნელად დასაჯერებელი და არასასიამოვნოა ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ ჯვარდაუწერელი ქორწინება მრუშობად ეთვლებათ მეუღლეებს, ხელი მოწერილიც რომ ჰქონდეთ. ამის ცოდნა აუცილებელია. ქორწინების კავშირს ღმერთი აკურთხებს ჯვრისწერის დროს და არა მმაჩის ბიუროში ხელმოწერისას. არსებობს ოჯახები, რომლებიც 20-50 წელია შექმნილია და წყვილებს ჯვარი დღესაც არ აქვთ დაწერილი. არადა, ამ რიტუალის შესრულება მათთვისაც ისევე სასურველი, აუცილებელი და სავალდებულოა, როგორც ახლადდაქორწინებულთათვის.

### რამდენჯერ შეიძლება ქორწინება?

ქორწინება ერთხელ არის სასურველი, მაქსიმუმ ორჯერ, თუ მეუღლე დაიღუპა ან განქორწინება მოხდა. განქორწინებისთვის განსაკუთრებული მიზეზი უნდა არსებობდეს. სხვაგვარად ჯვრის ახსნა არ მოხდება. ამბობენ, განქორწინების უფლება ცოლ-ქმარს იმ მოძღვარმა უნდა მისცეს, ვინც ჯვარი დასწერაო. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მღვდელს მხოლოდ ჯვრისწერის უფლება აქვს, გვირგვინის ახსნა კი არ შეუძლია. ეს მხოლოდ ეპისკოპოსის პრეროგატივაა.

### რა შემთხვევაში არ შეიძლება ჯვრისწერა?

როცა წყვილიდან ერთ-ერთი მათგანი ჯვარდაწერილია სხვასთან. ქორწინება არ შეიძლება ნათესავებს შორისაც. ეკლესია კრძალავს ამას.

### შეიძლება თუ არა მეჯვარეების დაქორწინება

მეჯვარეების დაქორწინება აკრძალული არ არის, მაგრამ ეკლესია არც სასურველად მიიჩნევს ამას. განსაკუთრებული სიმკაცრე ამ მხრივ ნათელმირონობასთან დაკავშირებით გვხვდება. აქ ბევრი კანონი არსებობს, რომელსაც დაცვა, გათვალისწინება და აღსრულება უნდა.

### ჯვრისწერა იძულებით არ შეიძლება

ამგვარი რამ დაუშვებელია. არათუ იძულებითი ჯვრისწერა, ქალის მოტაცებაც კი არ შეიძლება. საეკლესიო კანონების თანახმად, მოტაცებული ქალი აუცილებლად თავის ოჯახში უნდა დაბრუნდეს.

### რა არის წინდობა?

წინდობა და ნიშნობა ერთი და იგივეა. ეს რიტუალი ჯვრისწერის წინ სრულდება, თუმცა სასურველია ჯვრისწერამდე რამდენიმე ხნით ადრე მოხდეს. სამწუხაროდ, ამისთვის თავს ხშირად არ იწუხებენ. ზოგი ერთ დღეს ინათლება კიდეც, ჯვარსაც იწერს და უნდა, ყველაფერი ერთ ქეიფში ჩატიოს. ცხადია, ეს სასურველი არ არის.

### ჯვრისწერის შემდეგ მეუღლეებს ვალდებულებები ეკისრებათ

გარდა იმისა, რომ ცოლ-ქმარმა ერთმანეთს არ უნდა უღალატოს, მათ ჯვრისწერის შემდეგ გარკვეული ვალდებულებებიც ეკისრებათ. ეს ძალზე რთული საკითხია. ხშირად იქმნება ხოლმე ოჯახი, მაგრამ მეუღლეებმა არც კი იციან ოჯახში ურთიერთობის წესები.

### ჯვრისწერა 16 წლამდე არ შეიძლება?

კანონის თანახმად, ქორწინება 16 წლიდან შეიძლება. ეკლესიურად ჯვრისწერა შეიძლება ამ ასაკში, მაგრამ უმჯობესია, ეს მომწიფებულ ასაკში — 20 წლის ზევით მოხდეს. ხშირად ხდება, პატარები ქორწინდებიან, მერე გაიზრდებიან, „გაახელენ" თვალს და აღმოაჩენენ ისეთ რამეს, რაც არ მოსწონთ. აქედან იწყება ოჯახის ნგრევაც. აქედან გამომდინარე, სასურველია, მოზარდებმა ფიზიკური და მორალური ჩამოყალიბება დაასრულონ და მერე იქორწინონ.

**მაია საფარიშვილი**



ეკლესია და მოძღვარი ადამიანის სულიერი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილია. „ის, ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, ღმერთი ვერ იქნება მამა". ამ ჰარმონიაში გარკვეული ფუნქცია მღვდელს აკისრია. ნებისმიერი საეკლესიო რიტუალის შესასრულებლად საჭიროა მოძღვარი. ერთი წუთითაც კი წარმოუდგენელია ნაკურთხი წყალი, ნათლობა, ჯვრისწერა, ზეთის კურთხევა მოძღვრის გარეშე. ერისკაცმა როგორი მონდომებითაც არ უნდა იკითხოს ამ რიტუალის შესასრულებლად საჭირო ლოცვები, მადლი არ გადმოვა, არც წყალი ეკურთხება და არც ნათლობა შესრულდება.

მღვდლობა შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია, რომელიც აუცილებელი შესასრულებელია მათთვის, ვისაც უფალმა თავისკენ მოუწოდა. სახარების მიხედვით უფალმა ხელი დაასხა თავის მოციქულებს, მოციქულებმა თავის მოწაფეებს, მოწაფეებმა თავის მოწაფეებს და ა.შ. მადლი ხელიდან ხელში, კაციდან კაცზე, მღვდლიდან მღვდელზე გადადის.

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში ხელდასხმის წყვეტა არ ყოფილა. ხელდასხმით ხდებოდა ყველა სამღვდელო პირის კურთხევა დღემდე.

### რა არის ხელდასხმა?

ეს, რა თქმა უნდა, თავზე ხელის დადებას არ ნიშნავს. ხელდასხმა გარკვეული ლოცვების რიტუალია, რომელიც გარკვეულ პირობებში ტარდება. ეპისკოპოსი აკურთხებს მღვდელს, დიაკონს. ყველაფერი იერარქიას ემორჩილება. მღვდელს არა აქვს დიაკვნის კურთხევის უფლება, დიაკონს კი — აღსარების მიღების, წყლის კურთხევის ჩატარების უფლება. ყველაფერი მკაცრად განსაზღვრულია.

**როცა ადამიანს განიკითხავ, მით უმეტეს მღვდელს, მისი ცოდვის თანაზიარი ხდები, ბოროტს საშუალებას აძლევ, იგივე ცოდვაში შენც ჩაგაგდოს. სამღვდელოების განკითხვით თავად ღმერთს ვაყენებთ შეურაცხყოფას**

# მღვდლის განკითხვა საშინელი ცოდვაა

სახარების მიხედვით, მოციქულებს ხელი ქრისტემ დაასხა და აკურთხა. ჩვენს შემთხვევაში ხელდასხმა ეპისკოპოსიდან მოდის. ეს სავსებით გამართლებულია. მის ნაცვლად მოციქულებმა სხვა მოწაფე — მატათა აირჩიეს და ხელი თავად დაასხეს. მასზეც უდიდესი მადლი გადმოვიდა.

### მოძღვრის განკითხვა დიდი ცოდვაა

მღვდელი თავისი ქცევით ქრისტიანული ცხოვრების მაგალითის მომცემი უნდა იყოს ყველასათვის. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. მოძღვრის არასწორი ქცევა განკითხვის მიზეზი ხდება, ადამიანები ბრკოლდებიან და ეკლესიაში სიარულს, სულიერ ცხოვრებას ერიდებიან, გმობენ კიდეც.

მაგრამ, ერთი მოძღვარი რა დონეზეა, როგორია მისი სულიერი მდგომარეობა, რა სიკეთეს ან ცოდვას ჩადის, ამის მიხედვით არ შეიძლება ყველა ერთ ქვაბში მოვხარშოთ. თვით ქრისტეს 12 მოციქულიდან ერთი მოღალატე ჰყავდა. იმაზე დიდი მადლი რა არის, ღმერთს ხედავდე, ეხებოდე, ესაუბრებოდე? ამ სიახლოვის მიუხედავად, იუდამ უფალს მაინც უღალატა. მაშინ რაღა გასაკვირია, ადამიანი, რომელსაც ღმერთთან შეხება არ ჰქონია, ეშმაკმა წონასწორობიდან გამოიყვანოს და ცოდვა ჩაადენინოს? ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, მაგრამ მოძღვრის განკითხვა მაინც დიდი ცოდვაა. როცა ადამიანს განიკითხავ, მით უმეტეს მღვდელს, მისი ცოდვის თანაზიარი ხდები, ბოროტს საშუალებას აძლევ, იგივე ცოდვაში შენც ჩაგაგდოს. სამღვდელოების განკითხვით თავად ღმერთს ვაყენებთ შეურაცხყოფას, რადგან მათი მწყემსი, მამა და პატრონი სწორედ ღმერთია. მღვდელი კიდეც რომ სცოდავდეს, ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა რა საჭიროა? ჩვენ თუ კეთილი გვინდა, უნდა მივუთითოთ შეცდომებზე, დავეხმაროთ მას.

### რით განსხვავდება მოძღვარი მღვდლისაგან?

მღვდლობა უფლისგან ხელდასხმაა, მოძღვრობა — მღვდლის საქმიანობა, მოვალეობაა საზოგადოების წინაშე. მოძღვარი თავის მრევლს ასწავლის უფლის მცნებებს, იბარებს აღსარებას და თავის თავზე იღებს მათ ცოდვებს.

### მოძღვრის ყოლა აუცილებელია

სასურველიცაა და აუცილებელიც ადამიანს ჰყავდეს მოძღვარი, რადგან, როცა იგი ღვთის სამსჯავროს წინაშე წარსდგება, სწორედ თავის მოძღვარმა უნდა დაიცვას. მოძღვრის გარეშე შეუძლებელია კარგი ქრისტიანები ვიყოთ. ქრისტიანობა მორჩილებაა, შემწყნარებლობაა. თუ მოძღვარი არ გყავს და არ ემორჩილები, ღმერთს ვერ ხედავ და როგორ დაემორჩილები?

### რამდენი წლის უნდა იყოს მღვდელი?

ზოგჯერ მღვდლის ახალგაზრდა ასაკი უნდობლობას იწვევს მის მიმართ.არადა, სულაც არ არის აუცილებელი, მოძღვარი თეთრწვერა და მოხუცი იყოს.

დიდი სჯულის კანონის თანახმად, დიაკვნის კურთხევა 25 წლის ასაკში ხდება, მღვდლად კურთხევა — 30 წლის ასაკში. თუმცა ისტორიაში და ჩვენს რეალობაშიც არის შემთხვევები, როცა ხელდასხმა ადრეულ ასაკშიც ჩატარებულა. ანტონ II კათალიკოს-პატრიარქი უკვე 24 წლის იყო ამ ხარისხში. უთვალავი მაგალითი არსებობს ამისა ეკლესიაში. 12 წლის ჭაბუკი მონასტერში მივიდა და ითხოვა მიმიღეთო. მამებმა უარი უთხრეს, ძალიან ახალგაზრდა ხარ, ლამაზი და შენი აქ ყოფნა დაუშვებელია. შეიძლება ვინმეს გულისთქმები დაეწყოს და ცოდვაში ჩავარდესო. ჭაბუკი წავიდა, იქვე, მახლობლად ტბაში ჩაჯდა, წყალი მყავიანი იყო. რამდენიმე საათის შემდეგ მონასტერში მივიდა, სახე სულ დაჭმული ჰქონდა და სისხლი სდიოდა. ახლა მაინც მიმიღეთო. მთელმა მონასტერმა დაუჩოქა და შენდობა სთხოვა. არ იყო მზად ის ყმაწვილი სულიერი ცხოვრებისათვის? ცხადია, იყო. რწმენას და უფლის სიყვარულს არც ასაკი განსაზღვრავს და არც თმის ფერი. ღვთის ბოძებული მადლი ახალგაზრდასა და მოხუცზე ერთნაირად მოდის დამსახურებისამებრ.

**ნინო ბერიშვილი**

### ნოემბრის თვის საეკლესიო კალენდარი

8 ნოემბერი — დიმიტრის დღეობა
21 ნოემბერი — მთავარანგელოსობა
23 ნოემბერი — ხსენება წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა
28 ნოემბერი — დასაწყისი ქრისტეშობის მარხვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



**თარაზულად:** 4. ქართული ხალხური ცეკვა; 6. კუთხე, რომელიც იქმნება მოცემულ მიმართულებასა და ჩრდილოეთის მიმართულებას შორის; 8. კვიპროსის დედაქალაქი; 12. ანბანი, ანუ...; 14. ქალაქი, რომელიც დაიბომბა ატომური იარაღით; 16. ყოფილი საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქი; 17. მოხეტიალე ბერი ან მსახიობი, რომელიც აჩვენებს ფოკუსებს და სხეულის უგრძნობლობას ტკივილისადმი; 19. მდინარე ჩინეთში; 23. ციური მანათობელი სხეული; 24. შეჯიბრების დაწყების მომენტი; 25. მოუხარშავი ან შეუწვავი; 26. სახელმწიფო აფრიკაში; 27. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 30. მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი; 33. ურჩხული, რომელსაც ადამიანის ტანი და ხარის თავი აქვს; 36. ფილოსოფიური, პოლიტიკური ან ხელოვნების ამა თუ იმ მიმდინარეობის თანამედროვე სახის აღმნიშვნელი წინსართი; 39. უშხამო ქვეწარმავალი (გველი); 40. კუდიანი ვარსკვლავი; 42. გამოუწვავი აგური; 44. ცხვრის ნაშიერი; 47. ჩინური, ძველი ეგვიპტური და სხვა დამწერლობის ნიშანი; 52. ცეცხლმსახურთა ქურუმი; 53. ცელქი, მოუსვენარი; 54. ინგლისური წარმოშობის ცეკვა, მუსიკა ამ ცეკვისათვის; 55. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 56. ცვლადი დენის გამმართველი იონური ხელსაწყო, რომელსაც აქვს ვერცხლისწყლის კათოდი; 57. სამანქანო ტექნიკით აღჭურვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა; 60. ბოტანიკის ნაწილი, რომელიც წყალმცენარეებს სწავლობს; 62. ხიდის საყრდენი; 64. რისამე გამოფენა დასათვალიერებლად; 65. ზოგი ქვეყნის არმიაში ოფიცრის ჩინი კაპიტნამდე.

**შვეულად:** 1. ოთხკუთხედი, რომელსაც ყველა გვერდი ტოლი აქვს; 2. საყანედ გაკაფული ტყე; 3. მასობრივი სპორტული სირბილი დაბრკოლებების გადალახვით; 4. ჯამის ფორმის ღვინის სასმისი; 5. ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი ქალის სახელი; 7. თივის დიდი გროვა; 9. დიდი და მსუბუქი იალქნიანი სასპორტო ნავი; 10. ბაშკირეთის დედაქალაქი; 11. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 12. სპორტის სახეობა; 13. მაგნიტი, ანუ...; 15. სცენის წინა ნაწილი; 17. მხატვრული ნაწარმოების ქარგა, რომელშიც ხორციელდება ძირითადი კონფლიქტი; 18. ალ. ბუვიეს რომანი; 19. ძროხის ნაშიერი; 20. სევდიანი ლირიკული ლექსი; 21. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 22. სააფთიაქო წონის ერთეული მეტრული სისტემის შემოღებამდე; 28. გემოს გამგები და სამეტყველო ორგანო; 29. კაპასი ანუ...; 31. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ხმარობენ მხლად; 32. საკერავი მანქანის ნაწილი — მასრის ჩასადები კოლოფი; 34. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში; 35. აბრეშუმით გაწყობილი, გრძელი გადანაკეცებიანი შავი მაუდის პიჯაკი; 38. ხატის წინ ასანთები ზეთის პატარა სანათი; 41. ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო; 43. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 45. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 46. ფენა, რითაც გარშემორტყმულია რაიმე სხეული; 48. მუშაობის ან ენერგიის საზომი ერთეული; 49. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 50. მდინარეში ადვილად გასასვლელი ადგილი; 51. საკონტროლო დაფა; 58. მე-19 საუკუნის ფრანგი პოეტი, დრამატურგი და რომანისტი; 59. ოთხსიმიანი, ხემიანი მუსიკალური საკრავი; 60. ხომალდი ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის ეკიპაჟმა კოლხეთიდან ოქროს საწმისი წაიღო; 61. მიმართულება, გზა, კურსი; 62. კედლის შანდალი; 63. ერთ-ერთი ხელოვნური ენა, რომელიც შეიქმნა XX ს. დასაწყისში.

შეადგინა თათია ძინძიბაძემ.

# საინტერესო ამბები

## საოცარი ცხოველები

60-იან წლებში ტროპიკული მეცნიერების პუერტორიკოს ინსტიტუტის მუშაკებმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს: ინსტიტუტის სამი თანამშრომელი დროებით ჯუნგლებში დასახლდა, რათა ადგილზე ედევნებინათ თვალ-ყური მაიმუნების ყოფაქცევისათვის ბუნებრივ პირობებში. ბინად მათ ჩვეულებრივი გალია გამოიყენეს, რაც მათ უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფდა.

მაიმუნებმა კი არც აციეს, არც აცხელეს და „დარვინის თეორია“ უცბად გაიზიარეს, ამიტომ მაიმუნები თითქმის ისევე ექცეოდნენ მეცნიერებს, როგორც ზოოლოგიური პარკის მნახველები. პირველ ხანებში ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ადამიანებს და თავის ჩვილებსაც უჩვენებდნენ მათ, შემდეგ კი გალიზიანება და მანჭვა დაუწყეს და თან ბანანებსაც აწვდიდნენ საჭმელად. ერთი სიტყვით, თავს ისე იქცევდნენ, როგორც ჩვენ ზოოპარკში. გალიზიანებული მეცნიერებიც სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას.

## ჩინური ჩვეულება

ძველ დროს ჩინეთის პროვინციებში ერთი უჩვეულო ჩვეულება ჰქონდათ: როცა ქალს მეძავობაში ამხელდნენ, მის ქმარს ციხეში სვამდნენ, რადგან ქალის ამგვარ ყოფაქცევაში მას თვლიდნენ დამნაშავედ.

თუ გავითვალისწინებთ თურქეთში და სხვა ქვეყნებში სამეძაოდ და ფულის საკეთებლად წასული ქართველი ქალების რაოდენობას, ჩვენი ისედაც გადატენილი ციხეები მათი ქმრებით უფრო მეტად გაიტენებოდა და კუდის მოსაქნევი ადგილიც აღარ დარჩებოდა.

## 43 სმ სიმაღლის ქალბატონი 2 კგ და 200 გ იწონიდა

ამერიკელი ლუჩია ზარატე 1864-90 წლებში ცხოვრობდა. იგი მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალად ითვლება. ლუჩია 17 სანტიმეტრი დაიბადა და მხოლოდ 43 სანტიმეტრი გაიზარდა. წონით კი 2,2 კილოგრამი იყო.

იგი ცირკის მსახიობი გახლდათ და საკმაო წარმატებითაც სარგებლობდა, სამწუხაროდ, მისი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა: 1890 წელს, ზამთარში ცირკის მატარებელი, რომელშიც ლუჩიაც იმყოფებოდა, კალიფორნიაში სერა-ნევადის მთებში თოვლის ნამქერში ჩარჩა და იგი სხვა მსახიობებთან ერთად გაიყინა.

## კოსმონავტიკის უცნობი მხარე

ყველა ჩვენთაგანი, ალბათ, ერთხელ მაინც დაფიქრებულა, კოსმონავტები ბუნებრივ მოთხოვნილებებს როგორ იკმაყოფილებენ, ანუ რა ხდება კოსმოსური ხომალდის ტუალეტში. ამერიკელები კოსმოსში უწონადობის და მიზიდულობის ძალის არყოფნის გამო უნიტაზს რომ არ მოსწყდნენ მასზე სპეციალური ქამრით ებმებიან... რუსებს კი უნიტაზზე სპეციალური ფეხის გასაყრელი აქვთ და თვლიან, რომ ეს უფრო ეფექტურია, თვითონ უნიტაზი კი მტვერსასრუტის პრინციპით მუშაობს, თორემ სხვა შემთხვევაში ფეკალური მასა ხომალდში ფრენას დაიწყებდა და მას უკვე ველარ შეაგროვებდნენ.

ტანის დაბანაც არ გახლავთ იოლი გადასაწყვეტი პრობლემა კოსმოსში. კოსმოსურ დუშში წყლის ნაკადს კი არ ივლებენ, არამედ წყლის წვეთებით გაჯერებული ჰაერის ნაკადს. წყლის ნაკადი ადამიანის ტანს ეკვრის და დაბლა არ ჩაედინება. ამიტომ წყლის წვეთებით გაჯერებული ჰაერის ნაკადი არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 მეტრი წამში სიჩქარით მიეწოდება აბაზანაში.

## გიჟების სასაფლაო

ზოგჯერ გაბოროტებული ადამიანები ან სხვადასხვა რელიგიური სექტის მიმდევრები სხვადასხვა მიზეზით ცოცხლად მარხავენ ადამიანს, ცოცხლად იმარხებიან ადამიანები სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმის დროსაც. მაგ.: ვულკანი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, მაგრამ ყოველივე ეს ხდება ადამიანის ნების წინააღმდეგ და მხოლოდ რამოდენიმე იოგის ცოცხლად დაკრძალვაა ცნობილი ნებაყოფლობით.

ამერიკელი დევიდ ბლეიმი კი არც იოგი გახლავთ და არც რელიგიური მოღვაწე, თუმცა სწორედ ცოცხლად დამარხვაზე ოცნებობს და აიხდინა კიდეც ოცნება. მან გამჭირვალე შუშისსახურავიანი კუბო შეუკვეთა და ცოცხალი სწორედ იმით დაკრძალეს პირდაპირ ნიუიორკის ერთ-ერთ ტროტუარზე. საფლავში მან ერთი კვირა გაატარა. კუბოს ზემოდან წყალი ესხა. მას ტუალეტში გასვლაც კი არ შეეძლო, რომ ბუნებრივი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა. იგი ისე შეეჩვია თავის ახალ საცხოვრებელში ყოფნას, რომ ერთი კვირის შემდეგ გაბრაზებულმა მეგობრებმა ძალით, ძლივს ამოათრიეს კუბოდან. ცოტა ხნის წინათ ასეთი საქციელისთვის საგიჟეთში მიჰყავდათ კაცი, ახლა კი ამას თავის გამოჩენის ამერიკული მეთოდი ჰქვია.

## მეცნიერები სისხლიანი წვიმების მიზეზს ვერ ხსნიან

ბერძენი ისტორიკოსი და მწერალი პლუტარქე თავის ნაშრომებში ყვება სისხლისნი წვიმის შესახებ, რომელიც გერმანელებთან ბრძოლის შემდეგ მოვიდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სისხლი ზეცაში ბრძოლის ველიდან „ავიდა“ და ჩვეულებრივი წვიმის წვეთები შეღება.

ისტორიული ქრონიკებიდან ვიგებთ, რომ 582 წელს სისხლიანი წვიმა პარიზში მოვიდა. თვითმხილველი წერს: „ბევრი ადამიანი ისე გაილუმპა, რომ ისინი ზიზღით იწმენდნენ ტანსაცმელს“.

1571 წელს სისხლიანი წვიმა ჰოლანდიაშიც მოვიდა. თითქმის მთელი ღამის მანძილზე გადაულებლად წვიმდა. იგი იმდენად სქელი იყო, რომ რამდენიმე ათეულ კილომეტრზე წყალდიდობა გამოიწვია და ზოგიერთი საცხოვრებელი ჩაძირა. ყველა სახლი, ხე და ღობე წითლად შეიღება. ხალხი წვიმას ვედროებში იმარაგებდა და ამ უცნაურ მოვლენას იმით ხსნიდა, რომ ზეციდან მოკლული ხარების სისხლი მოდიოდა.

საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის მემუარებში წერია: „1669 წელს 17 მარტს ქალაქ შატელენში ჩამოვარდა სისხლის მსგავსი წვეთები, რომელსაც სპეციფიკური, დამახასიათებელი სუნი არ ჰქონდა. დიდი წვეთები აშკარად დაეტყო სახურავებზე, კედლებზე და სახლის ფანჯრებზე“.

სისხლიანი წვიმა 1689 წელს ვენეციაშიც მოვიდა, 1744 წელს კი მან გენუა, სწორედ ომის დროს დაასველა და ნამდვილი პანიკა გამოიწვია.

1813 წელს, ადრეულ გაზაფხულზე, სისხლიანმა წვიმამ ნეაპოლი გადაღება. მეცნიერმა სემენტინმა ასე აღწერა მომხდარი: „ძლიერი ქარი ორი დღეღამის მანძილზე უბერავდა, უცბად მოსახლეობამ ცაზე დიდი ღრუბელი დაინახა. ორი საათის შემდეგ ქარი ჩადგა, მაგრამ მოახლოებულმა ღრუბელმა ისე ჩააბნელა გარემო, რომ ხალხმა სახლში ლამფები აანთო. სიბნელემ იმდენად იმატა, რომ შეშინებული ხალხი ეკლესიაში გაიქცა სალოცავად და ღმერთს გადარჩენას ეხვეწებოდა. უცბად დაიქუხა და ციდან სისხლიანი წვიმა წამოვიდა. საღამოსთვის ცა განათდა და ხალხიც სახლებში დაბრუნდა“.

გასული მე-19 საუკუნის 50-იან წლებში საფრანგეთში სისხლიანი თოვლიც კი მოვიდა.

მთავარი რედაქტორი მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.